ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. ● №1 (2040) 25.01.2011 ● ფასი 30 თეთრი

დევნილთა ბარბაროსულ რბევას შორს მიმავალი მიზნები აქვს

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის მიმართვა დევნილთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი და საქართველოს პოლიტიკური პარტიებისადმი

თანამემამულეებო, თანამოქალაქეებო, თანამებრძოლებო!

საქართველოს მოსახლეობის ფხიზელმა და პოლიტიკურად მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულმა ნაწილმა იცის, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს მართავს რუსეთის მიერ მითითებული კურსით, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, მეცნიერულ-საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიურ და სულიერ დაუძლურებაში მდგომარეობს. ამ საერთო კურსის ფონზე დღეს გამოიკვეთა, როგორც ერთერთი „აქტუალური“ და საქართველოს მტრებისათვის „სასწრაფო“, **დევნილი მოსახლეობის მაქსიმალური შევიწროების კურსი,** რომელსაც სავსებით გამჭირვალე მიზანი აქვს.

ეს მიზანი შემდეგია. რუსეთმა იცის, რომ დემოკრატიული დასავლეთის ზეწოლის შედეგად იგი იძულებული იქნება აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან თავისი შეიარაღებული ძალები გაიყვანოს. მას უნდა ამ ტერიტორიებზე გავლენა შეინარჩუნოს და ამავე დროს საქართველოს სახელმწიფოებრივი ნგრევის „ამოცანა“ წინ წაწიოს ორი სახით. **პირველი:** მას უნდა შექმნას „კონფედერაცია“, ანუ „სახელშეკრულებო სახელმწიფო“, რომელიც იშლება ამ „ხელშეკრულების“ ნებისმიერი წევრის პირველი განცხადებისთანავე, საქართველოს, მისი ტოლძალოვანი „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ და „დამოუკიდებელი“ „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობით. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, სასიკვდილოა და ამიტომ დაუშვებელია. **მეორე** (პარალელურად): მას უნდა შეამციროს აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში უპირობოდ დაბრუნების უფლების მქონე მოსახლეობის რაოდენობა, რათა დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველი მოსახლეობის პროცენტი მინიმუმზე დაიყვანოს. ამისთვის მას უნდა დაუნდობელი შევიწროების გზით, აიძულოს დევნილი ადამიანები უარი თქვან დევნილის სტატუსზე, თავისი იქაური უძრავი ქონება გაყიდონ და სახელმწიფოსგან ან ვინმე უცხოელი „სპონსორისგან“ ფულადი „კომპენსაცია“ მიიღონ. სხვა მოტივი ხელისუფლების ანტიჰუმანური მოქმედებისა დევნილების წინააღმდეგ არ ჩანს.

საქართველოს დღეს მმართველი ანტიეროვნული ხელისუფლების ამ ანტისახელმწიფოებრივი გეგმის განხორციელება დაუშვებელია. დევნილთა დაცვა ყოველი ჩვენგანის, როგორც პიროვნების, პირდაპირი ადამიანური მოვალეობაცაა და ასევე პირდაპირი პოლიტიკური მოვალეობაცაა, როგორც მოქალაქეებისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნისა და ერის ბედსა და მომავალზე პასუხისმგებელნი ვართ. მოვუწოდებთ საქართველოს ყველა პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმათ გარდა, ვინც უშუალოდ რუსული სპეცსამსახურების დავალებებით მოქმედებს და ამის დამალვას საჭიროდ არ თვლის:

1. შევაერთოთ ჩვენი ძალისხმევა დევნილი მოსახლეობისთვის ნორმალური ყოფითი პირობების მოსაპოვებლად იმ დროის მანძილზე, რაც დევნილობაში ყოფნა უწევთ

2. ერთობლივი ძალით მივაღწიოთ მსოფლიოს ინფორმირებას იმ ბარბაროსული მეთოდების თაობაზე, რომლითაც ხელისუფალნი ცდილობენ აფხაზეთის დეიქართველიზაციის რუსული გეგმის ხელწეწყობას და ქართველთაგან აფხაზების „ეთნოწმენდის“ შედეგთა შეძლებისდაგვარად სრულ „დაკანონებას“

3. მტკიცე თავგანწირული და, რაც მთავარია, კონკრეტული ბრძოლით დავიცვათ ჩვენი სამშობლო და ჩვენი განსაცდელში მყოფი თანამემამულეები მტრის მორიგი შემოტევისაგან.

გვახსოვდეს, რომ ეს შემოტევა — იურიდიულად გაფორმებადი დემოგრაფიული შემოტევა — აფხაზეთის მიტაცების გეგმის გადამწყვეტი შემადგენელი ნაწილია.

რუსეთ-საქართველოს ომების ვეტერანთა კავშირის სახელით
ზ.ბარბაქაძე (თავმჯდომარე)
ვ.ჯორჯიკია,
ნ.ნათაძე

კიდევ ერთი ნაბიჯი უქართველებო საქართველოსკენ

საქართველოს მიზანმიმართული სათავდაცვო, ორგანიზაციული ეკონომიკური, დემოგრაფიული, მეცნიერულ-საგანმანათლებლო, სულიერი და ფსიქოლოგიური ნგრევის პოლიტიკაში დღეს დემოგრაფიული მიმართულების გააქტიურებას ვხედავთ. განზრახულია და პრაქტიკულად მომზადების სტადიაში იმყოფება საქართველოში მასობრივი შემოსახლება **ბურებისა** (სამხრეთ აფრიკის ჰოლანდიელი კოლონისტებისა) სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვანი ფართობების მიყიდვით. მოტივად სახელდება ის, რომ შემოსულნი, როგორც ფერმერული მეურნეობის გამოცდილების მქონენი, საქართველოს სოფლის მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის გაძღოლის თანამედროვე კულტურას შემოიტანენ. სინამდვილეში ეს ღონისძიება ერთ-ერთი ელემენტია ფართო პროგრამისა, რომელიც მდგომარეობს საქართველოს მოსახლეობის **შეცვლაში**. — ქართველების განდევნაში ეკონომიკური გაჭირვების ორგანიზების გზით და ახალი, უცხო მოსახლეობის შემოყვანაში. რომელიც

ა) სავსებით გულგრილი იქნება საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ეროვნული ინტერესებისადმი, მაშასადამე, ადვილად მიმართვადი საქართველოს ამ ინტერესთა საწინააღმდეგო მოქმედებისკენ, და

ბ) ერვგული ხმის მიმცემი იქნება სააკაშვილის პოლიტიკური გუნდისათვის.

უფრო ფართო პერსპექტივაში, აღნიშნული ღონისძიება ერთერთი მოსამზადებელი ზომაა ქართველი მოსახლეობის მასობრივი განდევნისა ყველა საწარმოებიდან, რომელთა საკუთრება იქნება უცხოელების ხელში. ჩვენი გათვლით, ეს უკანასკნელი ნაბიჯი დაგეგმილია დაახლოებით 2013 წლისათვის, როცა უკვე ფართოდ გაიშლება საქართველოს მიერ თავისი საგარეო ვალების გადახდის (მომსახურების) პროცესი აქედან გამომდინარე უმძიმესი ფინანსური შედეგებით.

აღნიშნული ვითარება კიდევ ერთხელ მოწმობს, რა მართალნი იყვნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიები — ერთადერთნი საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში, — რომელნიც უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ცდილობდნენ ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის იმის განმარტებას, რომ ეკონომიკის ძირითადი სიმძლავრეების (მიწის ჩათვლით) გასხვისებას უცხოელებზე საქართველოს პირობებში მხოლოდ ეკონომიკური უძლურება, მასობრივი სიღატაკე და გარდუვალი სახელმწიფოებრივი კატასტროფა მოაქვს.

ხელისუფლების აღნიშნული ზრახვა ჩვენ მიგვაჩნია **უგნურად და დანაშაულებრივად.** უგნურია იგი იმდენად, რამდენადაც არ ითვალისწინებს

— ქართველი გლეხობისათვის, რომელიც დღეს ღატაკია მისი წარმატებული შრომისათვის ხელოვნური დაბრკოლებების (პირველ ყოვლისა — საწვავის არარეალისტურად ძვირი ფასების, მისთვის ბაზრის ხელოვნური დახშობისა და კრედიტის ხელოვნური სიმძიმის) გამო. და არა სამეურნეო გამოცდილების გამო, სამხრეთ აფრიკელთა გამოცდილების უმნიშვნელობას.

— ქართველ გლეხებთან ახალმოსულთა სრული ყოფითი და ზნე-ჩვეულებითი (აგრეთვე ენობრივი) უცხოობის ფაქტორს, რომელიც პერსპექტივაში არ შესუსტდება შემოსულთა დიდი რაოდენობის (რამდენიმე ათასი ოჯახი) გამო: შემოსულებს სოციალურად, თავისი თვითკმარი საზოგადოება ექნებათ, ადგილობრივს — თავისი, რასაც თვალნათლივ მოწმობს საქართველოში რუსეთის მიერ შემოსახლებულ (1837) და რუსეთის მიერვე გასახლებულ (1941) გერმანელ კოლონისტთა მაგალითი.

დანაშაულებრივი კი ეს ღონისძიება არის იმიტომ, რომ

— ხელისუფლების ღია ბაზარზე, რომელზეც დღეს არც ერთი კონკურენტუნარიანი საკუთარი მოქალაქე არ არის, გააქვს თავისი მოსახლეობის ძირითადი საარსებო ბაზა — მიწა, მაშასადამე, თავის მომავალ თაობებს შეგნებულად ტოვებს დედამიწაზე, პრაქტიკულად, საკუთრების გარეშე (საწარმოო საშუალების გარეშე)

— ნაწილობრივ კორუფციული მიზნებით, ნაწილობრივ დივერსანტული ზრახვით თავის მოქალაქეს ტოვებს არათანასწორ პირობებში უცხოელთან თუნდაც იმით, რომ ეს უცხოელი გარანტირებულად მიიღებს სპონსორი ორგანიზაციებისგან იაფ კრედიტს საქართველოს მიწაზე დამკვიდრების პროცესში, ქართველი გლეხი კი ამგვარ კრედიტს ვერავისგან ვერ მიიღებს

— დანაშაულებრივთა რიცხვს მიეკუთვნება გლეხის ხელოვნური გაღატაკების ის მეთოდებიც, რომლებიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი.

მითქმა-მოთქმა, რომ ბურების შემოსახლების განზრახვის მიზეზია პრეზიდენტის მეუღლის თანამემამულეებისათვის დახმარების სურვილი, ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ჩვენ ამ ფაქტორს მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

ხელისუფლების ზემოდახასიათებული ანტისახელმწიფოებრივი ზრახვის დივერსიულ მიზანზე არაპირდაპირ მეტყველებს ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება, თავისი მძიმე შედეგების მიუხედავად, იგეგმება მოსახლეობის კითხვის (პლებისციტის) გარეშე, თუმცა, იგივე ხელისუფლება მზადაა რეფერენდუმი დააწეროს ისეთი ყოველდღიური (მიმდინარე) სამთავრობო მოქმედებისათვის, როგორიცაა საწარმოო და კომერციულ საქმიანობაზე დაწესებული გადასახადების მომატება.

განზრახული ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული ქმედების განხორციელება დაუშვებელია. იგი აღკვეთილ უნდა იქნას. ამისთვის საჭიროდ ვრაცხთ შემდეგს

1. სასწრაფოდ შეიქმნას იურიდიული საფუძველი განზრახულის არდაშვებისათვის და მისი შედეგების მომავალში გაუქმებისათვის. უნდა შეგროვდეს და გაცხადდეს დიდი უმრავლესობის ხელმოწერა, რომელიც არ აძლევს ხელისუფლებას განუკითხავი იმიგრაციის დაშვების მანდატს და საარსებოდ მნიშვნელოვანი ობიექტების (მათ

გაგრძელება მე-2 გვერდზე

პირველი გვერდიდან

შორის — მიწის) არა საქართველოს მოქალაქეებზე გასხვისების მანდატს.

2. ფართოდ უნდა გაცხადდეს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისათვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მიწების მიყიდვისა არის **კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის** გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება რეალურად არჩეული ხელისუფლების მოსვლისთანავე. მოსახლეობის ეს ნება და ეს აზრი, გაფრთხილების ფორმით, უნდა მიეწოდოს შემოსახლების მსურველებს, როგორც გაფრთხილება **ნაქურდალის ყიდვის გამო** აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

3. ხელივუფლებას უნდა მოეთხოვოს ხსენებული ანტისახელმწიფოებრივ ზრახვაზე ხელის აღება პოლიტიკური ზეწოლის **ყველა პრაქტიკულად შესაძლებელი ხერხით.**

არსებული ხელისუფლების უკვე განხორციელებული და ამიერიდან შესაძლებელი ანტისახელმწიფოებრივი აქტების გაბათილებისათვის საფუძველია ის ფაქტი (და მისი ახლავე დაფიქსირება მასობრივი ხელმოწერებით, როგორც მოსახლეობის უმრავლესობის ნებისა), რომ ეს ხელისუფლება

— პრაქტიკულად, მხილებულია სახელმწიფოს ღალატში უცხო ქვეყნის (რუსეთის) სასარგებლოდ, ომის პირობებში ღალატის ჩათვლით

— მხილებულია კონსტიტუციის მრავალგზის ღალატში

— არის არალეგიტიმური, ანუ ხელისუფლებაში იმყოფება არჩევნების (საპრეზიდენტოსი და საპარლამენტოსი) ტოტალური გაყალბების შედეგად,

აგრეთვე ის, რომ საქართველოს მოსახლეობა უკვე მრავალი წელია, რაც მასობრივი შიმშილის მდგომარეობაში იმყოფება (რასაც ადასტურებს უცხოელი ექსპერტების მიერ წარმოებული კვლევები, რომელთა მითითება შეგვიძლია), რის გამოც მას არ შეუძლია იმ ძალისხმევის გაღება, რაც სჭირდება სახელმწიფო პოლიტიკის კორექციას ხელისუფლებაზე ზეწოლის სახით, ამგვარად, იგი ვერ იქნება სრულფასოვნად პასუხისმგებელი მისი არალეგიტიმური ხელისუფლების კაპიტულანტურ, კორუფციულ და სხვა მხრივ სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე.

წინამდებარე განცხადების პირი ეგზავნება საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიებს. მზად ვართ მადლიერებით მივიღოთ მათი თანადგომა ხელისუფლების ზემოხსენებული ანტისახელმწიფოებრივი ზრახვის ბლოკირებაში.

ეროვნულ პარტიათა ალიანსი

პასუხად «მებრძოლ უღმერთოებს კავშირის» მეშკვიდრეებს

„ღმერთო, მომეცი მე სიბრძნე და თავშეკავება, ოღონდ ახლა – არა“. *ნეტარი ავგუსტინე*

გრძელდება ორგანიზებული და მართვადი დიდი გეგმის განხორციელება, რომელსაც საქართველოს ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ჰქვია. სწორედ ამ დიდი კამპანიის ერთ-ერთ ეპიზოდთან გვქონდა საქმე, როცა I არხის ეთერიდან (პროგრამა „დიალოგი“) საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციის მორიგ მცდელობას ჰქონდა ადგილი, ინსტრუმენტად კი ამ საქმეში ნაცადი სახეები – დავით პაიჭაძე (წამყვანი), ბექა მინდიაშვილი და გიგა ზედანია მოგვევლინნენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ყველაფრის მიღმა არსებობს ფართო საზოგადოებისთვის დაფარული ძალები, რომლებიც ქმნიან სტრატეგიას. ამ უკანაკნელის ერთ-ერთ დარგს ამ ტიპის პროცესების წარმართვა წარმოადგენს, რისთვისაც, ცხადია, ადგილობრივი კადრები სჭირდებათ და, როგორც ჩანს, ახერხებენ კიდეც ბუნებისგან ამ “საქმისთვის” მოწოდებული პირების მობილიზებას. სწორედ ამგვარი კადრები გახლავან ის სახეები, რომლებიც ამ გადაცემაში წარმოდგნენ.

საინტერესოა ამ პროცესის წარმართვის თვით ფორმა: 14 დეკემბერს, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელდა ანონიმი ავტორის წერილი, რომელშიც თითქოსდა ეკლესიაში არსებულ პრობლემაზე იყო ლაპარაკი. ამას მყისიერად, 14 დეკემბერსვე მოჰყვა ბექა მინდიაშვილისაგან მისი ტირაჟირება და 16 დეკემბერს (წმ ბარბარეს, რომელსაც უდიდეს პატივს მიაგებს მართლმადიდებელი მრევლი, ხსენების წინა დღეს) უკვე აღნიშნულ გადაცემაში ამ საკითხზე მსჯელობა. ცხადია, წინაპირობის შექმნას და მერე გადაცემის ორგანიზებას ერთი ხელწერა აქვს. საგულისხმოა, რომ თუმცა მეთოდი 20–30-იანი წლების ბოლშევიკური მმართველობისთვის იყო დამახასიათებელი, 70-იანი წლების ბოლშევიკები უკვე „ანონიმკებზე“ აღარ რეაგირებდნენ.

გულის ამაჩუყებელია I არხის გადაცემის „მოტივი“ – „საზოგადოებაში გაჩნდა ასეთი აზრი და აუცილებლად მასზე უნდა ვიმსჯელოთო”. ამ „აზრისადმი” გადაცემის ავტორი აპელირებს, მიუხედავად იმისა, რომ „ფეისბუქში“ გავრცელებული ანონიმური წერილის გარდა, რომელიც, ცხადია, მათივე გავრცელებულია, ამ, უკაცრავად პასუხია, “აზრზე” მდგომი არავინ და არაფერი არსებობს. ან ვინ მოიკვლია, რა სოციალური გამოკითხვების საფუძველზე გვეუბნებიან, რომ საზოგადოებაში გაჩნდა ასეთი აზრი? ცხადია, რომ საქმე სხვა რამესთან გვაქვს: საქმე ისაა, რომ, ერთის მხრივ, თუ ზოგადად წარმოიდგენთ ამ ტერმინს – „საზოგადოება“ ან „საზოგადოების ნაწილი,” – მისი ხმარების უფლება გვაქვს, რაც უნდ მცირე იყოს ადამიანთა ის ერთობა, ვისაც ვგულისხმობთ, რაოდენობრივად – თუნდა ერთი ადამიანიც კი. ხოლო თუ ამ ფორმალურ უფლებას ბოროტად არ გამოვიყენებთ, მაშინ ამ ტერმინით უმჯობესია ადამიანთა უფრო ფართო წრე, თანაც–საგანგებო დავალების არმქონე წრე აღვნიშნოთ. ამ შემთხვევაში ტერმინი – “საზოგადოება“ (აღარ არის ლაპარაკი უფრო მოკრძალებულ ტერმინზე – „საზოგადოების ნაწილი“ ან “კერძო აზრი”) გადაცემის ორგანიზატორების მხრიდან მათ მიერვე შეკოწიწებული “თემისთვის” განსაკუთრებული წონის მისაცემად მოგონილს ჰგავს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთა გარკვეულ და, საბედნიეროდ, მცირერიცხოვან კატეგორიასთან, რომელთათვისაც დამახასიათებელია იმ ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი დისკრედიტაცია, რაც არა მარტო ეროვნული თვალსაზრისით არის ჩვენთვის ძვირფასი და რაზეც საუკუნეებია დგას ჩვენი ერი, როგორც თვითმყოფადი სახისა და ხასიათის მქონე, არამედ ცივილიზებული ჰუმანური საზოგადოების საფუძველია ზოგადადამიანური თვალსაზრისითაც.

ამ კატეგორიის ადამიანებს თუ ჯგუფებს ასევე პრეტენზია აქვთ დიდ „დემოკრატიულობასა“ და „სიტყვის თავისუფლების” მებაირახტრეობაზე. გამომდინარე აქედან, ვიმედოვნებთ, ასევე გაუკეთებენ ტირაჟირებას ამ წერილს. მით უმეტეს, თუ ანონიმურ წერილებზე ასე ოპერატიულად რეაგირებთ, ბატონებო, ხელმოწერილმა უფრო უნდა დაგაინტერესოთ! გარწმუნებთ, მის პათოსს მრავალი ადამიანი იზიარებს(შეგიძლიათ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაც ჩაატაროთ). თუმცა, თქვენ საჭირბოროტო თემებზე ჯანსაღი და ობიექტური დისკუსია კი არ გაინტერესებთ, არამედ მხოლოდ ეკლესიის და სასულიერო პირების ცილისწამება და შეურაცხყოფა!

„გავაცნოთ ხალხს ეკლესიაში მიმდინარე პროცესები და პიროვნებები“ – მოგვიწოდებს I არხი. ჩვენც ვუერთდებით ამ მოწოდებას და გვაქვს სურვილი მართლაც დაიწყოს ობიექტური სურათის მიწოდება საზოგადოებისთვის. ვილაპარაკოთ თუნდაც თქვენგან მიზანში ამოღებულ მიტროპოლიტ დიმიტრიზე, რომელიც ეკლესიაში და საზოგადოებაში პატრიარქის ძმისშვილობით კი არ არის ცნობილი, როგორც თქვენ გინდათ წარმოაჩინოთ, არამედ საკუთარი ბიოგრაფიით – ეკლესიისა და ქვეყნისათვის ღვაწლით. მას ნათესაობით კი არ მოულწვია სინოდის წევრობისათვის, როგორც თქვენ გინდათ დაამკვიდროთ თქვენი წვრილმანი ღვარძლით შთაგონებული ილუზია, არამედ თავისი რწმენით, ცნობიერებით და მრავალწლიანი მოღვაწეობით. ამბობთ, გავაცნოთ საზოგადოებას მეუფე დიმიტრის მოღვაწეობაო. კი, ბატონო, გავაცნოთ! დაწყებული რელიგიური და ეროვნული საქმიანობით, შედეგით, რაც მის მოღვაწეობას მოჰყვა როგორც საქართველოს საზღვრებს გარეთ, ასევე თბილისში, მცხეთაში, კახეთში, ხევში და, რაც მთავარია, ერთ-ერთ რთულ რეგიონში – აჭარაში! ვაუწყოთ საზოგადოებას ის რთული ურთიერთობები, რომელიც მას აჭარის ძველ ხელისუფლებასთან ჰქონდა! ვაუწყოთ საზოგადოებას იმ მოვლენაზე, როცა ახალი ხელისუფლების პირობებში, 30-იანი წლების შემდეგ პირველად, ღია იერიში მიიტანეს ეკლესიაზე, გაიხსენეთ ფერიის მთაზე ტაძრის დანგრევა, სწორედ მის ეპარქიაში და მისი საპასუხო მოქმედებები! ვაუწყოთ ხალხს მისი მზრუნველობა ბავშვთა სახლსა და მოხუცებულთა თავშესაფარზე, მისი შრომა ეპარქიაში საგანმანათლებლო სისტემის განვითარებისა და სამონასტრო ცხოვრების აღორძინებისათვის! მიუძღვენით ერთი გადაცემა და, კი ბატონო, მოვუთხროთ სინამდვილე საზოგადოებას, თუ ჭეშმარიტად სიმართლისთვის ხართ მოწოდებული და არა სხვა რამისთვის.

კომიკურია ის შესაშური უვიცობა (როდესაც სხვას აბრალებენ, სახარება წაკითხული არ აქვთო), რასაც ამჟღავნებენ თქვენი ეგრეთწოდებული თეოლოგები. მეუფე დიმიტრის კომპრომეტაციის მიზნით, მისი ნათქვამი –”ვისაც იგი დაეცემა, გასრესს და ვინც მასზე დაეცემა, დაიმსხვრევა“ – გამოყენებული იქნა თითქოსდა მისი აგრესიული და ექსტრემისტული შეხედულებების დასადასტურებლად, არადა ეს ფრაზა სახარებიდან მოტანილი ციტატაა – „ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, შენობის ქვაკუთხედად იქცა“. გარდა ამისა, სიტყვები „და ვისაც იგი დაეცემა, გასრესს და ვინც მასზე დაეცემა, დაიმსხვრევა“, აზრის ხატოვანი გამოთქმაა. **მხოლოდ უკიდურესად უანბანო ადამიანებისთვისაა უცნობი** ის ფაქტი, რომ, როცა ეკლესია თავის მრევლს „მტრის” შემოტევისგან აფრთხილებს, მას მხედველობაში აქვს არა ფიზიკური ზიანი, არამედ მორალური საცდური!

ასეთი ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც მის წინააღმდეგ მიმდინარეობს, არც თუ სიახლეა მეუფე დიმიტრისთვის, ვინაიდან დიდი გამოცდილება აქვს მიღებული სულისკვეთებით თქვენს მსგავს კომკავშირულ აქტივთან და კაგებეს პროვოკატორებთან ბრძოლისა, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო.

მეუფე დიმიტრი ჯერ კიდევ მაშინ ებრძოდა საბჭოთა სისტემას (უფრო სწორად, სისტემა ებრძოდა მას), როცა დღევანდელი ფსევდო-ლიბერალები მაშინდელ დანაშაულებრივ სისტემას ემსახურებოდნენ. (მაგალითად, გია ნოდია, ფილოსოფიის ინსტიტუტში საქმიანობას კარგად უთავსებდა კაგებეს ინფორმატორობას, ისე რომ თანამშრომლები მის გამოჩენაზე საუბრებს წყვეტდნენ და სასწრაფოდ ტოვებდნენ იმ ადგილს, ხოლო, მის უახლეს კორუფციულ გარიგებებზე პროკურატურის ტომები საუბრობს). ჯერ კიდევ მაშინ, როცა თქვენი წინამორბედი კომკავშირული აქტივი, პარტიის დავალებით, წირვა-ლოცვის პროვოკაციულად ჩაშლის მცდელობებით იყო დაკავებული და ამგვარი პროვოკაციების აღკვეთის საპასუხოდ ხელჩართულ ჩხუბსაც არ ერიდებოდნენ სპეციალურად მომზადებული ჯანიანი კომკავშირლები; ჯერ კიდევ მაშინ, როცა აღდგომის ღამეს სიონში „ვზრივპაკეტების” შემოგდება, საპატრიარქოზე თავდასხმა, მისი გადაწვა და მსგავსი პროვოკაციები ხდებოდა, იქიდანვე უწევდა მეუფეს დაპირისპირებაში მონაწილეობა და არასდროს უკან არ დაუხევია. ასევე დიდი ბრძოლები აქვს გამოვლილი საბჭოთა ხელისუფლებასთან დღევანდელი სასულიერო პირების ნაწილსაც.

თქვენს მიერ წამოწეულ საკითხთან დაკავშირებით, რაც პატრიარქის ნათესაობის საკითხს უკავშირდება, – რა თქმა უნდა, უარყოფით კონტექსტში – ბექა მინდიაშვილი, რომელმაც, როგორც ჩანს, არ იცის ღირსეული ნათესაობის და ოჯახის ფასი, ვერ გაიგებს, რომ **ნათესაობა ზოგისთვის პრივილეგიაა, ზოგისთვის კი პასუხისმგებლობა.** შეიძლება ერთი ფაქტის მოტანა, რაც ბევრ რამეს ცხადყოფს ამ მხრივ: გოგი შიოლაშვილი, პატრიარქის ძმისშვილი და მეუფე დიმიტრის ძმა (ღმერთმა აცხონოს ამ დიდი მამულიშვილის ნათელი სული), მაშინ, როდესაც სასულიერო სემინარია დახურვის საფრთხის წინაშე დადგა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, მაშინ, როდესაც სრულებით არ აპირებდა სასულიერო პირის ცხოვრებით ცხოვრებას, შევიდა სასულიერო სემინარიაში და რამდენიმე წელი სწავლობდა, ვიდრე ახალმა ნაკადმა არ შეავსო საჭირო რაოდენობა, და შემდეგ, თავიდან ჩაბარა უნივერსიტეტში. ამ ქმედებით მაშინ მან გადაარჩინა სასულიერო სემინარია დახურვას. დღეს მის მამა-პაპისეულ სახლში მონასტერი ფუნქციონირებს. რამდენი ასეთი ფაქტის გახსენება შეიძლება!

და, რა თქმა უნდა, გააღიზიანებს ამ ხელისუფლებას ბათუმისა და ქობულეთის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტის ღვაწლი, რაც პირდაპირ აისახება ეკლესია-მონასტრების და მათში მოღვაწე სასულიერო პირების რაოდენობის ზრდაზე, მრევლის სულიერი ცხოვრების ამაღლებაზე, ქართული ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაზე, საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებაში მაღალი ზნეობრივი სტანდარტების დამკვიდრებაზე, და მრავალი კიდევ სხვა. მას აღიზიანებს აგრეთვე, რომ მეუფე დიმიტრის ძალისხმევით ფერიის მთაზე მაინც გაგრძელდა ეკლესიის მშენებლობა და ხელისუფლებას უკან დახევამ მოუწია. ასევე აღიზიანებს იქაური მრევლის აქტიურობა, როცა მიმდინარე წლის აგვისტოში ე.წ. „გეიპარადების” ბათუმში ჩატარების მცდელობას წინ აღუდგნენ, ასევე, ქობულეთში მოთხრილი ჯვარი რომ ხელახლა აღმართეს. აღიზიანებს, ფერიის მთაზე ბანას მსგავსი ტაძრის აშენების განზრახვაზე ხელი რომ ვერ აალებინეს ეპარქიის მმართველს, სადაც ხელისუფლებას მორიგი გასართობი პარკის მოწყობა უნდა, და მრავალი სხვა. საერთოდაც აღიზიანებთ ბოლშევიკების პირდაპირ შთამომავლებს ქართული სულის და ქრისტიანობის აღმავლობა ამ რეგიონში, მათმა წინაპრებმა აჭარის ავტონომია ხომ რელიგიური მოტივით შექმნეს, რაც ათეისტური სახელმწიფოსაგან სრული ნონსენსია! დღესაც კიდევ უფრო ართულებენ ვითარებას, **საპატრიარქოს პოზიციის იგნორირებით აპირებენ ამ რეგიონში ორი დიდი მეჩეთის აშენებას, ვითომცდა ოშკის რესტავრაციის სანაცვლოდ.**

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, როგორც პრობლემა, იქნა წამოწეული ამ გადაცემაში, იყო ის, თუ რატომ იზრდება ეპარქიების რაოდენობა. როგორც ეშმაკი ცოფდება ჯვრის დანახვაზე, ასევე იმოქმედა ჩვენს ამ ნეობოლშევიკებზე ეპარქიების რაოდენობის გაზრდამ. რატომ შეგაშფოთათ ეკლესიის სტრუქტურულმა გამრავლება-გაძლიერებამ?? რატომ მისტირით ბოლევიკების პერიოდს, როცა სულ 5-6 მოქმედი საეპისკოპოსო კათედრა, 70 -მდე მღვდელი და რამდენიმე ასეული სული მორწმუნე მრევლი არსებობდა? არ გინდათ აღიაროთ, რომ ეს გაყოფა კი არ განერვიულებთ, არამედ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

თქვენს გაღიზიანებას სიკეთის გამრავლება იწვევს. თქვენეული ციხიკური უტრირება — ყველა კუთხეს და ყველა სოფელს თავისი ეპისკოპოსი ეყოლებაო, —რას უნდა მივაწეროთ? საქართველოს ისტორიიდან ჩვენ უფრო მეტი ეპისკოპოსი და ეპარქიაც გვახსოვს.

სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის დაფინანსებაზე რომ საუბრობთ, გადამხდელების ფული იხარჯებაო, ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ სახელმწიფოსგან ეკლესიისთვის გამოყოფილი სახსრები საგანმანათლებლო და სარესტავრაციო საქმიანობაზე იხარჯება და არა ეპისკოპოსების პირადი ფუფუნებისა და საჭიროებისთვის. ეს რომ ასე იყოს, ამის დამადასტურებელი მასალების ფრიალს თქვენ ვინ დაგასწრებდათ! აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოყოფილი სახსრები, რომელიც ამ საქმეს ჰხმარდება, ისედაც ქართული სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს, და რას ამადლით ეკლესიას, გაუგებარია. თუ მართლა გულშემატკივრები ხართ, უმჯობესი იქნებოდა უარი გეთქვათ იმ სახსრებზე (სხვათაშორის, სახელმწიფოდან გამოყოფილ, ასევე გადამხდელთა ფულით), რომელიც გამოყოფილია ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიებისთვის. თქვით უარი თქვენს წილ 30 ვერცხლზე და ზოგიერთი სასულიერო პირის გადაბირების მცდელობის თანხებზეც, რომლებიც ბევრჯერ ათად აჭარბებს ეკლესიისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ სახსრებს!

რაც შეეხება იმას, თითქოსდა გულისტკივილით ზრუნავთ ასაკოვანი ეპისკოპოსების შემდგომ ბედზე, თქვენი სიტყვების სანდოობის ხარისხზე ისიც მეტყველებს, როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებთ ყველაზე ღვაწლმოსილი და ავტორიტეტული მღვდელმთავრის, საქართველოს პატრიარქის მიმართ.

აღმაშფოთებელი ისაა, რომ იმდენად აიშვით თავი, რომ წმინდანთა კანონიზაციის საკითხებსაც კი არ უთმობთ ეკლესიას და საკუთარი კრიტერიუმებით წყვეტთ, — რა როგორ და ვინ — როდის.

რასაც თავად ხართ მიჩვეული, იგივე გელანდებათ ეკლესიაშიც — ინტრიგა, ერთმანეთის დაუნდობლობა და ხელისუფლებისთვის ბრძოლა. ვერ წარმოგიდგენიათ, ადამიანი უანგაროდ ემსახუროს სარწმუნოებასა და სამშობლოს.

ეპისკოპოს წამალაიძის დედა-ეკლესიის წიაღში კვლავ დაბრუნება, როგორც არ უნდა აფასებდნენ მის საქმიანობას, ყველას უნდა უხაროდეს, მაგრამ თქვენ ამ ფაქტსაც კი უკულმართულ სარჩულს უდებთ და ეს წარმოჩნდა კიდეც ამ გადაცემაში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი ნდობა და ავტორიტეტი, ეკლესიის გაძლიერება, მრევლის ზრდა და სამოქალაქო ცხოვრებაში მათი კუთვნილი ადგილის დაკავების პერსპექტივა ხელისუფლების და მასთან დაახლოებული ჯგუფებისათვის შეშფოთების სერიოზულ მიზეზად რჩება, ამიტომაც საჭირო ხდება მდაბალი ინსტინქტებითა და ქვენა გრძნობების მიკერებით ახსნან ესა თუ ის გადაწყვეტილება თუ ქმედება.

აი, სწორედ აქ აკეთებთ ეშმაკის საქმეს — დაყავი და იბატონე! დემაგოგიურად აცხადებთ ამასთან დაკავშირებით — „ეშმაკი ყოფს, ღმერთი აერთიანებს“! ჯერ ერთი, წარმოდგენა არ გაქვთ, რა გამონათქვამი რას შეუსაბამოთ (ან გაქვთ და მიზანდასახულ დემაგოგიასთან გვაქვს საქმე). მეორეც, როცა ეპარქიების გამრავლებაზე ლაპარაკობთ, რასაც მეტი სიმძაფრის მისაცემად დაყოფას უწოდებთ, ცდილობთ ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევას, თავად ეკლესიის შიგნით ურთიერთდაჭვების სინდრომის დათესვას, სინოდის ერთიანობაში ბზარის შეტანას და სინოდის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებას (ამას ადასტურებს სწორედ სხდომის წინ ასეთი აჟიოტაჟის ატეხა).

პროდასავლურ და პრორუსულ ორიენტაციასთან დაკავშირებით როცა ლაპარაკობთ, უნდა ითქვას, რომ დასავლური ღირებულებები, გამიზნულად თუ სისულელით, თავად შეაძულეთ ხალხს. ამასთან, დასავლური ფასეულობებიდან იმას კი არ იღებთ, რაც ჭეშმარიტი ღირებულებებია და ამავდროულად ქართული ღირებულებების იდენტური, არამედ ისეთს, რაც არც დასავლური პროგრესული მსოფლმხედველობისთვისაა მისაღები და ჩვენთვის ხომ საერთოდ დამანგრეველია.

სხვათა შორის, კარგად ესადგება დღევანდელი ჩვენი ვითომ ლიბერალების მოღვაწეობას წმინდა გაბრიელ ქიქოძის ერთი ნათქვამი: “როდესაც უცხო ქვეყნებში წავლენ, იმას კი არ გადმოიღებენ იქიდან, რაც არის ღირსი ქებისა და ბაძვისა, არამედ გაისვრებიან იქაურსა “ნეხვსა” შინა და აქაც იგივეს ჩამოგვიტანენ, თითქოს ეს მასალა ჩვენში ნაკლებად იყოს”.

გვაჩვენეთ თუნდაც ერთი ცენტრალური არხი ამერიკაში ან ევროპაში, სადაც დაშვებულია უხამსობის, ძალადობის და ა. შ. სტიმულირება და პროპაგანდა, როგორც ეს ხდება თქვენს მიერვე კონტროლირებულ ქართულ არხებზე.

აღნიშნული გადაცემა და მისი მიზანი ერთ პატარა ეპიზოდს წარმოადგენს დიდი მზაკვრობისა და სიცრუისა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მსგავსი რამ I არხის ეთერით, ანუ საზოგადოებრივი ტელევიზიით, გადაიცა, რომელიც სინამდვილეში ხელისუფლების კონტროლქვეშაა და სახელად არის მხოლოდ საზოგადოებრივი. აქვე უნდა გავიხსენოთ ამ გადაცემის წამყვანის, დავით პაიჭაძის როლი, როცა იგი ანტიდემოკრატიული არჩევნების ცრუ შედეგებს “ატენიდა” საქართველოს მოსახლეობას ტელეეკრანიდან.

აცხადებთ — „ჭირი თავს არ მალავს“. თქვენზეა ზედგამოჭრილი! საქართველოს ჭირი თქვენ ხართ და თავსაც ვერ მალავთ (ამაში გვარიან გასამრჯელოსაც გიხდიან). რა შთამბეჭდავია, როცა რუსეთის სპეც-სამსახურების მიერ დასმული და დღესაც მხარდაჭერილი ხელისუფლება გიდგას უკან, I არხის ეთერიდან მშვიდი და “ინტელექტუალური” საუბრები გააჩაღო საქართველოს ეკლესიის წევრთა ანტიდასავლურობაზე!

თქვენ გინდათ ჩაითრიოთ ეკლესია თქვენს მიერ დაგეგმილ საყოველთაო ეგზალტაციისა და ანტირუსული ისტერიის სპექტაკლში, რომლის მიზანი, ერთი მხრივ, ამაღლებული და ჯანსაღი ნაციონალიზმის ნაცვლად, ქართველი ერისთვის უცხო, მდაბალი, შოვინისტური განწყობის დანერგვაა, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთისთვის პირდაპირი საბაბის მიცემა, რათა მას გაუადვილდეს ანტიქართული ქმედებების განხორციელება ისე, რომ ცივილიზებულ სამყაროს მოესპოს მასზე რეაგირების საშუალება.

თუკი ის იცი, რომ რუსეთის ეკლესია მისი ხელისუფლებისგან მართვადია, რატომ გინდა მისცე “საბაბი”, რათა მას საეკლესიო საზღვრების გადახედვის შესაძლებლობა მიეცეს? როგორც ჩვენმა ხელისუფლებამ უზრუნველყო რუსეთი “საბაბით”— ცხინვალზე შეტევის იმიტაციით— აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის “დამოუკიდებლობის” ცნობაზე. (ლომაიას ცნობილი ფრაზა — „ცხინვალი აღგვილია მიწისაგან პირისა“ — თუმცა, როგორც შემდგომ ვნახეთ, მხოლოდ ქართველებმა გაიღეს დიდი მსხვერპლი).[1]

ხელისუფლებისგან განსხვავებით, საქართველოს ეკლესია უდიდესი პასუხიმგებლობის გრძობითაა აღჭურვილი და ვერ მისცემს თავს უფლებას, მონაწილე გახდეს ისტერიული, ქართველისათვის უცხო და მიუღებელი თვისებების დანერგვის პროცესისა და ვერც ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების ხელშეწყობაში ჩაერთვება.

უნდა შევახსენოთ გადაცემის მონაწილეებს და მათ მსგავსთ, თუ ვინ გააკეთა საქართველოს, კონკრეტულად — აფხაზეთისა და ცხინვალის ინტერესების დასაცავად იმდენი, რამდენიც პატრიარქმა.

რაც შეეხება მმართველი გუნდის ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში ჩართულობას, ამასთან დაკავშირებით პირდაპირ ვიტყოდი, რომ ისინი და ამ მავნე პროცესების წარმმართველები ერთი იდეოლოგიური ფესვიდან არიან ნაკვებნი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი იდეური მოკავშირეები და თანამზრახველები არიან, მათი მსოფლმხედველობა ძირითადში ერთი და იგივეა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეექმნათ ამ ძალებს განსაკუთრებული სასთბურე პირობები, მიეცათ ყოველმხრივი საშუალება ფართოდ გაეშალათ თავიანთი მოღვაწეობა. ისინი გადანაწილდნენ ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორში, უპირველეს ყოვლისა განათლების სისტემასა და მასობრივი ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებში. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს „იდეოლოგიურ მეხუთე კოლონასთან“ და მის მოკავშირე-მფარველ ხელისუფლებასთან, რომელიც პრაქტიკულად აკონტროლებს დღეს მედია-სივრცეს.

ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობას წარმოადგენს კიდევ ერთი აზრი, რასაც ავითარებდნენ იმ ანონიმური წერილით. ეს ის აზრია, რომ „ეკლესია, რომელიც თავისი მნიშვნელობით პრაქტიკულად მთელ ქართულ საზოგადოებას ნიშნავს, ჩვენს თვალწინ სცილდება მის დანიშნულებას და ცალკე კასტურ-ქურუმულ ორდენად ყალიბდება“. ჯერ ის ვთქვათ, რომ, თქვენივე განსაზღვრებით, ეკლესია პრაქტიკულად მთელი ქართული საზოგადოებაა, მაშინ, თუკი ამას ხვდებით, რატომ განდგომილხართ და ამხედრებულხართ პრაქტიკულად მთელი ქართული საზოგადოების წინააღმდეგ? რატომ ცდილობთ, „პრაქტიკულად მთელი ქართული საზოგადოებიდან“ გამოყოფილი უმცირესობა, მთელ ქართულ საზოგადოებაზე ასე აგრესიული, ბოლშევიკური მეთოდებით ზემოქმედების მოხდენას, ფსიქოლოგიურ ძალადობას? თქვენვე აღიარებთ, რომ საზოგადოების უმცირესობა ხართ, მაგრამ გინდათ მართოთ უმრავლესობა. სწორედ უმცირესობა რომ ხართ, იმიტომ იყენებთ ასეთ მეთოდებს. ეს არის დემოკრატიის თქვენეული „პროდასავლური“ გაგება?..

სინამდვილეში კი, მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც არსებობის მთელ მანძილზე ადამიანთა გამოფხიზლების და გადარჩენის უცვლელი მისია აკისრია, უმთავრესი წინააღმდგომია ბოროტისა მისი მიზნების განხორციელების გზაზე და აქედან გამომდინარეა სწორედ ეკლესიის წინააღმდეგ თქვენი ბრძოლაც და ისიც, რომ “თავისუფლების ინსტიტუტის” ანტიქართული და უზნეო პრინციპები გინდათ დაამკვიდროთ საზოგადოებაში. ეკლესია ჩვენ წმიდა ილია მართლის ეროვნული და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებისკენ მოგვიწოდებს, თქვენ კი ბოკერიას, რამიშვილის, თევზაძის, პაიჭაძის, ზედანიას და მსგავსთა მათთა ფსევდოლიბერალიზმის დამკვიდრებისკენ. ეკლესია ჩვენ იაკობ გოგებაშვილის საგანმანათლებლო სისტემით შვილების აღზრდას გვასწავლის, თქვენ კი ლომაიას, თუთბერიძის, ნოდიას, გვარამიას, შაშკინის და ფლეტჩერის სისტემის თავსმოხვევა გინდათ. თქვენ ბოროტად სარგებლობთ ეკლესიის მშვიდობისმყოფელი, მოსიყვარულე, მომთმენი და მიმტევებელი ბუნებით და ამასთან მრევლის წაყრუებით, რის გამოც ჩამოყალიბდით გასული საუკუნის 20-30-იანი წლების „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მსგავს კრებულად. დიახ, ჩვენმა პასიურობამ და არაორგანიზებულობამ მოგცათ იმედი ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში წარმატებისა, რასაც, რა თქმა უნდა, უანგაროდ არ აწარმოებთ.

სხვათა შორის, ერთი რამ არის აქ დასაზუსტებელი: რას ვგულისხმობთ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში? ეკლესია, თავისი არსით, მისტიკური ორგანიზმია, იგია ქრისტეს სხეული, რომლის თავიც თავად მაცხოვარია და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.” მაგრამ ამ ბრძოლაში ადამიანების მისგან, — ცხოვრების და სიკეთის წყაროსგან, — მოწყვეტის მცდელობები იგულისხმება. ჩვენ ხშირად არასწორად ვხმარობთ ტერმინებს, მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ „ეკლესიას ვიცავთ!”. ეკლესიას კი არ ვიცავთ, — ეკლესია თავად არის ჩვენი დამცველი, არამედ ვიცავთ ჩვენს თავს და სხვა ადამიანებს — ჩვენს თანამემამულეებს, ჩვენს ცნობიერებას და მსოფლმხედველობას, რომ არ მოვსწყდეთ ეკლესიას და არ ავღმოჩნდეთ მსახური ბოროტებისა.

ახლა რაც შეეხება კიდევ ერთ ფორმულირებას — „პრობლემები ეკლესიაში.” ესეც არასწორია, ვინაიდან ეკლესიის პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს მოციქულთა ტრადიციებიდან გადახვევა, სწავლების დამახინჯება, მწვალებლობაში ჩავარდნა და სქიზმა. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას რომ ეს პრობლემები არ აქვს, ეს ცხადია და, ამდენად, საკითხის ასე დასმაც მიზანშეუწონელია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეკლესია თავის წიაღში ცოცხალ ადამიანებსაც მოიცავს, რომელთა შორის სასულიერო პირებიც იგულისხმება და საერო პირებიც. ამდენად, მათი მხრიდან გარკვეულ ინდივიდუალურ გადაცდომებს, გნებავთ —შეცოდებებს თუ სხვა სახის კანონიკურ-სამართლებრივ დარღვევებს შეიძლება მართლაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ამას უკვე საეკლესიო სამართალი არეგულირებს. არის საკითხები მხოლოდ სინოდის გასარკვევი, არის საკითხები, რომლებიც ეპარქიის მღვდელმთავრის კომპეტენციაა, და არის საკითხები, რომლებიც სამრევლო ტაძრის წინამძღვრის კომპეტენციის ფარგლებში წყდება.

რა არის „გარედან ჩარევა”, თუ მასში იგულისხმება ისეთი ტიპის მოქმედებები, რომ საზოგადოების [illegible] ნაწილი, გარკვეული [illegible] ოვრების საკითხებში მათი აზრის გათვალისწინებას და გადაწყეტილებებში მონაწილეობის მიღებას ითხოვს? ამასთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ, კანონიკურ სამართალზე დაყრდნობით, რომ ერისკაცის მონაწილეობას საეკლესიო საკითხებში თავისი წესი და რიგი აქვს. მართლმადიდებელი ეკლესიის დემოკრატიული მმართველობის ფორმა განსხვავდება დასავლეთის ეკლესიის ერთმმართველური ფორმისგან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პატრიარქი და იერარქები, რომლებიც სინოდს შეადგენენ და ამგვარად ეკლესიის ნებას გამოხატავენ, ამა სოფლიდან იძენენ ხელისუფლებას, — ვინაიდან მათი ხელისუფლება რომელიმე სახელმწიფო თუ საერო მმართველობიდან არ გამომდინარეობს, არამედ თვით ღმერთისგან, რომელიც არის თავი ეკლესიისა.

„გარედან ჩარევა”, რასაც თქვენ ესწრაფვით, ანუ შიდა ეკლესიური საკითხების საჯარო განხილვის მცდელობა არაეკლესიური ან ნაკლებად ეკლესიური ადამიანების მხრიდან, დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ გარედან ჩარევა ხდება მიზანმიმართულად საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციის და ფუნქციონირების ხელისშეშლის მიზნით. საქართველოს ხელისუფლებას თავად ევალება ეკლესიის ხელშეწყობა, მაგრამ გვაქვს აბსოლუტურად საპირისპირო სურათი — ხელისუფლება დღეს არის ეკლესიის მთავარი მტერი. სწორედ იქ იგეგმება ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები.

სამწუხაროდ, ჩვენ თავად ვერ ვუწევთ დედა ეკლესიას ღირსეულ შვილობას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ამდენს ვერ გაბედავდით. ეს არის დღევანდელი ყველაზე მტკივნეული მთავარი პრობლემა და ამაში დამნაშავე ჩვენც ვართ. მარტო თქვენ რას გერჩით! ნათქვამია, ეშმაკი იმდენად მოგერევა, რამდენადაც ამის საშუალებას თავად აძლევო. იმის საღად გააზრება, რაც ამ მხრივ ჩვენთან ხდება, უნდა დაგვეხმაროს გამოფხიზლებაში და სწორი ორიენტირების შერჩევაში. მტერს უნდა გავუფანტოთ იმის ილუზია, რომ მას ძალუძს ისე მოექცეს საქართველოს ეკლესიას და ქართველ ხალხს, როგორც სურს, და ამისთვის პასუხს არავინ მოსთხოვს. უნდა გავუფანტოთ მას იმის ილუზიაც, რომ რომელიმე მოღალატური და დანაშაულებრივი ქმედება დაუსჯელი დარჩება.

მამუკა გიორგაძე
19.12.2010

P.S. პასუხად სილიბისტრო თორდიას იდეურ მემკვიდრეებს — ნეობოლშევიკებს

ბოლშევიკურ საქართველოში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ და გაზეთ „მებრძოლი უღმერთოს“ ხელმძღვანელი გახლდათ სილიბისტრო თორდია. მას ეკუთვნის ცნობილი გარითმული ფრაზა:

„მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას,
თუკი მიბრძანებს პარტია ამას“

რისთვისაც მთაწმინდაზეც კი დასაფლავეს, მაგრამ ქართველმა ერმა, როცა ამის შესაძლებლობა მიეცა, შეაჩვენა და საფლავიდან ამოთხარა. დაფიქრდით ამაზე!

[1] შევახსენებთ მკითხველს 2008 წლის აგვისტოს ომის და მასში საქართველოს ხელისუფლების როლის დეტალებს. ომი, ქართული სოფლების საარტილერიო დაბომბვის ფონზე („სეპარატისტების“ მიერ) დაიწყო რუსეთმა და მოიგო იგი მანევრით. 6 და 7 აგვისტოს მან შემოიყვანა არმია, დაიკავა საკვანძო პოზიციები და მოახდინა ძალთა კონცენტრაცია. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ფაქტს დუმილით გვერდი აუარა. მისი პრორუსული პიარ-აქცია — ევაკუირებული ცხინვალისკენ გასროლა — მხოლოდ ამის შემდეგ, 7 აგვისტოს 23.35 საათზე მოხდა (რედ.)

SOS!

მიწა – ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი სივრცე

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გაეროს შესაბამისმა ორგანიზაციამ წერილობით გამოხატა თავისი გაკვირვება იმის გამო, რომ საქართველოში არ აღირიცხება მიწები და არ ხდება მიწის ბალანსის შედგენა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 2004 წლის მონაცემებით 3025.8 ათას ჰექტარს შეადგენდა, ხოლო საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემებით აღრიცხულია მხოლოდ 838.0 ათას ჰექტარი. სად დაიკარგა 2187.6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, დღემდე გაურკვეველია. სწორედ ამან გვიკარნახა მკითხველებისთვის მიგვეწოდებინა ჩვენეული ხედვა ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის – მიწათსარგებლობის მდგომარეობის – დარეგულირებისა.

მიწა ადამიანის ყველა სახის საქმიანობის საწყისი და საფუძველია, მისგან ვიღებთ საკვებს, თავშესაფარს, ადგილს სამუშაოდ. მიწას განსაკუთრებული მნიშვლელოვანი ადგილი უჭირავს ბუნებრივ რესურსებს შორის. ის წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის უმთავრეს მატერიალურ წინაპირობას. საწარმოო ძალებისა და ადამიანთა განთავსების სივრცობრივი და ეკონომიკური ზრდის ყველა ფაქტორის აღწარმოებითი პროცესების ნორმალური მიმდინარეობის საფუძველს. გონივრულად და დაკვირვებით მიწის მართვის აუცილებლობა და მისი რესურსების ინტენსიურად გამოყენების სირთულე ქმნის ერთიან საერთო გლობალურ საზრუნავს.

ქართველი ხალხის ისტორიულმა ორგანულმა კავშირმა მიწასთან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი ეთნოფსიქოლოგიური და ეთნოკულტურული საფუძვლების შექმნა და განვითარება. საქართველოს სიჯანსაღის საძირკველი ერის მიწასთან მარადიულ ურთიერთობასა და მიწასთან უღალატო კავშირშია.

მიწა ერისთვის მისი სახელმწიფო ტერიტორიაა, სასიცოცხლოდ აუცილებელი სივრცე, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

ჩვენი სამშობლო პირველ მიწათმოქმედთა („გეორგოს“ ბერძნულად „მიწათმოქმედს“ ნიშნავს) ქვეყანაა და ჩვენი წარსული და მომავალი გაპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური თუ ემოციური საწყისებით. სწორედ ამიტომ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი განსაკუთრებით უკავშირდება იმ სფეროს, რომლის სახელსაც ატარებს ჩვენი ქვეყანა. მიწა ქართველი გლეხკაცისთვის არა მარტო წარმოების საშუალებაა, არამედ მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელიც. მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს არა მარტო მისი, როგორც მეწარმე ინდივიდის, ფუნქციის მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის როგორც ეროვნული კულტურის საფუძვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლასაც.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე რესურსული პოტენციალის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და მის გონივრულ გამოყენებაზეა დამოკიდებული. რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი წილი ქვეყნის მთლიან ნივთობრივ სიმდიდრეში დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მახასიათებლებზე, ხოლო მეორე მხრივ ამ ქვეყანაში არსებული კაპიტალის რაოდენობასა და სტრუქტურაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ნივთობრივი სიმდიდრის შემადგენლობაში მიწის წილი, როგორც წესი, დაბალია და პირიქით. **აშშ-ის კაპიტალის და მიწის ღირებულება 1985 წელს 12.5 ტრილიონ დოლარად იყო შეფასებული, რომელშიც მიწის წილი მხოლოდ 18%-ს შეადგენდა; ხოლო საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ. აშშ-ის დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54.3% ეკავა.** უდავოა ისიც, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, რაც მეტი ნივთობრივი სიმდიდრე გააჩნია ქვეყანას, მით უფრო მეტი ერთობლივი შიგა პროდუქტის წარმოება შეუძლია ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. აღნიშნულის გამო მიწის რესურსები ყველგან და ყოველთვის მოიაზრებოდა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისთვის აუცილებელი დოვლათის წარმოების მყარ ეკონომიკურ საფუძველად. **მართალია, დღეს მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, აღარ განიხილება ერთადერთ „სიმდიდრის დედად“, მაგრამ ფაქტია, რომ ის არის და, ჩვენი აზრით, დიდხანს დარჩება „არსობის პურის“ მოპოვების უალტერნატივო საშუალებად.** გავიხსენოთ ვ. პეტის სიტყვები: „შრომა არის ნივთობრივი სიმდიდრის მამა, ხოლო მიწა – მისი დედა“. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იმ ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, მაქსიმალური უკუგებით გამოყენების აგრარული პოლიტიკა, როგორც წესი, გადაწყვეტილი აქვთ საკუთარი ქვეყნის სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) პრობლემა. მათ რიცხვშია აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, კანადა, ავსტრალია და სხვა, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სურსათის მსოფლიო ბაზრის ფორმირებაში და კონიუნქტურის განსაზღვრაში. აქვე უნდა ითქვას, **რომ დღეისათვის საქართველო სამწუხაროდ, იმ ქვეყნების ჩამონათვალშია, რომლებიც სურსათზე მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს იმპორტირებული საკვები პროდუქტების ხარჯზე იკმაყოფილებენ.** საგანგაშო აქ, ჩვენი აზრით, უფრო ის არის, რომ სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ჩვენს ქვეყანაში კრიტიკულ ზღვრამდე მიჩნეულ ნიშნულზე (0,5) ბევრად ქვემოთაა და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების დონე შემცირების ნაცვლად პერმანენტულად იზრდება. თანაც იმ პირობებში, როცა მსოფლიო ბაზარზე განუწყვეტლივ იზრდება სურსათის ფასები და კეთდება შემაშფოთებელი პროგნოზები 2010-15 წლებში მსოფლიოში სურსათის პრობლემის გამწვავების თაობაზე. ამ კონტექსტში გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება ქვეყნის ძირითადი ნივთობრივი სიმდიდრის მიმართ, რომელიც **სრულიად არაადეკვატურია მსოფლიოში უახლოეს წლებში პროგნოზირებული სასურსათო კრიზისისა და სხვა გლობალური გამოწვევების მიმართ.** ფაქტია, რომ დღეს ჩვენს მცირემიწიან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე არ არსებობს მოთხოვნა (სხვაგვარად უკანასკნელ წლებში დასამუშავებული მიწის ნახევარზე მეტი დაუმუშავებელი, მიტოვებული არ იქნებოდა), **რაც უტყუარი ნიშანია იმისა, რომ მიწამ დაკარგა „მარჩენალის“ ფუნქცია, ანუ ის არსებულ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოში სოფლად საქონელმწარმოებელს ვერ აძლევს იმ დონის შემოსავალს, რომელიც საკმარისი იქნებოდა ოჯახის შენახვისა და სამეურნეო საქმიანობის აღწარმოებისთვის.** სწორედ ამიტომ იცლება მთისა თუ ბარის სოფლები ახალგაზრდებისგან, პრაქტიკულად ყველა დიდ თუ პატარა სოფელში ვითარდება საშიში დემოგრაფიული პროცესი, რაც უპირველეს ყოვლისა, სოფლად მცხოვრებთა შორის ხანდაზმული ადამიანების ხვედრითი წილის გადიდებაში და მოზარდთა წილის შემცირებაში პოულობს გამოხატულებას.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ **სოფლად დღეს არსებული უმძიმესი კრიზისული სიტუაცია და არასახარბიელო სოციალური ფონი ძირითადად აგრარულ საკითხებში მთავრობის მონაწილეობის პასიური როლითაა განპირობებული.** ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიწის რეფორმის გატარების შემდეგ ხელისუფლებას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ საოჯახო მეურნეობისთვის საკუთრებაში უფასოდ გადაცემული მიწა ეკონომიკური თვალსაზრისით რეალიზებადი ყოფილიყო, ანუ მიწის მესაკუთრისთვის მოეტანა ეკონომიკური მოგება. **ეს კი მაშინ მოხდებოდა, თუ მთავრობა მცირეოდენ დახმარებას მაინც გაუწევდა რეფორმის შედეგად წარმოშობილ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ახალ ფენას ფეხზე დადგომისთვის.** მხედველობაში გვაქვს მცირე ნაკვეთებად დანაწევრებული მიწის კონსოლიდაციისათვის ხელშეწყობა, ტექნიკური, ფინანსური და სხვა არსებითი ხასიათის პრობლემების მოგვარება. პირიქით, აგრარული რეფორმის შემდგომ წლებში თითქოს განგებ კეთდებოდა ყველაფერი მიწაზე კერძო საკუთრების **დისკრედიტაციისთვის.** კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ მიწის ახლადფეხადგმული წვრილი მესაკუთრეებისთვის მიეცათ რაიმე არსებითი შეღავათები, პირიქით, ისინი დაიბეგრნენ მიწის გადასახადის საკმაოდ მაღალი განაკვეთებით (მაშინ როცა აღნიშნული გადასახადი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში პრაქტიკულად სიმბოლურ ხასიათს ატარებდა). **2010 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი: „სახელმწიფო ქონების შესახებ“ რომლითაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასაყიდი საწყისი ნორმატიული ფასი საგრძნობლად გაზრდილია. ხოლო ახალი საგადასახადო კოდექსით, რომელიც ძალაშია 2011 წლიდან, იზრდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი.** დღემდე მოუგვარებელია სოფლად საქონელმწარმოებელთა საჭირო კრედიტების ხელმისაწვდომობის, წარმოებული პროდუქციის გარანტირებული რეალიზაციისა და სხვა არსებითი ხასიათის პრობლემები.

აგრარული წარმოება, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან იდენტიფიცირდება, რადგან აქ მიწის რესურსია ძირითადი და წარმოების მთავარი ფაქტორი. ამდენად, იმის მიხედვით თუ როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოში არსებული მიწის ფონდის მართვისადმი, შედარებით ადვილად პროგნოზირებადია შედეგიც. **ჩვენი აზრით, აგროსექტორის დეგრადაციის ათვლის წერტილად 2004 წელი უნდა ჩაითვალოს, ანუ ის წელი, როცა ქვეყანაში ლიკვიდირებულ იქნა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი.** მართალია მისი ფუნქციები სხვა სამინისტროებზე გადანაწილდა (იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების), მაგრამ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას – მიწების აღრიცხვისა და მიწის ბალანსის შედგენისა, რომელსაც საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი ასრულებდა – დღემდე არც ერთი სამინისტრო არ ასრულებს. **მიწების აღრიცხვისა და მიწის ბალანსის შედგენის ფუნქციები ჯერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაეცა, რომელმაც გაურკვეველი მიზეზების გამო უარი განაცხადა ამ ფუნქციების მიღებაზე. შემდგომ იგი სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა, თუმცა შედეგი აქაც სავალალოა.**

2004 წლიდან საქართველოში შეწყდა ყველაზე ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრის – მიწის (**ერის განსაკუთრებული ინტერესის საგანის**) – ერთიანი ბალანსის (ანუ, მიწის აღრიცხვის და კონტროლის) შედგენისა და დამუშავების აპრობირებული პრაქტიკა, რასაც დეპარტამენტი რაიონებიდან – ავტონომიური წარმონაქმნებიდან მიღებული პირველადი მასალების დამუშავების და განზოგადების საფუძველზე აკეთებდა. **დღეს ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული (ან საპრივატიზებო) მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ იცოდეს, როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები (სასოფლო- სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო), რა საზღვრებში რჩება საქართველო (ოთხი მოსაზღვრე ქვეყნიდან სამთან დღემდე არ გვაქვს დადგენილი სახელმწიფო საზღვარი) და მისი ცალკეული მხარეები და რაიონები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რა რაოდენობა წავიდა ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველთა საფუძველია.** მეტიც, დღეს უცნობია რა ცვლილებები მოხდა მიწათსარგებლობაში 2004 წლიდან განვლილ პერიოდში, როგორ გამოიყენება მიწის სავარგულები, აქედან, რამდენია დაქვემდებარებული ქარისმიერ თუ წყლისმიერ ეროზიას, რა უნდა გაკეთდეს მიწის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, რატომ, ან რა მოტივით, გააუქმა ხელისუფლებამ მიწის მართვის სამსახური და მიწის ბალანსის შედგენის ყოველწლიური პრაქტიკა. ეს კითხვები დღემდე პასუხგაუცემელია.

საქართველოს ძირითადი ნივთობრივი სიმდიდრის ყოველწლიურ ბალანსში მიწა აღირიცხებოდა დანიშნულებისა და კატეგორიების, აგრეთვე საკუთრებისა და სარგებლობის ფორმების მიხედვით. მასში აისახებოდა წლის განმავლობაში მიწის კატეგორიებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და საკუთრება-სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები. მიწის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებული სამინისტროების და უწყებების მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწების უფრო რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ.

დღეს ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მიწის ფონდის

მე-4 გვერდიდან

უკანასკნელი ბალანსის მიხედვით ქვეყნის საერთო მიწის ფონდიდან (7.6 მლნ.ჰა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეადგენდა 3771.2 ათ. ჰა-ს, საიდანაც 3025.8 ათ. ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოდიოდა (მათ შორის სახნავი 802.1 ათ.ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 263.5 ათ. ჰა, სათიბი – 149.5, საძოვარი 1796.6 ათ. ჰა. კერძო საკუთრებაში გაცემული იყო 767.3 ათ. ჰა, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა 447.2 ათ. ჰა ინტენსიური სავარგული), ამასთან, სავსებით უცნობია, 2004 წლის შემდგომ პერიოდში რა ხასიათის რაოდენობრივი ცვლილებები მოხდა მიწის საერთო ფონდის სტრუქტურაში, რა რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა დარჩა ქვეყანაში (ამ კითხვაზე პასუხის მიღების ინტერესს ამაღლებს ის რომ 1997 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი: **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“**, რომელიც ნებას რთავდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მეპატრონეს სურვილისა და სათანადო თანხის გადახდის შემთხვევაში მიწა გადაეყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიაში), რა ტრანსფორმაცია მოხდა სავარგულების სტრუქტურაში, რა რაოდენობის ინტენსიური სავარგულია დღეს საქართველოში, მათგან რამდენია პრივატიზებული, რამდენი რჩება სახელმწიფო საკუთრებაში და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, სადაც მიწის ყოველწლიური ბალანსი ან მსგავსი რამ არ კეთდებოდეს, ანუ არ აკონტროლებდნენ მიწის რესურსების მოძრაობას (დინამიკას), ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით არ აანალიზებდნენ მიწის კატეგორიებში მომხდარ რაოდენობრივ-ხარისხობრივ ცვლილებებს და არ სახავდნენ ქმედით ღონისძიებებს მიწის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით.

ამავე კონტექსტში უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული ტექნიკური და ფინანსური დახმარებისა, საქართველოს დღემდე არ გააჩნია მიწის სრულყოფილი სახელმწიფო კადასტრი, რომელიც მიწის რაოდენობრივ აღრიცხვასთან ერთად უნდა მოიცავდეს მიწის ხარისხობრივ აღრიცხვას, მიწის ეკონომიკურ შეფასებას და მიწათმოსარგებლეთა სახელმწიფო რეგისტრაციას. ჩამოთვლილი კომპონენტებიდან დღეს საქართველოში მხოლოდ მიწათმოსარგებლეთა სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემაა მოწესრიგებული, რომელიც ბაზარზე მიწის ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების და მიწის მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტებს აღრიცხავს. რაც შეეხება მიწის ხარისხობრივი ნიშნით აღრიცხვას (რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას – რამდენად ღირებულია სამეურნეო თვალსაზრისით ესა თუ ის მიწის ნაკვეთი როგორც ბუნებრივი რესურსი და წარმოების საშუალება) მასზე მუშაობა დღემდე დაწყებულიც არ არის.

იგივე შეიძლება ითქვას მიწის ეკონომიკური შეფასების თაობაზე, რომელმაც უნდა **დაადგინოს მიწის შეფარდებითი ღირებულება ცალკეული რაიონის თუ მხარის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.** მიწის ეკონომიკურ შეფასებაში მოიაზრება მიწის როგორც წარმოების ძირითადი საშუალების შემოსავლიანობის დონე, მიწის ხარისხი და პროდუქციის გასაღების ბაზრის მიმართ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა.

მიწის სახელმწიფო კადასტრის ბოლო ორი კომპონენტი (მიწის ხარისხობრივი აღრიცხვა და ეკონომიკური შეფასება) აუცილებელია მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის, მიწაზე გადასახადის ზომის დადგენის, მიწის იპოთეკით დატვირთვის და სხვა სამეურნეო და ფინანსური ოპერაციების განხორციელებისთვის. მიუხედავად ამისა, როგორც მიწის ხარისხობრივი აღრიცხვის, ისე ეკონომიკური შეფასების საკითხები დღემდე მოუგვარებელია (ამიტომაცაა, რომ დღემდე სოფლად საქონელმწარმოებელი გადასახადს იხდის: **„კარგ მიწაზე“, „საშუალო მიწაზე“** და **„ცუდ მიწაზე“**. მაგრამ რას ნიშნავს **კარგი, საშუალო** და **ცუდი** მიწა ვერავინ დაგისაბუთებთ).

დაბოლოს, მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე მსჯელობა უხერხულიცაა, როცა არ არსებობს მიწის ფონდის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მდგომარეობის **მონიტორინგი,** ანუ მიწაზე დაკვირვების ორგანიზაციული სისტემა. მან უნდა გამოავლინოს მიწასთან დაკავშირებული ყველა ნეგატიური პროცესი და მოვლენა, რათა გატარდეს შესაბამისი ზომები მათი დროული აღმოფხვრისათვის. საყურადღებოა რომ ყველა ქვეყანაში მიწის მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა. მიწაზე მონიტორინგი ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურის მიერ და ის პრაქტიკულად უზრუნველყოფს მიწის სახელმწიფო კადასტრის ინფორმაციულ მომსახურებას და შესაბამის კონტროლს მიწის გამოყენებასა და დაცვაზე.

მიწის მონიტორინგმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს – როგორია მიწათსარგებლობის საერთო მდგომარეობა ქვეყანაში, რა არასასურველი ცვლილებებია მოსალოდნელი მიწის ნაყოფიერებაში და რა პრევენციული ზომებია მისაღები მის აღსაკვეთად, როგორია ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიული პროცესების დინამიკა, როგორია ნიადაგში ჰუმუსის ბალანსი, მიმდინარეობს თუ არა მიწის დაჭაობების ან გაუდაბნოების პროცესი, როგორია პესტიციდებით, მძიმე მეტალებით და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების დონე და. ა.შ. ამ კითხვებზე შესაბამისი პასუხების მოძიება დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან არ არსებობს მონიტორინგის შესაბამისი სამსახური. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 2003 წლის მონაცემებით, საქართველოში ეროზიულ პროცესებს ექვემდებარებოდა 300 ათ. ჰა-მდე ინტენსიური სავარგული (უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს ეროზირებული ფართობების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტი იქნება). კოლხეთის დაბლობზე შეიმჩნევა მეორადი დაჭაობების პროცესი (სულ დაშრობილი იყო 140 ათასი ჰა), გარე კახეთში – გაუდაბნოებისა, დიდი პრობლემაა ბიცობი და დამლაშებული ნიადაგები, რომელთა ფართობი 220 ათას ჰა-მდეა და ა.შ. ექსპერტული შეფასებით, დღეისათვის ეროზიის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ყოველწლიურად იკარგება ერთი მლნ. აშშ დოლარის ღირებულების მინერალური სასუქების ეკვივალენტური რაოდენობის საკვები ელემენტები. ჰუმუსისა და საკვები ელემენტების ბალანსი პრაქტიკულად ყველა ტიპის ნიადაგში უარყოფითია, რაც არ უნდა იყოს მოულოდნელი თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალოდ 1 ჰა-ზე არც თუ შორეულ წარსულში ყოველწლიურად 160-170 კგ. მინერალური სასუქები შეიტანებოდა, რაც დღეს მხოლოდ 12-15 კგ. ფარგლებში მერყეობს (სამეურნეო პრაქტიკიდან საერთოდ ამოვარდა თესლბრუნვები, სიდერატების თესვა, მიკრობიოლოგიური სასუქების გამოყენება, რაც ბუნებრივია, ამცირებს ჰუმუსის შემცველობას და შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერებას). რაც შეეხება კოლხეთში მეორადი დაჭაობებისა (თითქმის 30 ათასი ჰა) და კახეთში გაუდაბნოების მასშტაბებს, აღნიშნულის თაობაზე ბუნებრივია ექსპერტული შეფასებით ვერ ვიმსჯელებთ, სხვა ოფიციალური მონაცემები კი სამწუხაროდ, არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის შედეგია, რომ **მიწის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამიწათმოწყობო ინსტიტუტები და ლაბორატორიები, გაჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა ინჟინერ-მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება.**

როცა ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალური გამოყენების გზებზე ვისაუბრებთ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ინტენსიური სავარგულების განსახელმწიფოებრიობის საკითხს (მათი საერთო ფართობი 400 ათ. ჰა-ს აღემატება), რომელთა პრივატიზება ვერ ხერხდება ძირითადად იმის გამო, რომ დღეს საქართველოში მიწაზე და აგრარულ შრომაზე არ არის მოთხოვნა (ჩვენი აზრით, მიწის პრივატიზება უნდა განხორციელდეს გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის ფორმით). როგორც ერთი, ისე მეორე ფაქტორის მიწოდება ბევრად აღემატება მათზე მოთხოვნას, რის გამოც როგორც მიწას, ასევე აგრარულ შრომას არა აქვს ჯეროვანი ფასი. აღნიშნულ ფაქტორებზე მოთხოვნა მათი მონაწილეობით შექმნილ პროდუქციაზე მოთხოვნის გადიდებაზეა დამოკიდებული, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, გამოიწვევს მიწისა და აგრარული შრომის ზღვრული სარგებლობის გაზრდას და მათზე, შესაბამისად, მოთხოვნის გადიდებას. მაგრამ ეს რომ ასე მოხდეს, საჭიროა პრინციპულად ახალი აგრარული პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც რეალურად არსებობს აგროწარმოების, წარმოების მხედველობაში გვაქვს [illegible] ბული მიწების კონსოლიდაციისთვის ხელშეწყობა, აგროსექტორის განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება, აგროწარმოებისა და მისი აღწარმოების საშუალებებზე ფასების პარიტეტის დადგენა და დაცვა, სოფლად კოოპერატიული მოძრაობის განვითარებისთვის ხელშეწყობა და სხვა პრობლემების დარეგულირება, რომელიც საბოლოო ანგარიშით სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და შრომის მოტივაციის ამაღლებას უკავშირდება. ამასთან ერთად, აქვე უნდა აღვნიშნოთ, **რომ გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური ეფექტის მიღება შეუძლებელი იქნება მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, მიწაზე მონიტორინგის და მიწის სათანადო დაცვის გარეშე.** ამ მიზნით მიგვაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში (რომელსაც გადაცემული აქვს ქვეყანაში მიწის აღრიცხვის და მიწის ბალანსის შედგენის ფუნქციები) **საჭიროა დროულად შეიქმნას მძლავრი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება.**

პაატა კოლუაშვილი,
სტუ, სრული პროფესორი, ემდ
გიორგი ზიბზიბაძე,
აეი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ეად
ანზორ მესხიშვილი,
დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში, ეად

საქართველოს სახალხო ფრონტის 2010 წლის წლიური

საფინანსო დეკლარაცია

2010 წლის განმავლობაში ორგანიზაციას არ ჰქონია არავითარი სახის ფინანსური შემოსავალი და, შესაბამისად, გასავალი, არ აქვს თანხები საბანკო ანგარიშებზე. ორგანიზაცია არ ფლობს საკუთრებაში შენობა-ნაგებობებს და სატრანსპორტო საშუალებებს.

2010 წლის განმავლობაში პარტიას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე
ნოდარ ნათაძე
22.1.2011 წელი

ინდივიდუალური აუდიტორი
ლიანა ტაველურაშვილი
თბილისი, სულთნიშნის შესახვევი №4
ტელ.: 899 96 34 65
857-77-88-70

20 იანვარი 2011 წ.

აუდიტორული დასკვნა

მე, ინდივიდუალურმა აუდიტორმა ლიანა ტაველურაშვილმა ჩავატარე პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სახალხო ფრონტი“-ს (თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე) მიერ წარმოდგენილი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის შედგენილი წლიური ანგარიშის აუდიტი.

ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებასა და უტყუარობაზე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ შესაბამისად (მუხლი 14) პასუხისმგებელია დამკვეთი, ხოლო მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმ დასკვნაზე, რომელიც ჩემს მიერ არის შედგენილი იმ ფინანსური მონაცემების აუდიტიდან გამომდინარე, რაც წარმოადგინა პოლიტიკურმა გაერთიანება „საქართველოს სახალხო ფრონტმა“.

აუდიტი ჩავატარე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარ დაგეგმვას და შემოწმებას, რაც საშუალებას მომცემდა დავრწმუნებულიყავი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს და თავისუფალია ყოველგვარი უზუსტობისგან.

გარდა ამისა, აუდიტმა მოიცვა საფინანსო ანგარიშგების ციფრობრივი მასალის შერჩევითი შემოწმება და გამოყენებული ბუღალტრული (ფინანსური) პრინციპებისა და მნიშვნელოვანი პროგნოზირების შეფასება. ჩატარებული სამუშაოდან გამომდინარე, ვადასტურებ, რომ 2010 წელს პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოს სახალხო ფრონტს“ შემოსავლები არ მიუღია.

დ-აუდიტორი:
ლ. ტაველურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ ანადგურებთ ქართველ გლეხს!

ოდეს წახდა გლეხიკაცი,
საქართველო დაძაბუნდა
არჩილ მეფე

ადამიანები მხოლოდ ჭამისთვის არ ცხოვრობენ. არც მხოლოდ პროდუქციის შექმნისთვის თავისუფალი ეკონომიკის პირობებში, არც ბიუჯეტის შევსებისთვის. ისინი ცხოვრობენ იმისთვისაც, რომ გვარი და ჯიში გააგრძელონ, ერი გაამრავლონ, სამშობლოს ფესვი გაამაგრონ, ახარონ და ადღეგრძელონ იგი აწ და მარადის. ადამიანთა ერთ-ერთი სოციალური კატეგორიაა გლეხი. ეს სიტყვა სინონიმი არაა არც „არანასწავლის", არც „ტლუსი", არც „დაბალი ღობისა". იგი სინონიმია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა", „საკუთარ ფესვზე მდგომისა", „ერის ფესვისა და რეზერვისა". ამიტომაც სასოფლო-სამეურნო პოლიტიკა არის, სხვა ყველა ამოცანასთან ერთად, სოფლის მოსახლეობის მოფრთხილებისა და საზოგადოების გამოსაკვებად შისი შრომის სტიმულირების პოლიტიკა. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში – ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. რადგან მათ იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნო პოლიტიკა აქვს. რა ხდება ჩვენთან? ჩვენთან ამ მხრივ ძალიან სერიოზული პრობლემებია.

შეცდომების ჩამონათვალი, რომელმაც საქართველოს სოფლის მეურნეობა დღევანდელ გაურანებულ მდგომარეობამდე მიიყვანა, საკმაოდ გრძელია, მათ მრავლად უშვებდა მთავრობა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ხან გააზრებულად და ხანაც გაუაზრებლად. ფაქტია, რომ დღეს გლეხკაცი მიწისგან ისევეა გაუცხოებული, როგორც გასული საუკუნის 70-იან წლებში, მაგრამ თუ მაშინ თვითონ მან მისცა პრიორიტეტი ოჯახის გამოსაკვებად არასასოფლო-სამეურნეო შრომას, დღეს ის იძულებულია მარჩენალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიატოვოს და **ნებისმიერი** შრომით დაკავდეს ამა თუ იმ ქალაქსა თუ ქვეყანაში, ოღონდაც თავისი ოჯახი გადაარჩინოს. ეჭვი არ არის, რომ აღნიშნული მდგომარეობის ძირითადი მიზეზი სოფლად შექმნილი გაუსაძლისი საწარმოო-ეკონომიკური და სოციალური პირობებია, რომლის გასაუმჯობესებლად მთავრობის მიერ ამ ორი ათეული წლის მანძილზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა. ამის დასამტკიცებლად ჯერ კიდევ 1997 წელს დამტკიცებული აგრარული პოლიტიკის კონცეფციაც გამოდგება, რომელშიც ოთხ ენაზე შავით თეთრზე, დროსა და სივრცეში გაწერილი იყო ყველა ის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხსენებული სამთავრობო დოკუმენტის მიღებიდან 10 წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო აგრარულ სექტორში (მათ შორის, მიწის რეფორმის დასრულება და პარცელური მეურნეობის ნეგატიური შედეგების დაძლევა, საშუალო და გრძელვადიანი პრიორიტეტების გამოყოფა, ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის მაქსიმალური უზრუნველყოფის და საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდების მიზნით, აგრარული ბაზრის დაცვა და ა.შ.), მაგრამ, როგორც ჩვენში ხდება ხოლმე, დაპირება ქაღალდზე დაპირებად დარჩა.

დაპირებებს დღევანდელი მთავრობაც იძლევა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა დაპირება, უკეთეს შემთხვევაში, სიტყვად რჩება, ხოლო უარეს შემთხვევაში, პირიქით, უფრო ამძიმებს მიწის მუშაკის მდგომარეობას. ამის ნათელი მაგალითია სულ ახლახან ხელისუფლების მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრიორიტეტად გამოცხადება. ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტად აღიარება იმის მანიშნებელია, რომ მას სხვა დარგებთან შედარებით მეტი ყურადღება ექცევა. მთავრობა ზრუნავს მისთვის გარკვეული იმიჯის შექმნაზე, შესაძლო ფარგლებში საგადასახადო თუ სხვა ხასიათის შეღავათების დაწესებაზე და ა.შ. ამ კონტექსტში ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მთავრობის მხრიდან სრულიად საპირისპირო ქმედება ხორციელდება. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად (რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლიდან) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი მნიშვნელოვნად იზრდება. კერძოდ, თუ 2011 წლამდე სახნავზე და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ მიწებზე წლიური გადასახადი 1 ჰა „კარგი" მიწისთვის 13-57 ლარის ფარგლებში მერყეობდა („მწირი" მიწისთვის შესაბამისად 8-დან 31 ლარამდე), ახალი კოდექსით გადასახადის განაკვეთი ზღვრული ოდენობის ფარგლებში 50-დან 100 ლარამდეა გათვალისწინებული. შედარებით ნაკლებინტენსიური სავარგულისთვის (სათიბი, საძოვარი) ძველი კოდექსით ყოველ ჰექტარზე 1,5 ლარიდან 8 ლარამდე იყო დადგენილი, ხოლო ახალი კოდექსით საგადასახადო განაკვეთი 1.5 ლარიდან 20 ლარამდეა განსაზღვრული. უფრო მეტიც, ახალი კოდექსით ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებს უფლება ეძლევათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის განაკვეთი გაზარდონ 150%-ით. ეს იმ დროს, როცა საქართველოში ვერავინ გეტყვით, რას ნიშნავს „კარგი" ან „მწირი" მიწა. რა კონკრეტული კრიტერიუმებით უნდა იქნას ის ობიექტურად დადგენილი, არც ძველი და არც ახალი კოდექსით არ არის განმარტებული. მიწის ასეთ კატეგორიებად დაყოფას მხოლოდ სუბიექტური შეხედულება აქვს საფუძვლად, რადგან დღეს ქვეყანაში არ არსებობს მიწის სახელმწიფო კადასტრი (ისეთი, როგორც ტყის, წყლის, წიაღისეულის და ა.შ.), ე.ი. არავინ იცის მიწის ხარისხი და მისი კადასტრული ღირებულება, ადგილმდებარეობა გასაღების ბაზრის მიმართ და სხვა მახასიათებლები. ასეთ ვითარებაში მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ტოტალურად ყველა მიწა შეფასდება უმაღლესი კატეგორიის მიწად და ის, თუ როგორ გადიდდება მასზე გადასახადი ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

მთავრობის ზემოაღწერილი დამოკიდებულება სოფლად მიწის მესაკუთრეთა მიმართ მართლზომიერი იქნებოდა მაშინ, თუ მიწაზე მეურნეობრიობიდან მიღებულ შემოსავალს ზრდადი ხასიათი ექნებოდა. მაგრამ დღეს, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები კატასტროფულად ეცემა, როცა ადგილი აქვს დამუშავებაში არსებული მიწების მასობრივად მიტოვების ფაქტებს (რაზედაც ოფიციალური სტატისტიკაც მეტყველებს), როცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და აგრარულ შრომაზე არ არსებობს მოთხოვნა, ხელისუფლების მიერ მიწაზე გადასახადის ამგვარი გაზრდა სოფლად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისადმი აბსოლუტურად არაადეკვატურია.

საზოგადოებისთვის უცნობია, რა არგუმენტები ჰქონდათ საგადასახადო კოდექსის ავტორებს ასეთი არამართლზომიერი ნორმატიული აქტის მიღებისთვის, რომელიც, ჩვენის აზრით, კიდევ უფრო **დააჩქარებს საქართველოში სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, წითელ წიგნში შეტანის ტემპს.**

სავსებით ალოგიკური და არაადეკვატურია ასევე „სახელმწიფო ქონების შესახებ" 2010 წლის 21 ივლისს მიღებული საქართველოს კანონის ის ნორმა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იჯარით გაუცემელი მიწების გასაყიდი ფასი მიწის გადასახადის საბაზისო განაკვეთის მხოლოდ ორმაგი ოდენობა იყო, ახალი კანონით ის ოცმაგი (!) ოდენობა გახდა. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის დაჩქარებული პრივატიზების მიზნით საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე კანონი მიიღო, თუმცა ამ კატეგორიის მიწის პრივატიზება მაინც ვერ მოხერხდა ერთი უბრალო მიზეზის გამო – სოფლად ადგილობრივ მცხოვრებთ საამისო თანხები არ აღმოაჩნდათ. საინტერესოა, ახლა საიდან უნდა მოიტანონ მათ ეს თანხები, თანაც 20-ჯერ მეტი, ვიდრე ეს წინათ იყო. პასუხი ცალსახად ნათელია – **ალბათ მთავრობას გამიზნული აქვს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირებზე გასხვისება.** ამის დაშვება მართლაც რომ რუბიკონის გადალახვის ტოლფასი იქნება. **ეს გამოიწვევს არა მარტო ქართველი გლეხკაცის, როგორც მეწარმე სუბიექტის, გაქრობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია – სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის, მოშლასაც.**

დღეს ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე – მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი, მფლობელი და გაჭირვების გამო გამყიდველი – არაკონკურენტუნარიანია შრავალ სხვა სუბიექტთან მიმართებაში. ამ უკანასკნელებს შესაძლებლობა ეძლევათ შეიძინონ საქართველოს **მთელი მიწა** ანუ ქართველ ერს წართვან მისი საარსებო ბაზა აწ და სამარადისოდ. ამით საქართველოს ისტორიას, როგორც ქვეყანისას, წერტილი ესმება.

ის, რაც ზემოთ ითქვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ, საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებია. ამ ფონზე საინტერესოა, რას გვპირდება მთავრობა ახლო მომავალში ურბანული მიწების რეგისტრაციის მიმართულებით.

საქართველოს პარლამენტში იხილება კანონპროექტი „ქონების ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ". პროექტით გათვალისწინებულია, რომ თუ კანონდარღვევით შედგენილია

ა) მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი,

ბ) მიწის სარეგისტრაციო მოწმობა საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერით,

გ) მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული წიგნაკი,

დ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,

მაშინ მიწის ლეგალიზების საფასური შეადგენს მიწის (უძრავი ქონების) ნორმატიულ ფასს, ხოლო ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, მცხეთის, დაბა ბაკურიანის, დაბა გუდაურის და სოფელ ანაკლიის ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე მოქცეული უძრავი ქონების (მიწის) ლეგალიზების საფასური განსაზღვრულია ერთ კვადრატულ მეტრზე 10 ლარით. დღეს მოქმედი კანონით „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწების ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების შესახებ" (თუ ფიზიკურ პირს მიტაცებული აქვს მიწის ნაკვეთი და უკანონოდ აშენებული აქვს საცხოვრებელი სახლი) ეს თანხა არის 2,4 ლარიდან 7,2 ლარამდე (რიგ შემთხვევებში უფასოა). ამასთან, დოკუმენტაციის გამცემის მიერ დაშვებული ხარვეზების გამო ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირი არ ჯარიმდება დამატებითი თანხით. ამგვარად, ახლა მოსარგებლეს გადასახადი ეზრდება საშუალოდ ორკეცად და უარეს შემთხვევაში – ათკეცად. კანონპროექტში არ არის განმარტებული, როგორ დადგინდება და ვინ დაადგენს, კანონდარღვევით თუ არის შედგენილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მიწის სარეგისტრაციო მოწმობა, მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული წიგნაკი და, რაც მთავარია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, არც ის, თუ რა დანაშაული მოუძღვის მოქალაქეს (ფიზიკურ პირს), თუ სახელმწიფო ორგანიზაციამ, ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრმა, კანონის დარღვევით გასცა ამონაწერი, ან რა შუაშია მოქალაქე, თუკი მიწის რეფორმის კომისიამ არასწორად გამოსცა მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი. რატომ უნდა გადაიხადოს მოქალაქემ ამისთვის ათასობით ლარი? კანონის პროექტის ავტორებს, როგორც ჩანს, არ უფიქრიათ იმაზე, რომ სოფლად მაცხოვრებელი კომლების უმრავლესობას დღემდე არა აქვთ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები რეგისტრირებული, რადგან ერთი მიწის ნაკვეთის აზომვა და რეგისტრაციის საფასური საშუალოდ სულ ცოტა 100-200 ლარი ჯდება. კანონპროექტით ყველა ცალკე ნაკვეთს ცალკე რეგისტრაცია ეკუთვნის. კომლების დიდი უმრავლესობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები წარმოდგენილია სივრცობრივად დაშორებულ 2-4 ნაკვეთად, ზოგიერთ შემთხვევაში (განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში) 5-7 ნაკვეთად. ასეთი მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია 1000 ლარამდე დაჯდება (2005 წლამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირველადი რეგისტრაცია იყო უფასო, მეორადი რეგისტრაცია ღირდა 7 ლარი). მიწის რეფორმის პერიოდში ხდებოდა მიწების დაჩქარებული გაცემა და რეგისტრაცია, იმისათვის, რომ გლეხებს სასწრაფო წესით მიელოთ მიწის ნაკვეთი, დაემუშავებინათ და არ დაწყებულიყო მასობრივი შიმშილობა. ასეთ პირობებში არ არის გამორიცხული, რომ რეფორმის კომისიები დაუშვებდნენ მიღება-ჩაბარების აქტებში შეცდომებს და ხარვეზებით გააფორმებდნენ დოკუმენტებს. ასევე, შეცდომებს ეშება ადგილი მებაღეობის ამხანაგობების მიერ გაცემულ წიგნაკებში და მიწის სარეგისტრაციო მოწმობებში. ეს ყოველივე ეჭვს ბადებს, პროექტის ავტორებს ხომ არ სურთ დააწიოკონ ქართველი გლეხობა (ასევე თბილისელები, რომლებსაც მიწის ნაკვეთები მიღებული აქვთ თბილისის საგარეუბნეო ზონაში) და დიდი თანხები ამოიღონ. ან, კიდევ უარესი, **მათ იციან, რომ გლეხობას ფული არა აქვს, ვერ გადაიხდიან და უნდათ წაართვან მიწები, უფრო სწორად, აიძულონ, სახელმწიფოს ჩააბარონ მათი კუთვნილი მიწები (უცხო მუშტრებზე გასაყიდად),** როგორც ეს ხდება ქ. თბილისში, მცხეთის, გარდაბნის, ბორჯომის, ოზურგეთისა და სხვა რაიონებში (იხილეთ უკანასკნელ პერიოდში რამდენი განცხადებაა შესული საჯარო რეესტრის საგენტოში მიწის ნაკვეთის მიტოვებისა და სახელმწიფოზე ჩაბარების შესახებ).

ასევე გათვალისწინებულია „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა, რომლითაც ქონების ლეგალიზაციის შემთხვევაში სარეგისტრაციო მომსახურების საფასური ნაცვლად დღეს არსებული 50 ლარისა 100 ლარი უნდა გახდეს, ხოლო თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის და ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ უძრავ ქონებაზე 500 ლარი.

დასკვნა. ახალი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება (განსაკუთრებით, მიწასთან მიმართებაში) მოითხოვს არსებულ რეალობასა და პერსპექტივაზე მრავალმხრივ გათვლილ, კომპლექსურ მიდგომას. სწორად განსაზღვრულ, რაციონალურ საგადასახადო სისტემას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააჩნდეს ეკონომიკური აქტივობის მასტიმულირებელი ფუნქცია და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მისი მოაზრება ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ეფექტურ წყაროდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მძიმე ტვირთად დააწვება მოსახლეობას, სტიმულს მისცემს მთელი რიგი უარყოფითი პროცესების განვითარებას (სამეწარმეო აქტივობის მოშლა, მიწისა და სხვა ქონების იძულებითი გაყიდვა, სოფლების დაცლა, უმუშევრობის ზრდა, აგრარული კრიზისის გაღრმავება) და, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არ მოხდება ფისკალური ეფექტის მიღებაც.

როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ქართველი ერის ერთიანი სასიცოცხლო სივრცის აუცილებელი ნაწილია, მეტიც, მისი სიცოცხლის ძირითადი ბაზაა. სამწუხაროდ, ეს სივრცე გიორგი ბრწყინვალის შემდეგ შაგრენის ტყავივით ხელში გვადგება. საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას მისი შემდგომი შემცირება. აქედან გამომდინარე, ჩვენი თაობის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს არა წინაპართა ოფლითა და სისხლით გაპოხილი მიწის გასხვისებაგანიავება, არამედ მომავალი თაობებისთვის მისაღები გარემო პირობების (მათ შორის ბუნებრივი რესურსების) შენარჩუნება. ეს მომავალი თაობების უფლებაა და მისი ხელყოფა არავის ეპატიება.

p.s. როგორც ცნობილი გახდა, ცვლილება შეიტანეს „ქონების საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასაყიდი გაზრდილი ფასები ამოღებულ იქნა და მათი დადგენა დაევალა საქართველოს მთავრობას 2011 წლის 1 თებერვლამდე. ახლა უნდა ველოდოთ, რა ფასებს დაადგენს საქართველოს მთავრობა – გაზრდის გასაყიდ ფასებს, თუ გამოიჩენს შორსმჭვრეტელობას და დაადგენს გონივრულ, ქართველი გლეხკაცისთვის ხელმისაწვდომ ფასებს.

პაატა კოლუაშვილი
სტუ სრული პროფესორი,
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჭრო: ვიყურებით ახლო წარსულისკენ

ე.წ. „ოპოზიციას“, რომელიც ამ სამი წლის წინათ მოედნებზე და სახელისუფლებო ტელეეკრანებზე სამშობლოს ხსნის იმედს თესავდა, დღეს მხოლოდ დაფუშული ოპოზიცია ჰქვია. არცერთი სხვა ეპითეტი მას არ ეკუთვნის: არც „მოღალატე“; რადგან უცხოელთა მსახური მასში ყველა არ არის, არც „ვაყიდული“; რადგან „ზემოდან“ ჩამოცვენილ ბანკნოტებს ყველანი არ დაჰხარბებიან და მმართველ გუნდშიც არ შესულან, არც „ერთუჯრედიანი“; რადგან სულელია. ეს კატეგორია მასში უმცირესობაა. თვით ტერმინი „პრიმიტიულად მოაზროვნენიც“ კი მის განზოგადებულ დახასიათებად ვერ გამოდგება, რადგან მას, სულ ცოტა, ერთი გამონაკლისი მაინც ურჩება ქ-ნ სალომე ზურაბიშვილის სახით. დაახლოებით იგივე ითქმის ტერმინზე „უპასუხისმგებლო“. ეს ოპოზიცია მუხტ და ჰაერგამოცლილია იმიტომ, რომ ორიენტაცია აიღო უკრიტიკოდ განწყობილ აუდიტორიაზე (ძირითადად – ტელეარხების მრევლზე), რომელმაც არ მოსთხოვა სახელმწიფოს მართვის პროგრამა („რას გვპირებ?“), მოქმედების გეგმა ზოგად ხაზებში (რას მიპირებ?), დაახლოებით მაინც სუფთა პოლიტიკური ბიოგრაფია (ვინ ხარ?), ვაუკაცობის მინიმუმი, თავდადების მინიმუმი და მტკიცე ნება, რომელიც „მოთამაშე“ კაცის ბუნებაში ვერ თავსდება. „სამხრეებმითვისებულმა“ „ლიდერებმაც“, შესაბამისად, მრევლს ვერაფერი მოსთხოვეს ბრმა და უსაფუძვლო ნდობის გარდა. ახლა ამ „სამხრეებმითვისებულებს“ ისღა დარჩენიათ (თუ თავმოყვარეობა აქვთ) გვერდზე ჩამოდგნენ და მათზე უფრო უნარიანებს ფეხებში არ გაებლანდონ. ან, კიდევ უკეთესი: ასპარეზზე დარჩნენ. მაგრამ რიგითებად და არა მარშლებად, რადგან მარშალი თავის ვაუკაცობას რიგითობისას ცდის და არა მაშინ, როცა უკვე სარდლობის ტვირთი აწევს.

ვბეჭდავთ ერთი ალალი ქართველი კაცის ორ წერილს, რომელიც მაშინ, როცა დრო იყო, ვერ დავბეჭდეთ, რადგან კონკრეტული მომენტის სულისკვეთების არა მთლად შესაფერისად გვეჩვენა. ავტორს ბოდიშს ვუხდით დაგვიანებისათვის, წერილთა ადრესატებს კი იმისთვის, რომ ამ წერილებში „შენობით“ იხსენიებიან და არა „თქვენობით“. მიმართვის ეს ფორმა ჩვენ გვესმის მხოლოდ, როგორც გულითაობის, პირდაპირობის გამოხატულება ჯარისკაცისაგან მეთაურისადმი.

ორივე წერილი ღია წერილია. მათი დედნები პირადად ჩაჰბარდათ ავტორის ხელით ადრესატებს იმ მიტინგებზე, რომლებიც ტექსტშია მოხსენიებული.

ლევან!

ეს წერილი თავიდან ბოლომდე დინჯად წაიკითხე – ნუ აფხუკიანდები! ერისკაცობა მძიმე ტვირთია – რაც მთავარია, ხომ თითქოს ნამდვილად ქართული გული გაქვს?! გონებასაც ძალიან, ძალიან მაგრად შეეჭიდე, კარგადაც გაიკითხე საზოგადოებაში, რაღაცეებში გარკვევა-წაკითხვასაც ნუ დაიზარებ-გადასდებ და... ეგ არის და გორის ციხეე!.. (შენ გაგიმართლა – „დუშაში“ მოგივიდა, გამოგარჩიეს. გაამართლე!)

სერიოზული შეცდომაა ნაძირალა ლაშა ბუღაძის (არაკაც მამამისთან ერთად), იმ ვერაგული შტუდიების მოხმობა-განმეორება, რაც ეხება, თითქოს, რომ ქართველებს არასოდეს შეეძლოთ ომების მოგება – ისინი მხოლოდ ბრძოლებს იგებდნენო და იქვე თმობდნენო(?!) (მაშ რაღა ვუყოთ საერთოდ ბაგრატიონთა და კერძოდ თუნდაც დავითის და თამარის საუკუნეს გაწვდენილ უძლეველ იმპერიებს... თუმცა ყველა იმპერია ადრე თუ გვიან ყოველთვის მთავრდება....). ეს ვერაგული შეგნებული თვითგვემაა სულით ხორცამდე მოსყიდული უჯიშობისა! ნუ ჩარევ ამ საქმეში გაუბედურებულ და ახალგაზრდა ყარყარაშვილის ალბათ ნაჩქარევ გამონათქვამებს, რაც თავის მართლება იყო მარცხისა, რომელიც მის გარეშე წინასწარ მზაკვრულად თანმიმდევრულად უზრუნველჰყო გამყიდველმა შევარდნაძემ – იგი ამას დღესაც ვერ მიხვედრილა...

შენ მაინც ნუ შეურაცხჰყოფ ერს, როცა რატომღაც პირდაპირ მხოლოდ საკუთარ თავზე იღებ ბარლდებას ცნობილი „იპოდრომის ფიასკოზე“ და („არა შეჯდა მწყერი ხესაო“)..., იწყებ „თეორეტიკოსობას“, „სტრატეგობას“ და „ცვედანობის“ ფიასკოს გამართლებას ერის რაღაც მოგონილ-შეთხზული, ვითომ ორგანული პათოლოგიით... არ ეგების ფარნავაზის, გორგასალის, დავითის, თამარის და სხვათა (შენ გაგრძელე ჩამოთვლა) ერის ასეთი გაბიაბურება...

მეტსაც გეტყვი. აპრიორია: მერაბ კოსტავასდარი ყოჩი სწორედ იმ დაკარგულ დღეს დინჯად და უხიფათოდ აქცევდა ქართველი ხალხის ტრიუმფად! იმ ხანებში წამდაუწუმ ფაღარათიანებივით ევროპაში და ოკეანის გაღმა „მოვიაჟე“ ქვეგამხედვერ ვირთხებივით „ექსესული“ – ვითომ „ინტელექტუალობაზე“ მოპრეტენზიე ცნობილ ორორ ძმათა პლუს „ოჯახის“ შემადგენლობით – არამც თუ დაბლოკავდა ერის ნებას, კრინტსაც ვერ დაძრავდნენ, სოროში ჩაძვრებოდნენ! დიახ, ამ „ექსესულმა“ გარედანაც მტრებისგან მიღებული დავალებით შეძლო „იპოდრომის ფიასკოს“ მოწყობა, რომელსაც დღესაც ფარულად კვლავ ასაზრდოებს ლევან რამაშვილის შტაბბინად ცნობილი „კრაზანების ბუდე“ ყოველმხრივი რესურსებით. მათ შეძლეს ეს არც თუ შენი გულუბრყვილობის (იქნებ, სიბრიყვისაც) ვერაგულად გამოყენების გარეშე! მაშინ „ექსესული“ ადვილად მიახვედრეს, რომ „მათი დრო არ იყო ჯერ მოწიფებული ქვეყანაში“ და ისინი ფიასკოსთვის გამოიყენეს მრავალჯერად! ვერ დავიჯერებ, რომ შენც შეგნებულად გაგვყიდე!

ვთქვით უკვე: დავივიწყოთ ეს იპოდრომის ფიასკო, ან კიდევ უპირობოდ გადავდოთ მისი შეფასება მომავლისათვის. დავუბრუნდეთ ამ თემას შემდეგ, გამარჯვებულ მშვიდ და უხიფათო გარემოში!

ამასთანავე, სასწრაფოდ, დროზე უნდა შეძლოთ საკაშვილის საჯაროდ მხილება (და ამის ხმამაღლა გაცხადება), როგორც აშკარად რუსეთის რეზიდენტისა (თუმცა არა მხოლოდ რუსეთისა), თუ არა, მაშინ უკვე შეუქცევადად, დღითი დღე ვაგებთ საინფორმაციო ომს ამერიკაშიც და ევროპაშიც. ეს უებარი საშუალება და ბოლო შანსია: თუ რამის შნო გაქვთ იმოქმედეთ ჭკვიანად და სწრაფად!!!

26 მაისისათვის იმოქმედეთ ძირითადად არასამთავრობო მასობრივი ორგანიზაციების, ძლიერი სამოქალაქო ძალების ჩართვით და გამოყენებით!

თავიდანვე გთხოვ, ნუ გამბრაზდები, ყმაწვილო, კიდევ მაქვს რაღაც მნიშვნელოვანი სათქმელი. მე პატარა მთიული ერეკლეს სახელითაც გელაპარაკები. გახსოვს, ყინვა-სიცხეში თავისი მამა-პაპისეული მთიულური ნაბადი რომ დაგითმო მოშიმშილეს?! (სამწუხაროდ, იმ ღამესვე დაგარბიეს!). თუ გაიხსენე, ალალი იყოს! არც იმ ნათქვამი „პირობის“ შესრულებას მოგთხოვს ერეკლე დრომდე (გამარჯვებულებმა შენს ძმასთან „უცნობთან“ ერთად სურათი გადავიღოთ და მისი დისკი მაჩუქეთო). მაგრამ ჩვენს გულწრფელ თანადგომასა და მამობრივად ხალას ჩარევა-მთხოვნა-რჩევაში ეჭვს ნუ შეიტან. გამარჯვებას გისურვებთ – საქართველო უპირველეს ყოვლისა! (ეს ნამდვილად ჩემი სიტყვებია, ძნელ დროსა და საქმეში!)

P.S. აქვე ვარ, ნაჩქარევად და ცოტა არევით გწერ. არცაა უკვე დალაგების დრო. შენ მინდა ირწმუნო, რომ მაინც ბევრი შეგიძლია! დამიჯერე! შოუმენობა-ღამისთევით და ასე ხალხის გამთაყვანებით ერის ენერგიის გამოფიტვა, უშედეგო ორთქლის გამოშვება ხდება. შენიშვნებზე ხალხთან ფხუკიანობას მოეშვი – ხალხი საქმეს გთხოვს. ტორმუზები (სიდინჯე) დროზე გამოიყენე!

შეეცადე დაეკონტაქტო (მგონი მაინც ვაუკაცური სულის, დამჯდარი ბუნებისაა) გოგი თოფაძეს – (ალბათ მასში უკვე გაიხსნა საქვეყნო ჯიგარი). ქვეყნისათვის ყველაფერი გვერდზე უნდა გადადოთ (დაივიწყოთ), შესთავაზე შენს გვერდით დგომა – შენც მის გვერდით ყოფნა (სამშობლოს ჯარისკაცობა ვერაფის დაამცირებს!), ამევე კახა შარტავასაც, მამუკა კაციტაძესაც, სალომე ზურაბიშვილს, ჯერ მთლად ვერგარკვეულ ეკა ბესელიასაც, ზვიადს, კუკავას და სხვებს. ზოგიერთს კაცურად ბოლომდე გვერდზე დგომა შესთავაზე... – თქვენ ერთად ბოლომდე თუ დადგებით, ეს თქვენი ჯგუფი, მერწმუნეთ, აიკრიფავს მთელ საქართველოს და გაბრწყინდებით საქართველოთი! ეს აუცილებელია: საქმეს ინტელექტუალური რესურსი და შემართება ჭირდება ყველა შემდგომი ნაბიჯის გათვლით, შედეგზე ორიენტირებით...

P.S.[1] და თუ მაინც თქვენ არა, ანდერძად დამიგდია – თავის დროზე უკვე ჩემმა ერეკლემ შეჰყაროს და შეკრას „ფიცის ხალხი“ და უკვე გარდუვალად ქნას საქმნელი!!! ის იზამს! დღეს თქვენგან ველით საქმეს!

P.S.[2] თუმცა უმნიშვნელოვანესია და მივესალმები ისეთ გრანდიოზულ ორგანიზებულ შეკრებაზე ვაი-პრეზიდენტის გადაყენების სახალხო ნების საჯაროდ, მსოფლიოს წინაშე გაცხადებას, უნდა ფრთხილად ვიყოთ, გავითვალოთ ყველაფერი. არ ვიცი, მე არც სტადიონზე მოსალოდნელი „ჯერარნახული“ „ანშლაგი“ მომწონს, ზოგიერთი ოპოზიციონერის უკვე ქვეგამხედვარი ქცევაც ძალიან მაფიქრებს და მაშფოთებს. მე ხომ არ ვიცნობ აქციის გეგმის შემდგომ ლოგიკურ ნაბიჯებს, რაც, ალბათ გააზრებული გაქვთ, (საქმე კი შედეგით ფასდება) – ჩაკეტილ სივრცეში სოროსის ამ უჯიშო ვირთხებმა რამე არ მოაწყონ (თუნდაც „ჩამონგრევა“ ვერაგული ეპიდემია და სხვ.)

13.05.09 ერეკლეს ბაბუ

P.S.[0] ეს ვირთხა („პრეზიდენტი“) ცეცხლითა და მახვილით გვანადგურებს (პუტინის მიერ შერჩეული საქართველოს კომენდანტია იგი) აშკარა სახელმწიფო მოღალატეა, გამყიდველია და შენ პასიურად ელოდები მთლად მოსპობას – ამის იურიდიული მტკიცებულება არ გვაქვსო! როცა მოგსპობს, არც მაშინ გექნება ეს მტკიცებულება. გიჟია და საშიშიაო, აშინებ ხალხს! აღარ გაბედო ამის განმეორება!

თქვენთან ვართ მე და ერეკლე, რომელიც 1-2 წელიწადში სიმაღლეშიც წამოგეწევა ან გაგისწრებს და აფხაზეთში დაღვრილ მამის სისხლს საქმეშიც მოიკითხავს!

მშვენიერო სალომე!

თუ ის გონიერია, ვისაც დეთათბირე მერაბიშვილის მოადგილეობაზე, ის ან უბრალოდ არაკომპეტენტური ყოფილა (ამ შემთხვევაში საერთოდ დაბალი ინტელექტისაც), ან არაკეთილმოსურნე (თანაც ჭკვიანი ვირეშმაკი), ანაც ჩვეულებრივი ზერელე, ხმებს აყოლილი სიმპათიური ბრიყვი (როგორიც მრავლადაა). გირჩევ: დროზე უარყავი შენი ეს „გადაწყვეტილება“ – მონახე საამისო „ფორმა“, ვინაიდან იგი შენი და დისკრეტიზაციისათვის ძალზედ ადვილად გამოსაყენებელია. ეს მე ძალიან კარგად ვიცი! (ნამდვილი პოლიტიკური შენი მტერი, ამას ნიჭიერად გამოიყენებდა – საბოლოოდ ჩამოგწერდა. ეს თახსირები კი დაუზოგავად „გაგაპარჩაკებენ“. მათ ეს ჯერ ვერ მოისაზრეს (საბედნიეროდ!).

შენ „ჟანა დარკობა“ დაგმშვენდებოდა, გვერდით რომ ღირსეული და გონიერი „საჭურველმტვირთველი“ გყავდეს (რომელიც ნამდვილად არა გყავს) – ჟანას კი ნამდვილად ჰყავდა!

...დაგრჩა ჰეროიკული (გმირი) დედოფლის ფუნქცია (ცალადყოფილად დარჩენილის), ვინაიდან შენი პარტნიორობისათვის ყველა პირწმინდად უღირსია – განსაკუთარებით ის, ვინც თურმე „ჭყონდიდელობაზეც“ კი დებს თავს.

ამ შენი უკანასკნელი ფუნქციით შენი რეალიზება შესაძლებელია და ამას ყველაზე მეტადაც კი შეიძლებ!..

დაუკვირდი, ეს ბრძოლა გაიჭიმა და ეროვნულ ძალას დღემდე ძალმოსილად ვერ წამოუყენებია ყველასათვის აშკარა, ძირითადი, მთავარი ქმედითი და მარტივად ჭეშმარიტი ბრლადება ვაიპრეზიდენტისათვის – ბრალდება მიზანმიმართულ სახელმწიფო არაერთგზის ღალატში. თუ მისი ჩამოყალიბების (თუნდაც უამრავი მტრული სახელმწიფო აქტების ფაქტობრივი ჩამონათვალის ანალიზის) შნოც და უნარიც არ შეგრჩათ (რაც კარგა ხანია ცხადად და აპრიორად მიაჩნია მთელ ერს და, დამუხტული, თავის ღირსეულ ყოჩს ელოდება), მაშინ გაგვეცალეთ მაინც აქედან! სიტყვაა აზრიანად და ხმამაღლა სათქმელი და საქმე ბოლომდეა მისაყვანი! მით უმეტეს, ასეთი „პრეზიდენტის“ – მტრების რეზიდენტის და თუნდაც რუსეთის მოქალაქე საგარეო საქმეთა მინისტრის უბადრუკი ვაშაძის „გაჯეჯილებისას“).

სხვანაირად თქვენი ეს ბრძოლა, ასეთი ე.წ. დამოკრეტიული, ჰუმანური, კონსტიტუციური აქციები უაზრო მორიგი ორთქლის გამოშვებაა, ღლაბუცია და ერის ენერგიის საბოლოო გამოფიტვას ემსახურება. თქვენ არ არქმევთ დღეს არსებულ პრობლემას თავის ნამდვილ სახელს – „სახელმწიფო ღალატს“ (ძალზედ ნიჭიერად ძირითადში რუსეთის რეზიდენტობას, მაგრამ არა მხოლოდ რუსეთისას) „გაეროდან“ და დიპლომატიური კორპუსიდან რა გიკვირს, რომ „ტუზემცებივით“ ჩაგჩიჩინებენ უსაგნო ფსევდოციცილურ, დემოკრატიულ, ჰუმანურ ქვედებებზე? ამ რეალობის ფონზე ეს თქვენგან აშკარად ცვედანობაა! (მაპატიეთ უმშვენიერესო სალომე, მაგრამ მეც გამიგე!). „მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია“... (ვაჟა). „მტერსა რომ მტრულად დაუხვდე, თავად უფალმა ბრძანაო!“ (ვაჟა). აფსუს, მერაბ კოსტავა!!! უმისობამ თუნდაც იპოდრომის აქციის და იმ დღის მთელი მსოფლიოს წინაშე გარდაუვალი ტრიუმფი, ფიასკოდ გვიქცია! ღალატი და ცვედანობა – სიბრყვით მოხდა ეს! – თავად მიხვდით მისი!

გამარჯვებით! მიგულეთ თქვენთან (მყავს პატარა შვილიშვილი – ერეკლე, რომლის მომავლისათვის ბოლომდე და თავდაუზოგავად ვიბრძოლებ, თუნდაც მარტო!)

P.S. პირადი მობილური ნომერი მინდოდა მეთხოვა, მაგრამ... რაღა დროსია!

P.S.1 ნუთუ ვერა ხვდებით, რომ სააკაშვილმა, (გაგრძელა რა შევარდნაძის საქმე), წარმატებით შეასრულა თავისი ბოროტი ფუნქცია, აგრძელებს ჩვენი ბოლომდე მოსპობის დავალებას... (სხვათა შორის ოსის ბიჭუნაც ყოფილა ეს დამაქცევარი და ახლაც გიკვირთ რაც მოხდა და ხდება?)

P.S.[2] ნუთუ მართლა გგონიათ, რომ დასავლეთი ნამდვილად ვერაფერს ხვდება, ვერ ხედავს ვინ და საიდან არის სააკაშვილი, და რომ იგი მათ „დავალებებსაც“ წარმატებით ასრულებს, მათ შორის, ჩვენი ცალკეული სამეზობლოს პათოლოგიური მიმტაცებლური ინტერესების მაქსიმალურად გასათვალისწინებლადაც.

P.S.[3] ყოველდღიურად გულსა გვტკენთ თქვენი ე.წ. გუნდური აბსურდებით; გაჩუმდეს ის მაინც, ვისაც საკუთარი „უთავობის“ თუ სიბრიყვის გამო ეს უპირობოდ მოეთხოვება; დამაფიქრებელია ზოგიერთების ისეთი განცხადებაც: მე და სააკაშვილს ქვეყნის მიმართ უბრალოდ განსხვავებული, სხვადასხვა „ხედვა“ გვაქვსო. ხო არ გვაბოლებთ? – ქვეყნის მტრობა, მისი მოსპობა „უბრალოდ სხვა ხედვათ“ აღიქვა, მხოლოდ საეჭვოა? კვლავაც ქუჩაში მილიონის გამოყვანას უპასუხისმგებლო თავდაჯერებულობით უადგილო მუქარა კი „ბერწი ყოჩის“ ფორთხვას მოჰგავს... (მგონი, სწორედ მაგანაც გაგვყიდა!?!)...

P.S.[4] „მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს!“ (ყაზბეგი) სისხლი, მეტადრე ღალატის, უსისხლოდ ვერ განიბანების! გიცქერით და... ჩემი „მზერა“ ვერ მოგასვენებთ!!! ღმერთმა შემინდოს და მეჩვენება,რომ „იპოდრომის ფიასკოს“ ავტორები იშიფრებიან და ლუსტრირებული იქნენ 26 მაისს. მოლიანობაში ეს საკნების შოუ, თავისი მაესტროთი და პირადად ქანთარია-ნანეიშვილის ე.წ. „ქართული აკადემიით“ მზაკვრულად ორგანიზებულ, ვირეშმაკულ, როგორც იტყვიან, ფარსად მეჩვენება – ბათიაშვილ-ხაინდრავა-ბერძენიშვილებთან და „კავკასიის“ მეშვეობით მთ მსგავსებთან ერთად მარიაჟი-კეკლუცობით. აღდგომა და ხვალაო...

P.S.[5] ბოდიშს გთხოვთ ასეთი ნაწერისათვის, აქვე გწერთ ნაჩქარევად და ალბათ უკანასკნელად. არადა რამდენია სათქმელი!.. (თუნდაც შეცდომებზეც და რაც მთავარია – სწორ გზაზე!)

ჯერაც ღრმა პატივისცემით
ერეკლეს ბაბუ
19.06.09 წ.

P.S.[0] ეს ხელისუფლება აწყობს მტრებს და მტრები მას იცავენ და ინახავენ, რადგან მისი შემდგომი ფუნქცია-მიზანიც ერის შემდგომი გაბითურებაა – რუსი შეჩერდაო, (მეტი რაღა უნდოდა), გიხარიოდეთო! და ამ დაპყრობილი, ანექსირებული ქვეყნის მდგომარეობასთან, „სწორედ ასეთ სტატუსთან“ ხალხის შეგუება – კმაყოფილების ფსიქოლოგიის დანერგვა-განმტკიცება, საბოლოოდ კონსერვაცია სწადიათ! (უკვე ხომ სახეზეა „ამ თახსირების კმაყოფილების ჭაობით ტკბობა!“)

(დაიბეჭდა შეგნებულად ჩაუსწორებლად. ხელნაწერები გადაეცათ მითითებულ ადრესატებს..)

სკეტჩები

გამოფხიზლება?

კრემლმა „დამოუკიდებელ“ აფხაზეთს მორიგი გაკვეთილი ჩაუტარა. აფხაზური „არმიიდან“ სასწრაფო წესით დათხოვნილ იქნა ხუთი „გენერალი“ და ექვსი „პოლკოვნიკი“, მათ შორის ისეთი ცნობილი „სარდლები“, როგორნიც იყვნენ „გენერალ-მაიორები“ ალექსანდრე მელნიკი, სლავა ანქვაბი, გარი კუპალბა, ზაკან ნანბა. მეტიც. კრემლმა „დამოუკიდებელი“ აფხაზების კიდევ უფრო დასამცირებლად 90-იანი წლების შემდეგ პირველად სოხუმში სამხედრო პარადი ფსბ-ს გენერალმა იური ზვირიკმა მესაზღვრეთა ზეიმად შენიღბა. მაგრამ გამგებმა და დამნახავმა კარგადაც დაინახა და კარგადაც გაიგო, რომ „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ ბუტაფორიაა, რომლის უკან ოკუპირებული ტერიტორია და ეთნიკურ-პოლიტიკური წმენდა იმალება. რუსი გენერლები არც მალავენ, რომ მათი მიზანი იმპერიული ამბიციების შესრულებაა. ფსბ-ს სამხრეთი ფედერალური ოლქის სასაზღვრო რეგიონალური სამმართველოს უფროსმა, გენერალმა ნიკოლაი ლისინსკიმ განაცხადა: „აქ ყოფნით ჩვენ ვიცავთ არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ რუსეთის სამხრეთისა და მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოებას“.

რა რჩებათ ასეთ პირობებში მათ, ვინც თავს იტყუებდა „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ფიქციით? მხოლოდ ის, რომ ქ. სოხუმის სკოლის ქუჩას მესაზღვრეების ქუჩა უწოდონ. ეს ასეც უნდა იყოს: კრემლმა, რაც ხიშტებით მოიპოვა, მას ხიშტებითვე ინარჩუნებს, „დამოუკიდებელ“ აფხაზებს კი ერთი გზა რჩებათ — ტოტალური რუსიფიკაცია და ორ თაობაში მაინ მხოლოდ მაღალი აკადემიური ხარისხის მქონე ეთნოგრაფების ნაშრომებში მოხსენიება, როგორც ერთ დროს შავი ზღვის ნაპირას მოსახლე ეთნოსისა.

ეს რომ .გამონაკლისი კი არა, არამედ კანონზომიერებაა, არა მხოლოდ აფხაზეთის თავგადასავლით დასტურდება. იგივე პროცესები ცხინვალის რეგიონშიც ვითარდება. მას შემდეგ, რაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ „არმია“ სრულად დაშალეს და მას ზედ ყველა სხვა ბრძოლისუნარიანი და ძარცვისუნარიანი ფორმირებაც მიაყოლეს, კრემლის სატრაპმა ვლადიკავკაზში თეიმურაზ მანსუვორმა ყოველგვარი რეფერანსების გარეშე განაცხადა, რომ „დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთი“ არაა და არც შეიძლება იყოს სახელმწიფო, და ამის საუკეთესო დასტურად ის მოიყვანა, რომ ცხინვალისგან განსხვავებით ვლადიკავკაზში „ტრამვაი მაინცი დადის“, ოღონდ არ დაამატა, რომ ეს „ტრამვაი“ არა ოსური, არამედ რუსულია. თქმა არ უნდა, პრორუსული სეპარატიზმი საქართველოში ესაა გზა ეროვნული თვითმკვლელობისკენ.

ბუტური

„ნაციონალურ“ რეჟიმსა და მის საინფორმაციო-პროპაგანდისტულ კომპლექსს არც თუ ბევრი ფავორიტი რუსი ჟურნალისტი ჰყავთ. მათ რიგებში გამორჩეული იულია ლატინინაა. „არტივიაი“-ის არხზე მისი ჟღალი თმა და წრიპინა ხმა ხშირი სტუმარია. მისი აზრები და განსჯა ყველასა და ყველაფერს სწვდება, თუმც კი მთელი მისი საქმიანობა „ხელი გავიქნიე, ფეხის“ იქით არ მიდის. „ნაციონალების“ ამ „ფავორიტკამ“, იგრძნო რა კრემლის სიხარბე და სიხისტის ზრდა, გადაწყვიტა არც თვითონ ჩამორჩენოდა იმპერიულ კაპრიზებს და ქართული ჟურნალიდან „თბილისელები“ დიდად „ბრძნული“ რჩევა შემოგვთავაზა: „ჩემი რჩევაა, დაივიწყეთ დაკარგული ტერიტორიები, ისევე, როგორც ფინეთმა დაივიწყა“. ფინელებმა არც არაფერი დაივიწყეს და თითქმის ყველა მათგანი ისტორიულ პერსპექტივაში შესაძლებლად მიიჩნევს 1940 წელს ძალით წართმეულის დაბრუნებას. მეორე, რაც, ამ პატივცემული პითიუას აზრით, უნდა დავივიწყოთ, თუ ჟღალი ფურიასთვის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მხოლოდ პლიაჟი და მთაა, ქართველი ერისთვის ეს მისი სულის ნაწილია და სულის ნაწილის დავიწყება ჯერ ვერავინ მოახერხა. ამას, ცხადია, ვერც იულიას „რჩევა“ შეძლებს. ჰრცხვენოდეთ „ნაციონალებსა“ და მათ პროპაგანდისტ-აგიტატორებს ლატინინას მსგავსთა „გავარსკვლავება“! ასეთი პრიტიმიული და ვულგარული ქაჯის „ინტელექტუალად“ გასაღება მათი დანაშაულია.

გაყოფილის გაერთიანება?

1974 წელს თურქეთის არმიის ინტერვენციის შედეგად კვიპროსი გაიხლიჩა. მისი 36% დღესაც თურქეთის არმიას უკავია, აქ 1983 წლიდან ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული „რესპუბლიკა“ ფუნქციონირებს, რომლის „დამოუკიდებლობა“ მხოლოდ ანკარამ სცნო. სურათი ჩვენთვის აბსოლუტურად ნაცნობი და ნათელია.

2004 წელს გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის გეგმის საფუძველზე კუნძულის ორივე ნაწილში რეფერენდუმი გაიმართა. შედეგი იყო ის, რომ თურქული თემის (მოსახლეობის 20%) 65%-მა მხარი დაუჭირა, ხოლო ბერძნული თემის (მოსახლეობის 80%) 76%-მა უარყო ეს გეგმა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან კოფი ანანის გეგმა სხვა არაფერი იყო თუ არა ამორფული კონფედერაცია, რომელიც პირველივე სერიოზული პოლიტიკური ან თუნდაც ეკონომიკური კრიზისის პირობებში მარტივ თანამამრავლებად გაყოფდა კვიპროსს. პროცესის შემდგომი ეტაპი გახდა ის, რომ კვიპროსის რესპუბლიკა (ბერძნული) გახდა ევროკავშირის წევრი და დღეს უკვე მის ხელშია თურქეთის დაბლოკვა ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. ამითაა გამოწვეული ის, რომ სეპარატისტული წარმონაქმნი აღარ ლაპარაკობს „ერთიან სუვერენიტეტზე“ და უპირატესობას „ორი სუვერენული ხალხის გამიჯნულ ტერიტორიაზე ცხოვრებას“ ანიჭებს. ეს დიდი გაკვეთილია ჩვენთვის.

კრიზისი

საბერძნეთში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი იზრდება. ევროპის კავშირისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის მოთხოვნით საბერძნეთის ხელისუფლება პირობას იძლევა, რომ ბიუჯეტის დეფიციტს 2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 8,1 პროცენტიდან 2011 წელს 7,6 პროცენტამდე, ხოლო 2012 წელს 6,5 პროცენტამდე შეამცირებს. ათენი პირობას დებს, რომ 2014 წელს საბერძნეთის ბიუჯეტის დეფიციტი 3 პროცენტი იქნება. ეს დაპირებები პირდაპირ კავშირშია ევროკავშირის დაპირებებთან, რომ საბერძნეთის დასახმარებლად 110 მილიარდ ევროზე მეტი იქნება გამოყოფილი. საბერძნეთის ხელისუფლების განცხადებით, თუ საჯარო სექტორში ხელფასები, პენსიონერთათვის პენსიები არ შემცირდა, ტოტალური კრახი გარდაუვალია. საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა იორგოს პაპაკონსტანტინუმ განაცხადა: „ახლანდელი მსხვერპლი მძიმეა, მაგრამ აუცილებელი. ჩვენ თუ მსხვერპლს არ გავიღებთ, საბერძნეთი მთლიანად გაკოტრდება“. ეს ვითარება მთელი დრამატიზმით იმეორებს 30 წლის წინანდელი პოლონეთის მდგომარეობას, როცა მცდარმა სტრატეგიამ ქვეყანა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კატაკლიზმების წინაშე დააყენა.

შედეგმაც არ დააყოვნა, საბერძნეთის საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულთა საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. საბერძნეთის პროფკავშირების ეგიდით დაწყებულ ამ გაფიცვებს სულ უფრო და უფრო მეტი დარგების მუშაკები შეუერთდნენ, სახელმწიფო ტელევიზიის არხი გაფიცულმა პედაგოგებმა დაიკავეს, ქუჩებში პოლიციასთან დემონსტრანტების ხელჩართული ბრძოლები დაიწყო. შეწყდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ სარკინიგზო და საჰაერო კავშირი. ბერძენმა პროფკავშირულმა ლიდერმა სპიროს პაპასპიროსმა განაცხადა, რომ „სანამ პენსიონერებს პენსიებს შეუმცირებდნენ, რომლებიც ისედაც წელიწადში მხოლოდ 500 ევრომდე იღებენ, ჯერ ბევრი რამ უნდა მოეგვარებინათ“. ნათელია, რომ ხელისუფლებამ თავი აარიდა ფართო სოციალური დიალოგის დაწყებას ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო სექტორთან, განსაკუთრებით კი პროფკავშირებთან, თუმცა სოციალური პარტნიორობის პრინციპზე დაყრდნობით გაცილებით უმტკივნეულოდ მოხდებოდა საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევა, 110 მილიარდი ევროს სესხი საბერძნეთისთვის შესაძლებელი გახდება, თუ ევროს ზონის ყველა ქვეყნის პარლამენტი დასთანხმდება. დღეს კი საკითხი ათენში დგას ასე: ვინ ვის?

დასაწყისი?

სეკულარული ევროპა და ისლამი დღეს სულ უფრო და უფრო უპირისპირდებიან ურთიერთს. დიახ, ევროპა, სადაც ნებისმიერი, მათ შორის — რელიგიური დოგმატის კრიტიკა ფუნდამენტური პრინციპია, არ და ვერ შეურიგდება იმას, რომ ევროპული სამართლის ზევით ყურანის პრინციპები და შარიათის ნორმები დადგეს.

ამ იდეოლოგიურ დაპირისპირებაში ბელგია და საფრანგეთი, როგორც დიდი მუსულმანური თემების მყოლი სახელმწიფოები, „ფრონტის“ წინა ხაზზე აღმოჩნდნენ. დაპირისპირების პირველი წერტილი ჩადრი აღმოჩნდა. მონარქიული ბელგია და რესპუბლიკური საფრანგეთი პირდაპირ აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ მათი სახელმწიფოებრიობის საყრდენ პრინციპებზე გარედან მოსული ნორმებისა და ვალდებულებების გაბატონებას. შესაბამისად, ბელგიის სამეფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანოებმა კანონით აკრძალეს საკუთარ ქვეყნებში ჩადრი. დიახ, ეს გამოიწვევს მათ დაპირისპირებას ისლამურ ფუნდამენტალიზმთან და ადგილობრივი რადიკალი მუსულმანების ფართო პროტესტს. მაგრამ — პირდაპირ უნდა ითქვას, — სხვა შემთხვევაში ეს მონარქიაც და რესპუბლიკაც მხოლოდ ბუტაფორიები გახდებოდნენ.

„ბრძოლები“ უკრაინაში

კრემლი უკრაინაში დაძაბულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლებს აწარმოებს. მას შემდეგ, რაც უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის თანხმობით უმაღლესმა რადამ კვერცხების წვიმაში 25 წლით, 2042 წლამდე გაუგრძელა ბაზირების ვადა რუსეთის შავი ზღვის ფლოტს სევასტოპოლში, პუტინ-მედვედევის რეჟიმმა ძალების მოზღვავება იგრძნო და სამხედრო-პოლიტიკური „ფრონტის“ გარდა ეკონომიკურ „ფრონტზეც“ წამოიწყო შეტევა. ქ. სოჭში გამართულ შეხვედრაზე ვლადიმირ პუტინმა უკრაინის პრემიერ-მინისტრ ნიკოლაი აზაროვის „ცდუნება“ ცადა და შესთავაზა მას რუსული „გაზპრომისა“ და უკრაინული „ნეფტოგაზის“ გაერთიანება. ეს, პირდაპირ უნდა ითქვას, სპილოსა და კოზაკის გაერთიანება სხვა არაფერი იქნება თუ არა „გაზპრომის“ მიერ „ნეფტოგაზის“ ჩაყლაპვა, თუნდაც იმის გამო, რომ განსხვავება ამ ორი კომპანიის აქტივებს შორის არის 20-ჯერადი. ნათელია, რომ ამ იმპერიული პროექტის მიზანია უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის კრემლის ხელში გადასვლა, რასაც არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური და ისტორიულ ასპექტში დიდი სტრატეგიული შედეგი ექნება.

რუსული „ვი-თი-ბი“ ბანკის მხრიდან უკრაინისთვის 500 მილიონი ამერიკული დოლარის კრედიტის დაპირება ხომ პირდაპირ კავშირშია უკრაინული და რუსული ატომური საწარმოების გაერთიანებასთან, ასე რომ კრემლს მადა გაეზარდა და მადის დარად სულ უფრო და უფრო მეტ დარგებში ითხოვს (ან ეგებ მოითხოვს) გაერთიანებას (უფრო, მიერთებას), რათა სიტყვიდან საქმედ აქციოს ერთიანი და განუყოფელი იმპერიის აღდგენის ლოზუნგი, რაც ყოველთვის ნომერი პირველი მიზანი იყო სხვადასხვა პოლიტიკური შეფერილობის „დერჟავნიკებისთვის“. კიევს კი მოსკოვი იმით აშანტაჟებს, რომ, თუ უკრაინა არ დასთანხმდება პუტინის წინადადებას, მაშინ ცნობილი „სამხრეთ ნაკადის“ ამუშავებისთანავე რუსეთი შეწყვეტს გაზის ტრანზიტს უკრაინის ტერიტორიის გავლით. ევროპაში ... არავის აწუხებს, ფრანგულმა გაზეთმა „მონდმა“ ზუსტად აღნიშნა: „უკრაინა, რომელიც ეკონომიკურმა კრიზისმა დააჩოქა, ფინანსურ დახმარებას საჭიროებს, რუსებს კი მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, საკუთარი უპირატესობა გამოიყენონ“. შემთხვევითი არაა, რომ „ხარკოვის პაქტისა“ და „სოჭის ინიციატივის“ შემდეგ უკრაინის ვიცეპრემიერმა ვიქტორ ტიხონოვმა ქვეყნის ფედერალიზაციის აუცილებლობა იქადაგა. კრემლის დღეს დაფარული ეს მიზანი უკრაინის არა მხოლოდ სტრატეგიულ აქტივებს, არამედ თავად სუვერენიტეტს ემუქრება.

ძველი ცოდვები

არგენტინაში 1976 წელს მორიგი სამხედრო გადატრიალება მოხდა. მმართველ ხუნტას სათავეში გენერალი ხორხე რაფაელ ვიდალა ჩაუდგა. 1976-1981 წლებში მისი მეთაურობით მოქმედმა ხუნტამ სასტიკი პოლიტიკური რეპრესიები განახორციელა ოპონენტების მიმართ — ხდებოდა ადამიანების გატაცება, წამება, მკვლელობა. ხორხე რაფაელ ვიდალას ასეთი 49 ფაქტი დაუმტკიცდა უშუალოდ, რის გამოც სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მაგრამ ამ ვაი-გენერალს სხვა კიდევ უფრო მძიმე ცოდვებიც აღმოაჩნდა. მისი ბრძანებით ხდებოდა ოპოზიციონერთა შვილების გატაცებები და ასეთი 33 ფაქტი აღმოჩნდა. ამ გულქვა ტირანს წინ ახალი სასამართლო ელოდება და განაჩენიც მკაცრი ექნება. მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ, თუ დედამიწის მეორე ნახევარსფეროში სამართალი ზეიმობს, რატომ ჩვენთანაც იგივე არ ხდება? საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 11 მარტს დადგენილებით დაგმო 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ დღესაც კი ამ გადატრიალებით შობილი უზურპატორული და რეპრესიული ორგანოს მოთავეები ე. შევარდნაძე, თ. სიგუა და თ. კიტოვანი სასამართლოს წინაშე არ წარმდგარან. ეს უსამართლობაა და მას პასუხი უნდა გაეცეს.

ბაიდენის პრინციპები

მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ პრეზიდენტ დ. მედვედევის პირით ევროპას ახალი კონცეფცია შესთავაზა უსაფრთხოების საკითხებში, (ანუ იგივე, რაც რეალურად იყო ევროპაში ცარიზმის დროს, განსაკუთრებით XIX საუკუნის შუა პერიოდში. ცნობილი თეზისი „რუსეთი — ევროპის ჟანდარმი“), იმის ნოსტალგიამ სრულიად აუცილებელი გახადა მისი სადღეისო ალტერნატივის მომზადება. მთავარი ინსტიტუტები, რაც კრემლს აღიზიანებს, არის ნატო და ეუთო. პირველი მართლაც ის ალიკაპია, რომელიც არ ანებებს რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიულ მონსტრს, ტანკებით საშუალებას, ჩაერიოს ევროპის შიდა პროცესებში, მეორე კი თანასწორობის პრინციპის გამო აღიზიანებს „ველიკოდერჟავული“ ამბიციებით გა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ჯერებულ კრემლს. ასეთ ვითარებაში საქართველოსათვის, როგორც ევროპული სახელმწიფოსთვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ის, თუ რა კონცეფციით იხელმძღვანელებს მსოფლიოს ერთადერთი ჰიპერ სახელმწიფო — აშშ.

ევროპაში ვიზიტად მყოფმა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას წამოაყენა აშშ-ს ახალი საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია. მთავარი აქ არის ნატო-სა და ეუთო-ს არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ მათი გარდაქმნა ახალი გამოწვევებისადმი ადექვატური პასუხის გასაცემად. ვიცე-პრეზიდენტის მიერ წამოყენებული კონცეფცია 5 პუნქტისგან შედგება:

1. ჩვეულებრივი და ბირთვული შეიარაღების მეტი გამჭირვალეობა და ამ პროცესში რუსეთის სრული ჩართულობა.

2. ჩვეულებრივი შეიარაღების განლაგებისა და რაოდენობის ზღვრის დადგენა.

3. ევროპის დაცვა გარე საფრთხეებისგან, როგორიცაა ტერორისტული ორგანიზაციები, კიბერთავდასხმები, ენერგეტიკული პრობლემატიკა.

4. ევროპაში კონფლიქტების პრევენციის, კონფლიქტის მართვის და კრიზისის დაძლევის ეფექტური მექანიზმის შექმნა (აქ ჯ. ბაიდენმა მოიყვანა მაგალითად 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი). აშშ-ს აზრით, ეს მექანიზმი უნდა ჰქონდეს ეუთო-ს და, თუ კრიზისი მაინც წარმოიქმნება, ეუთომ უნდა უზრუნველყოს ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებების დაწყება, მისი მიღწევა და ზედამხედველობა მასზე (და არა ევროპის რომელიმე ცალკეულმა სახელმწიფომ). ცეცხლის შეწყვეტის გარდა ეუთო-ს მიერ უნდა განხორციელდეს სწრაფი ჰუმანიტარული დახმარებაც.

5. ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევროპის ყველა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის უპირობო დაცვის საფუძველზე. ევროპის ყველა ქვეყნისადმი იმ უფლების უპირობოდ ცნობა, რომ თითოეული მათგანი თავისუფლად ირჩევს მოკავშირეებსა და ალიანსებს.

რა შეიძლება დაუპირისპიროს კრემლმა ამ კონცეფციას? — არაფერი. რამდენიც არ უნდა იძახოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ქალანთაროვ-ლავროვმა, რომ „ნატო-მ შეწყვიტოს არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკა“, დღესავით ნათელია, რომ მოსკოვს არავინ მისცემს XIX საუკუნის სანკტ-პეტერბურგის უპირატესობას — ევროპის ჟანდარმის სტატუსს. „გადატვირთვის“ პოლიტიკა არის ვაშინგტონისა და მოსკოვის ორმხრივი საქმე, კონფრონტაციიდან პარტნიორობისკენ მიმავალი ზიგზაგისებური გზა, და არავითარ შემთხვევაში — მსოფლიოს გაყოფა გავლენის სფეროებად ან ევროპაში დაპირისპირების ხაზის აღდგენა. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ზუსტად აღნიშნა, რომ მდგრადი უსაფრთხოება ევროპაში ეყრდნობა დემოკრატიულ და არა იმპერიალისტურ სტანდარტებს, თანასწორობას და არა მორჩილებას, მშვიდობას და არა დაშინებას და ეს სტაბილურობა ეყრდნობა ნატო-სა და ეუთო-ს.

ახალი სტრატეგია

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა დაადასტურა, რომ დასავლური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ლისაბონის სამიტზე, რომელიც ამა წლის შემოდგომით იგეგმება, ახალ სტრატეგიას მიიღებდა. ასეც მოხდა. მთავარი ელემენტი ამ სტრატეგიისა გახდა ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის გაშლა. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის წინაშე არ იკეტება კარები ამ სისტემის წინ. დიახ, რუსულმა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მიაღწია და გაუსწრო საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეულ რეკორდს შეიარაღების გაყიდვაში, მაგრამ მის მიერ რეალიზებული იარაღი და საბრძოლო ტექნიკა არაა მაღალტექნოლოგიური და რეალიზაციის ნახევარზე მეტი აზიის ქვეყნებზე (ინდოეთი, ჩინეთი და სხვა) მოდის. ეს ინიციატივა კი მას ართმევს მის მთავარ პროპაგანდისტულ კლიშეს „თავდასხმას მიპირებს დასავლეთი“.

ახალი სტრატეგია არ გულისხმობს ნატო-ში ახალი ქვეყნების ინტეგრაციის შეწყვეტას, პირიქით, ნატო-ს მინისტერიალმა გაწევრიანებისთვის საჭირო მაპ-ი გადასცა ბოსნიასა და ჰერცოგოვინას. მთავარი გაკვეთილი ამ პროცესებიდან საქართველოსთვის არის მისი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, რეალური და ბრძოლისუნარიანი არმიის ფორმირება და ეკონომიკის მოდერნიზაცია.

ვალები

„ნაციონალურმა“ რეჟიმმა საქართველო ვალების ბადეში გააბა. ქვეყნის საგარეო ვალი 6236204000 ლარს შეადგენს და ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს. გასათვალისწინებელი ფაქტია ის, რომ 2010 წლის დასაწყისისგან განსხვავებით, როცა მიღებულ იქნა ბიუჯეტი, ჩვენი ლარი დოლართან მიმართებაში დაეცა და დღეს ვალების დასაფარად გაცილებით მეტია საჭირო. ერთი წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვალი 1 მილიარდით გაიზარდა. ეს „შესაძლებელი“ გახდა იმის გამო, რომ „ნაციონალურმა“ რეჟიმმა ვერ შესძლო არსებული რესურსების სრულად მობილიზება და განვითარების ოპტიმალური გზის მოძებნა. ძალზედ ნიშანდობლივია, რომ ვალების ძალზედ მნიშვნელოვანი ნაწილი — 800 მილიონ დოლარზე მეტი — 2013 წელს იქნება გასასტუმრებელი. თუ 2010 წელს ვალების მომსახურებაზე ბიუჯეტის თითქმის 5% უნდა დაიხარჯოს, 2013 წელს იგი 15%-ს მიაღწევს. „ნაციონალური“ რეჟიმი არანაირ კონცეფციას და სტრატეგიას არ სთავაზობს ქვეყანას, რათა ექსპორტი გაიზარდოს, მოძიებულ იქნას ახალი ბაზრები, ინვესტიციები ჩაიდოს მაღალრენტაბელურ ტექნოლოგიებში. შედეგი კი იქნება იგივე, რაც ხდება საბერძნეთში, უფრო უარესი და კატასტროფიული შედეგებით.

საკონსტიტუციო იმედიოთაკა

არჩევანი

2009 წლის გაზაფხულ-ზაფხულის საპროტესტო აქციებმა საკონსტიტუციო რეფორმას მისცეს ბიძგი. შეიქმნა საკონსტიტუციო ცვლილებების მოსამზადებელი კომისია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ავთანდილ დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით. 11 მაისს კომისიამ კენჭისყრით მიიღო საბაზისო დოკუმენტი, რომელსაც თავად კომისიის თავმჯდომარე ლობირებდა. ამ პროექტის მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტი დისტანცირებულია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან; არის მთავრობა და მისი მეთაური პრემიერ-მინისტრი, რომელნიც ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტი აღარ მონაწილეობს ბიუჯეტის ფორმირებაში. მთავრობასა და პარლამენტს შორის კონფლიქტის წარმოშობისას პრეზიდენტი არბიტრის როლს ასრულებს. ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტს ირჩევს ხალხი. პრეზიდენტის გამოცემული სამართლებრივი აქტები ძალაში შედის პრემიერ-მინისტრის ხელმოწერის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტმა კომისიის წევრთა 3/4-ზე მეტი ხმა მიიღო, იგი არ იქნება მიღებული „ნაციონალური“ უმრავლესობით დაკომპლექტებული პარლამენტის მიერ. მთავარი აქ არის არა ის, რომ რომელიღაც ინსტიტუტს რაღაც დააკლდა, მთავარია ერისმიერი პოლიტიკური და სოციალური კონტროლის გაზრდა.

ჩვენი აქტუალური არქივიდან

ზუსტად ვანესაზღვრითი ხელისუფლების დასამკვიდრი

ვინაიდან ჰაიგაში იწყება 2008 წლის რუსულ-ქართული ომის კონკრეტულ ეპიზოდთა განხილვა, საქართველოს პოლიტიკაში ჩაბმულ პირთა - საქართველოს მოქალაქეთა - ერთი ნაწილი საზოგადოებას სთავაზობს კამპანიის წამოწყებას სააკაშვილის, როგორც „2008 წლის ომის დამწყების“, საერთაშორისო სასამართლოს მიერ გასამართლების მოთხოვნით. ამ ვითარებასთან დაკავშირებით ჩემ მოვალეობად მიმაჩნია რომ, როგორც ცხინვალის კონფლიქტის ისტორიაში გარკვეულწილად ჩახედულმა პირმა, განვაცხადო შემდეგი:

1. 2008 წლის ომი რუსეთმა დაიწყო და იგი გამარჯვებით დაამთავრა 2008 წლის 7 აგვისტოს დღის პირველ ნახევარში. რუსეთის რეგულარული ძალები, რომელთაც არანაირი კავშირი რუსსავე „ცისფერჩაფხუტიანებთან“ არ ჰქონდათ და, შესაბამისად, არც საქართველოში მყოფობისთვის რაიმე იურიდიული საფუძველი გააჩნდათ, გაუსვლელად იდგნენ ჯავასა და მის მიდამოებში (ძირითადად - სოფ. მსხლებში) 1989 წლიდან. 2008 წლის ომი რუსეთმა დაიწყო და გამარჯვებით დაამთავრა მანევრით (რა თქმა უნდა, ქართული სოფლების სისტემატური საარტილერიო დაბომბვის ფონზე): 6 და 7 აგვისტოს მან შემოიყვანა ჯარები როკის გვირაბით, დაიკავა საკვანძო პოზიციები და მათზე ძალების კონცენტრაცია მოახდინა. ეს ოპერაცია, ვიმეორებ, დაამთავრა 7 აგვისტოს დღის პირველ ნახევარშივე. მხოლოდ ამის შემდეგ უბრძანა რუსეთმა თავის აგენტს მ. სააკაშვილს ჭურვის გასროლა მოსახლეობისაგან წინა სამ კვირაში ორგანიზებულად დაცლილ ქ. ცხინვალისაკენ და ომის მდგომარეობის დაფიქსირებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაციის ოფიციალურად შექმნა. თვით რუსეთმა საქართველოსთან ომის მდგომარეობაში ყოფნის ოფიციალური დოკუმენტები შექმნა მხოლოდ 8 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში. დასავლეთის პრესამაც და პოლიტიკოსებმაც იციან, რომ სააკაშვილმა ამით სახელმწიფოებრივი თვითმკვლელობა ჩაიდინა და შეასრულა ის, რასაც, რუსები „ლოცულობდნენ“ (ნ.ასკერსონი), მაგრამ ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო ვერ აკეთებენ დასკვნას, რომ სააკაშვილის ეს ნაბიჯი იყო არა შეცდომა, არამედ რუსული განკარგულების შესრულება.

2. სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი დამნაშავენი არიან, როგორც საქართველოს მოღალატენი და ქართველი ერის, საერთოდ - საქართველოს მოქალაქეების მიზანმიმართული გენოციდის განმხორციელებლენი. დანაშაული მათ მიუძღვით მხოლოდ ქართველი ერის, საქართველოს სახელმწიფოს და საქართველოს ყოველი კონკრეტული მოქალაქის წინაშე. მათ დანაშაულში - საქართველოს მიზანმართულ ყოველმხრივ ნგრევაში რუსეთის დავალებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებების“ სახელით (ამ უკანასკნელთა დისკრედიტაციის მიზნით) - დაზარალებულია მხოლოდ საქართველო და მისი მოქალაქეები. არც ერთი უცხო ქვეყანა და არც ერთი უცხო მოქალაქე, მათ შორის არც ერთი საქართველოში მცხოვრები უცხო მოქალაქე, სააკაშვილსა და მისი პოლიტიკური გუნდის მიერ დაზარალებული არ არის. შესაბამისად, სააკაშვილი და მისი გუნდი სამართლებრივად პასუხისმგებელნი და დასჯადნი არიან მხოლოდ საქართველოსა და მისი მოქალაქეების — და სხვა არავის — წინაშე.

ნოდარ ნათაძე. 3. IX 2010 წ.

ეკეთი დასამკვიდრი: პასუხად ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს

გაახლებთ სააკაშვილის პირითად დანაშაულთა ჩამონათვალს (მოკლეს და, ალბათ, არასრულს)

სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო ღალატის აქტები

1. საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის მეთაურობით 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმებით რუსეთს მისცა ცხინვალის რეგიონში, მის მიერვე ორგანიზებული და მართული „ქართულ-ოსური“ კონფლიქტის ტერიტორიაზე, „სამშვიდობო“ შეიარაღებული ძალებით მოქმედების მანდატი. ამასთანავე, მან „კონფლიქტის ზონად“ ჩათვალა არა რეგიონის ის ტერიტორია, სადაც კონფლიქტი რეალურად იყო (ცხინვალის და ყოფ. ზნაურის რაიონები), არამედ მთელი ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორია.

სააკაშვილის ხელისუფლებამ არ გააუქმა რუსების სამშვიდობო მანდატი, რითაც რუსებს დაუტოვა უფლება, ცეცხლი გაუხსნან ქართველებს, ქართველებს კი არ მისცა უფლება, ცეცხლი გაუხსნან რუსებს. ამის უშუალო შედეგი იყო სამარცხვინო დამარცხება 2004 წლის ომში და სტრატეგიული პოზიციების, მათ შორის - ერედვი-ხეითის გზის გადასვლა მტრის ხელში.

2. შევარდნაძის ხელისუფლებამ არ გამოიყენა საქართველოს კანონიერად არჩეული უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით „სამხრეთ ოსეთის“ უკანონო „ავტონომიური ოლქის“ გაუქმების ფაქტი და დაუშვა გამოთქმის „სამხრეთ ოსეთი“ ხმარება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ოფიციალურ დოკუმენმტებში მისი ხმარების ჩათვლით. სააკაშვილის ხელისუფლებამ გააღრმავა ეს ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა იმით, რომ გამოთქვა ოფიციალური მზაობა შექმნას კიდევ ერთხელ „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს მიწაწყალზე და ამით საქართველოს ტერიტორიის ნაწილი აღიაროს მეზობელი ქვეყნის (ოსეთის, ანუ ალანიის, კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარის) სამხრეთ ნაწილად. ამის პარალელურად, სააკაშვილის ხელისუფლებამ დაუშვა და ხელი შეუწყო უკანონო „სამხრეთ ოსეთის“ „პრეზიდენტის“ „არჩევას“ კრიმინალისა და სეპარატისტის - სანაკოევის სახით, რომელიც ღიად ლაპარაკობდა „სამხრეთ ოსეთზე“, როგორც არსებულ კანონიერ ერთეულზე.

3. სააკაშვილის ხელისუფლებამ დაშალა დალის ხეობის ერთადერთი რეალური დამცველი ბატალიონი „მონადირე“ და განაიარაღა ქართველი მოსახლეობა ცხინვალის რეგიონში.

4. სააკაშვილის ხელისუფლებამ, შევიდა რა შეთქმულებაში რუსეთის ფედერაციასთან, მასთან ერთად მოახდინა 2008 წლის აგვისტოში საქართველოზე რუსეთის წარმატებული შემოტევის და საქართველოს მიერ როგორც რეალური ომის, ისე (დროებით) საპროპაგანდო ომის წაგების ორგანიზება. სახელდობრ,

— სააკაშვილის ხელისუფლებამ 6 და 7 აგვისტოს არ განაცხადა ოფიციალურად, რომ რუსეთი, მას შემდეგ, რაც სისტემატურად ბომბავდა ქართულ სოფლებს საკუთარი ხელით და ოსი სეპარატისტების ხელით, დაიწყო პირდაპირი შეიარაღებული შემოტევა საქართველოზე (ცეცხლის წარმოების პარალელურად) მანევრის სახით: მან დაიკავა სტრატეგიული პოზიციები საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინა იქ თავის შეირაღებულ ძალთა კონცენტრაცია, რითაც მოიგო ომი 7 აგვისტოს დღის ბოლომდე. ამის შემდეგ სააკაშვილმა გასცა ცეცხლის გახსნის ბრძანება 7 აგვისტოს 23 საათსა და 35 წუთზე და გახსნა ცეცხლი რუსეთის მიერ დავალებული მიმართულებით (მოსახლეობისგან წინასწარ დაცლილი ქ. ცხინვალის მიმართულებით), რუსეთის მიერ დავალებული სახის იარაღით. ამგვარად, სააკაშვილმა, რუსეთის პროპაგანდისტული ინტერესების შესაბამისად, ისმუსანტა ომის დაწყების ინიციატივა ორი დღეღამით უფრო გვიან, ვიდრე იგი დაწყებული იყო და მოგებული იყო რუსეთის მიერ.

— ამავე ომში სააკაშვილმა რამდენიმესაათიანი დაზავებით II. 8 VIII მისცა რუსებს როკის გვირაბში თავის დამატებით შეიარაღებულ ძალთა დაუბრკოლებლად გამოტარების საშუალება.

— აღნიშნული წინასწარგანზრახული ღალატის მოტივებიდან გამომდინარე სამხედრო დანაშაულია ის, რომ სააკაშვილმა, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, საშუალება მისცა სამოქალაქო პირებს მონაწილეობა მიეღოთ შეიარაღებული ძალების მართვაში (უგულავა და სხვანი), რაც მხოლოდ იმით შეიძლება აიხნას, რომ მისთვის ამ ომში მნიშვნელოვანი იყო არა კვალიფიციური სარდლობა, არამედ სარდლობა განდობილი პირის ანუ შეთქმულების კურსში მყოფი პირის მიერ.

5. სააკაშვილის ხელისუფლებამ არ გამოიძია შევარდნაძისა და არძინბას მიერ რუსეთის ხელისუფლების მითითებით ერთობლივად 1992-93 წლების აფხაზეთის ომისა და მონინააღმდეგისათვის საქართველოს ტერიტორიის ხელოვნურად ჩაბარებ-

გაგრძელება მე-14 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუჯაგი

რუსული აგენტურა შინ და ლობი – გარეთ

უფრო ზუსტად – ლობი გარეთ და აგენტურა – შიგნით. ჩვენი რუბრიკა „გუშაგი“ დიდი ხანია თვალყურს ადევნებს რუსული აგრესიული პოლიტიკის ქართველი მესიტყვეების (და ხანდახან – აგრეთვე მესაქმეების) მსჯელობას საქართველოს საგარეო და საშინაო კურსის საკითხებზე, რათა ამ ქართველთა ნაწერისა და ნათქვამის უკან ამოვიცნოთ რუსული გეგმები, კონკრეტულად – ის, თუ რა აზრისა და შეხედულების „შემოცურებას“ ლამობს რუსეთი, მოცემულ დროის მონაკვეთში, ქართველი მკითხველისა და მსმენელის გონებაში. წინამდებარე წერილი არის მკითხველისთვის გაცნობა მსოფლიო პრესაში და ეთერში გამოქვეყნებული რამდენიმე თითქმის დაუფარავად რუსული მოსაზრებისა, სადაც ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენაზე ლობირდება რუსეთის იგივე პოზიციები, რასაც იგი თავის აგენტურას საქართველოში აჟღერებინებს და რასაც, პრაქტიკულად, საქართველოს აგენტურული ხელისუფლება მიჰყვება, როგორც უცვლელ სახელმწიფო კურსს

ჩვენს წინაშეა ნილ ასკერსონის (Neal Ascherson) წერილი „აფხაზეთი და კავკასია: არჩევანი დასავლეთის წინაშე“.

შეჯამება: *„ქართულ-რუსულმა 2008 წლის ომმა კვლავ გაყინა რეგიონი. მცირე შავიზღვისპირა ერი – აფხაზეთი – ჩიხის გახსნის გასაღებია“.*

ეპიგრაფია: *„სათუთმა ხელოვნებამ სახის დაკარგვისამ შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს კაცთა მოდგმა გადაარჩინოს“.*

ტექსტი:

„ეს გახლავთ ჰანს ბლიქსის საყვარელი გამოთქმა, როცა ივი ლამობდა ბუშისა და ბლეირის დარწმუნებას, რომ უკან დაეხიათ თავიანთი განცხადებებიდან, თითქოს სადამ ჰუსეინს „მასობრივი მოსპობის იარაღები“ აქვს. მაგრამ მათ არჩიეს საკუთარი სახის შენახვა და, როგორც ალბათ ისტორია განსჯის, მისი დაკარგვა ერაყში იმის არაღიარებით, რომ შეცდნენ. დღეს მსოფლიოში მრავალი სხვა ადგილია, სადაც საკუთარი სახის დაკარგვა – ანუ ცუდი პოლიტიკის გადაფხრეწა – შესაძლოა გადარჩენა იყოს ადამიანთა მოდგმის რამდენიმე წარმომადგენლისათვის. ერთი ასეთი ადგილია ავღანეთი, მეორეა სამხრეთი კავკასია“.

2008 წლის 7-8 აგვიტოს აქეთ ცნობილია, რომ

„ქართველებმა დაბომბეს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი ცხინვალი და რუსებმა უპასუხეს თავისი ტანკების შეყვანით რეგიონში. კითხვა „ვინ დაიწყო?“ ჯერაც განხილვაშია, მაგრამ მას სიმწვავე ძირითადად დაკარგული აქვს. მიღებული აზრი – საქართველოსა და რუსეთის გარეთ, – დღეს ორივეს ადანაშაულებს. პრეზიდენტი საკაშვილის გადაწყვეტილება იერიშის მიტანისა გიჟურად პროვოკაციული იყო, ხოლო რუსები, რომლებიც ლოცულობდნენ, რომ ასეთი პროვოკაცია მომხდარიყო, მოიქცნენ მიუტევებლად, როცა ნაცვალგება გადაქცეს საერთაშორისო აგრესიის აქციად.

„მაგრამ დღეს კითხვა დგას, როგორ ავწმინდოთ ის საშინელი შედეგი, რაც ომმა დატოვა“.

„ფანჯრის ჩაკეტვა

„ეს შედეგი ახლა გაყინულია მყარი ზურგის მქონე დაპირისპირებად. 2010 წლის 5.VII ჰილარი კლინტონი კვლავ ჩავიდა საქართველოში, რათა კიდევ ერთხელ დაედასტურებინა ამერიკის მხარდაჭერა საქართველოსადმი და რუსეთისთვის გამომწვევად მოეწოდებინა (challenge) განდგომილ რეგიონთა (სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის) ოკუპაციის შეწყვეტისკენ“. ამ პოზიციას, – ე.წ; „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას“ – 2008 წლის კონფლიქტის დამთავრების შემდეგ იცავენ აშშ, ნატო და ევროკავშირი. ფრაზას „განდგომილი რეგიონები“ დღესაც თუთიყუშივით იმეორებენ ყოველდღიურად დასავლელი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები. ამ განწყობიდან (stance) საჯაროდ უკანდახევისთვის, რა თქმა უნდა, საჭირო იქნებოდა გაბედული გადაწყვეტა საკუთარი სახის დაკარგვისა. და მაინც, „ტერიტორიული მთლიანობის“ ხაზი ყალბია, უსარგებლოა და სახიფათოა (იხ. „ომის შემდეგი საქართველო და აფხაზეთის რეალობის ცნობა“, 15.VII, 2008).

„არც ერთს ამ ტერიტორიათაგან (ეთნიკურად ორივე განსხვავებულია ქართველებისგან) არ უნდოდა საქართველოს ნაწილად ყოფნა, როცა ქართველებმა 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ორივემ უკვე აწარმოა მანკიერი (vicious) ომი საქართველოს მხრიდან შელახვის წინააღმწდეგ შემდგომ წლებში, ორივე უკვე პრაქტიკულად დამოუკიდებელია 15 წელზე მეტხანს და თბილისის ხელისუფლებას არა აქვს პერსპექტივა მათზე კონტროლის დამრუნებისა შეიარაღებული ძალით, რადგან ეს გამოიწვევდა რუსეთის, შესაძლოა, კიდევ უფრო ღრმა და ველურ შეჭრას საქართველოში. ამიტომ ამის კითხვაც არ დგას. ამერიკული და ბრიტანული ლაპარაკი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე“ ამიტომ ნონსენსია: ეს უკეთეს შემთხვევაში ფარისევლობაა, უარესში – თვითმკვლელური უმეცრება.

„მაგრამ მნიშვნელობა აქვს განსხვავებას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის. პირველი (იგულისხმება: პირველის დამოუკიდებლობა. რედ.), თავისი 70000 მოსახლეობით, არ წარმოადგენს რეალურად იმას, რასაც გულისხმობენ წინადადების ავტორები. მისი ხალხი, თუკი თავისუფალი არჩევნების ნება მიეცემა, ალბათ უარყოფს დამოუკიდებლობას და შეუერთდება თავის ნათესავებს, ჩრდილო ოსებს რუსეთის ფედერაციაში. აფხაზეთს, პირიქით, ვარაუდადი (plausible) მომავალი აქვს. მას ჰყავს დახლოებით 250000 მოსახლე, აქვს ულამაზესი სანაპირო და მდიდარი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა. უმნიშვნელოვანესია, რომ მის ხალხს რეალურად უნდა თავისი დამოუკიდებლობის შექმნა. ისინი არ ფიქრობენ, თავი დააპყრობინონ ქართველებს. ეს რომ არ მოხდეს, ამისთვის ღებულობენ (ურიგდებიან, accept) რუსი ჯარისკაცების და საბრძოლო ხომალდების იქ მყოფობას. მაგრამ არც ის უნდათ, რომ რუსეთის კიდევ ერთი ჩაოხრებული (slattern) კოლონია გახდნენ. მათ უნდათ, აფხაზეთი გახდეს შავი ზღვის პატარა, თავისუფალი, აყვავებული სახელმწიფო, რომელსაც ექნება მჭიდრო კავშირები ევროპასთან.

„ეს გახლავთ ის, რაც დანარჩენ მსოფლიოსაც უნდა უნდოდეს აფხაზეთისთვის. თუ ქართული ძალაუფლების „აღდგენა“ ფანტაზიაა, მაშინ უპირველესი შესაძლებელი გადაწყვეტა იქნება, რომ არ დაიშვას აფხაზეთის შეუქცევადი ჩავარდნა რუსეთის კონტროლის სფეროში. ამის მიღწევისკენ ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა, მაგრამ იგი უფრო და უფრო ვიწროვდება. გაზაფხულზე მოხდა შეთანხმება რუსეთის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზებზე გუდაუთასა და ოჩამჩირაში. რუსულმა სახელმწიფო რკინიგზებმა აიღეს კონტროლი მთელი ხაზისა სოჭიდან გავრამდე და რუსეთის სავაჭრო დელეგაცია იმყოფება აფხაზეთში „ერთობლივ“ ეკონომიკურ განვითარებაზე სალაპარაკოდ.

„დასავლეთისთვის აუცილებელია დაუყოვნებლივ პირდაპირი კონტაქტის დამყარება აფხაზეთთან – ეკონომიკურისა, სოციალურისა და კულტურულისა – და მისასვლელის უზრუნველყოფა მისი პორტებისკენ. რადგან ათი წელი დამოუკიდებლობისა ომის შემდეგ (1992-93) აფხაზეთმა გაატარა მაბრჩობელა ბლოკადის პირობებში, რომელშიც რუსეთს წამყვანი როლი ჰქონდა. ახლა, რუსეთის მიერ ცნობის შემდეგ, ამ მცირე ერს უნდა ქაღალდზე გახსნილი გზა ჰქონდეს საკუთარი კონტაქტებისთვის გარე სამყაროსთან. აქამდე მან ეს ვერ შეძლო გააფთრებული ქართული წინააღმდეგობის გამო, მაგრამ იმის გამოც, რომ აფხაზური ხელისუფლება, სამწუხაროდ, ნერვიულობს თავის ყველა შესაძლო ნაბიჯზე, რომელიც შეიძლება ეწყინოს რუს მფარველს.

„თურქეთმა, რომელიც დღეს განწყობილია საგარეო პოლიტიკის ახალი გზების მოსასინჯად, ამ ცოტა ხნის წინ დაიწყო აფხაზეთთან „არაოფიციალური“ ურთიერთობების განვითარება, რამაც შესაძლოა შეამციროს ამ უკანასკნელის დამოკიდებულობა რუსეთზე. თურქეთში XIX საუკუნიდან არის დიდი აფხაზური დიასპორა, მისმა ზოგმა ინიციატივიანმა წევრმა დაიწყო დაბანდება აფხაზეთში და ზოგმა თავის „ძველ სამშობლოში“ დასახლებაც კი. ევროკავშირს ჰმართებს, არ შეუშინდეს საქართველოსგან პროტესტების რისკს და აამუშავოს მორიდებული საკონტაქტო პროგრამა – გარემოს დაცვისა იქნება ივი, ჯანდაცვისა, თეატრისა თუ განათლებისა და ა.შ. – და დაეხმაროს აფხაზეთს იზოლაციიდან გამოსვლაში. პიტერ სემნები, ბრძენი შვედი, ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, ლაპარაკობს „ურთიერთობაში შესვლაზე (engagement) აღიარების გარეშე“.

„დროა, რომ ეს პოლიტიკა შეიცვალოს. ჯერ ერთი, თვით საქართველოში უფრო და უფრო ცნობიერდება, რომ ამ ორი ტერიტორიის „დაბრუნება“ ვერ მოხდება, საკაშვილის ხელისუფლება ჯერაც სრულებით ჩამყაყებულად ჯიუტობს (is obdurate). მაგრამ ზომიერი ოპონენტები, ირაკლი ალასანიას მსგავსი, რომელიც აფხაზებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა 2008 წ., ამბობენ, რომ პრობლემები მოგვარებადია პირდაპირი მოლაპარაკებით და რომ „აფხაზური მხარის მიზანიცაა პირობების შექმნა ხანგრძლივი სტაბილობისთვის“. როგორც დონალდ რამსფელდი გვაუწყებს open democracy-ში, ქართველების ინტერესმა გადაინაცვლა თავდადებული პოზიდან (sacrificial posturing) ეკონომიკური ტრანსფორმაციებისა (გარდაქმნების) და ფულის კეთების ამაღელვებელი თემისკენ.

„მეორეც, იმიტომ, რომ დასავლეთის მიერ ამ ტერიტორიების არცნობა და მის მიერვე „გამდგარი რეგიონების“ ხაზის ფლეგმატური მხარდაჭერა ვერაფრის მომცემია საქართველოსთვის. ერი, რომელიც მთლად კონცენტრირებულია შეუძლებელ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, რომლებიც მხოლოდ აცოფებენ მის მეზობლებს, ხაფანგში ჩაჭერილი ერია, უფრო მძლავრ მოკავშირეებზე ჩამოკიდებული, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დაიღალონ მათი პრეტენზიებით და თავისი კლიენტი განსაცდელში მიატოვონ.

„უნაყოფო მოლაპარაკებები ჩანჩალით გრძელდება. ჟენევაში დასრულდა „ამერკავკასიაში უშიშროებასა და სტაბილობაზე“ მოლაპარაკების მე-12 სერია. აფხაზებს უნდათ შეუვალი შეთანხმება ძალის გამოუყენებლობაზე. ქართველები, ლამობენ რა აფხაზთა იგნორირებას, როგორც არცნობილი არაპირისას, ამბობენ, რომ ხელს მოაწერენ შეთანხმებას მხოლოდ რუსეთთან. რუსები – რაც სავსებით გასაგებია, – წინადადებას აყენებენ, რომ ყველამ მოაწეროს ხელი შეთანხმებას, მაგრამ შეთანხმებას ეუთოსთან და არა ერთმანეთთან. არაფერი არ ხდება.

„ასე ჩანს, რომ ყველანი მომწყდეულნი არიან ორი წლის წინ გაჩენილ განწყობათა ხმობად ტალახში. მაგრამ ნებისმიერ გარეშე კაცს შეუძლია, დაუთაზოს მათ (გამოსავლის) გზათა რუკა. ეს რუკაა: ამერიკა, რუსეთთან „გადატვირთვას“ მონატრებული, წყვეტს საკაშვილის რიტორიკისადმი მხარდაჭერას და არწმუნებს საქართველოს, შეურიგდეს გარდაუვალ რეალობას. ევროკავშირი იწყებს სუბ-აღიარების კონტაქტ-პროგრამას აფხაზეთთან და (ამით) აჩერებს მის შესრუტვას რუსეთის მიერ. საქართველო ჰბაძავს ევროკავშირის მაგალითს: კარს ულებს ვაჭრობას, ტრანსპორტს და კულტურულ კავშირებს აფხაზეთთან. ზოგი ქართველ და მეგრელ ლტოლვილთაგანი, რომლებიც გაიქცნენ აფხაზეთიდან 1993 წელს, იწყებენ დაბრუნებას იმ პირობით, რომ ცნობენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, და იღებენ მის მოქალაქეობას. აფხაზეთი სწავლობს მათს მეგობრულ დახვედრას, როგორც თანამოქალაქეებისას და არა მესაბოტაჟეებისა და ძირგამომთხრელებისას.

„რაა საბოლოო შედეგი? თბილი ურთიერთობა, და მახლობლურიც კი, სამხრეთ კავკასიის ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის – ერთი უფრო დიდის, მეორე – უფრო პატარისა. შესაძლოა, განსაკუთრებული ერთიერთობაც კი, რადგან, ჯამში, ამ ორ საზოგადოებას ბევრი საერთო აქვს. ამას სჭირდება მხოლოდ ერთი რამ – საკუთარ სახეზე ხელის აღების სათუთი ხელოვნება. მაგრამ კავკასიაში ეს ისეთი ხელოვნებაა, რომელსაც მასწავლებელი არ ჰყავს“.

რა ქმნის ამ ტექსტის ანტიქართულობას? ორი რამ. **პირველი:** მდუმარედ ნაგულისხმევი ყალბი წანამძღვრები. **მეორე.** თვალსაჩინო და უდავო გარემოებათა უგულებელყოფა. ერთიც და მეორეც იმდენად თვალში საცემია, რომ, **პრაქტიკულად, ეჭვს არ ტოვებს, ავტორი რუსეთის მიერ ანგაჟირებულია და მისი წინადადებები რუსული წინადადებებია.** მის ციტაციას ჩვენთვის სწორედ ეს აზრი აქვს.

მდუმარედ ნაგულისხმევი ყალბი წანამძღვრებია (მოვყვებით ტექსტს თავიდან).

1. *„არც ერთს ამ ტერიტორიათაგან – ორივე ეთნიკურად განსხვავებულია (ქართველთაგან) – არ უნდოდა საქართველოს ნაწილად ყოფნა“ 1991 წლის რეფერენდუმის დროს“.* ნაგულისხმევია, რომ, ავტორის თქმით, აფხაზეთი 1993 წელს ეთნიკურად არაქართულია. ეს სიცრუეა. სინამდვილეში ამ დროს აფხაზეთის მოსახლეობის 46% ქართველია, 18% აფსუაა („აფხაზია“) და 36% რუსი, სომეხი, ესტონელი და სხვა.

2. „სამხრეთ ოსეთის“ (რომელიც რუსეთის გამოგონებაა და არა ბუნებრივად წარმოშობილი რეალობა) მოსახლეობა 1991 წელს 70 ათასი კი არაა, როგორც ავტორი წერს,

გაგრძელება მე-13 გვერდზე

არამედ იგი შედგება 60 ათასი (ცოტა გაბერილი მონაცემებით. რედ.) ოსისგან (რომლებიც მთლიანად დიასპორა არიან, შემოსახლებული თითქმის მთლიანად რუსული ბატონობის წლებში. რედ.) და 30 ათასი ადგილობრივი (indigenous) და ავტოხთონური (autochthonal) ქართველისგან.

3. როგორც აფხაზეთის, ისე „სამხრეთ ოსეთის“ „ნებად“ ავტორის მიერ მიჩნეულია ამ ერეულთა სსრკ-ის დროიდან გადმოყოლილი; მმართველი ჯგუფების, ეთნიკურად არაქართველების ნება, რაც ტყუილია: აფხაზეთის „ნება“, რომელზეც ავტორი ლაპარაკობს, ამ დროს განაწილებულია დაახლოებით ეთნიკური შემადგენლობის პროპორციულად: ქართველ მოსახლეობას უკლებლივ უნდა შესაბამისი ტერიტორიის ყოფნა საქართველოში, არაქართველს — ზოგს ასე და ზოგს — ისე.

4. *„ორივემ* (იგულისხმება: ორივე ტერიტორიამ) *აწარმოა მანკიერი ომი საქართველოს მხრიდან შელახვის წინააღმდეგ“*. ნაგულისხმევია, რომ

— ომი იყო (და არის) ამ (ეთნიკურად ერთგვარვანსა და არაქართულ) ტერიტორიებსა და ქართულ შეიარაღებულ ძალებს შორის. ესეც სიცრუეა. ჯერ ერთი, ომი იყო (და არის) რუსეთის ომი საქართველოსთან და არა ამ ტერიტორიებისა. მეორეც, ომში მონაწილე მხარე და დარტყმის (გენოციდისა და ეთნიკური წმენდის) ობიექტი არის ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა, მაშასადამე, ომი არის არა „ტერიტორიებსა“ და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის, არამედ თვით ტერიტორიების მოსახლეობის ქართულ ნაწილთან (აფხაზეთში — 46%-თან, ცხინვალის რეგიონში — 33%-თან);

5. *„ორივე (ტერიტორია) პრაქტიკულად დამოუკიდებულია უკვე 15 წელიწადზე მეტია“*. იგულისხმება, რომ

— ტერიტორიები არსებობენ, როგორც ერთეულები, საქართველოსგან დამოუკიდებლად, ანუ საქართველოს სურვილი, რომ მათზე კონტროლი დაიბრუნოს, ვერ სრულდება ამ ტერიტორიების პოტენციალთა და დანარჩენი საქართველოს პოტენციალის რეალურად არსებული შეფარდების გამო. ესეც სიცრუეა: საქართველო ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის ხსენებულ ნაწილებს **მხოლოდ იმიტომ, რომ იქ რუსეთის ჯარი დგას**. არც ერთი საათი ამ ტერიტორიებს ხსენებული წლების მანძილზე დამოუკიდებლად არ უარსებიათ ამ ფაქტორის გარეშე (ხოლო „სამხრეთ ოსეთს“ — არც თავისი შექმნიდან 1922 წლიდან დღემდე).

6. იგულისხმება (რაკი „დამოუკიდებელნი“ არიან), რომ ეს ტერიტორიები თავისთავს მართავენ. ესეც სიცრუეა: მათი მართვა ყველა არსებით პარამეტრში რუსების ხელშია.

7. ფრაზაში *„აფხაზეთს ჰყავს 250 ათასი მაცხოვრებელი“* და *„რაც მთავარია, ხალხს უნდა თავისი რეალური დამოუკიდებლობა“* იგულისხმება, რომ

— ეს მაცხოვრებლები, ძირითადად მაინც, საქართველოსგან დამოუკიდებლობის მოპოვების ნების მატარებელი აფხაზები არიან. ეს სიცრუეა: ამ 250 ათასში „აფხაზები“ (აფსუები) 20%-იც არ არიან.

— რომ ქართულად და ქართულის მიყოლებით — სხვა ენებზეც „აფხაზებად“ წოდებული ეთნოსი „აფხაზეთად“ წოდებული ტერიტორიის ავტოხთონური და ერთადერთი მკვიდრი მოსახლეობაა. ესეც სიცრუეა. მეცნიერებისთვის ცალსახად ცნობილია, რომ ეს ეთნოსი, რომელიც თავისთავს „აფსუას“ უწოდებს, „აფხაზებად“ იწოდება მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს ის ნაწილი, რომელშიც იგი შემოსახლდა (ძირითადად XVII ს.), იყო აფხაზეთი (და არა პირუკუ: აფხაზეთს იმიტომ ეწოდება „აფხაზეთი“, რომ აქ აფსუები, ქართველების მიერ „აფხაზეთად“ წოდებულნი, ცხოვრობენ), ხოლო ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობა, ანუ ის, რომელმაც ეს მიწა-წყალი ხელუხლებელი ბუნების მდგომარეობიდან მიიყვანა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობამდე, ქართველები არიან.

8. იგულისხმება, რომ ხსენებული 250 ათასი ამ ტერიტორიის მთელი ბუნებრივი მოსახლეობაა, რაც აგრეთვე სიცრუეა. აქაურ მოსახლეობაში შედის ის 200 ათასი ქართველი ლტოლვილიც, რომელიც დღეს გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს ზოგი საქართველოში და ზოგი რუსეთში და თავის სახლებში დაბრუნებას ელის.

9. იგულისხმება, რომ აფხაზეთის ნება, როგორც მთელისა, არის საქართველოსგან დამოუკიდებლობა. ესეც სიცრუეა. აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება მოიცავს, თავის ელემენტად, იქიდან ნაწილობრივ გამოდევნილი, ნაწილობრივ კი გალის რაიონში დარჩენილი ქართველი მოსახლეობის (240 ათასი) ნებასაც, რომელიც (ეს მოსახლეობა) ომამდე 46%-ს შეადგენდა. არც მმართველი დამნაშავე ხროვის ნება (არძინბა, ბაღაფში და სხვანი), არც მთლიანად აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნება არაა უფლებამოსილი, რომ მარტომ გადაწყვიტოს აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედი. ერთადერთი არგუმენტი, რომლითაც აფხაზური სეპარატიზმი იკუთვნებს ასეთ უფლებას, არის ისტორიული: „ჩვენ აქ ვიყავით მაშინ, როცა თქვენ შემოსახლდით (საუბარი ეხება არა გალს და კოდორს, არამედ აფხაზეთის რემდენსამე სხვა ადგილს). ჩვენ ადგილობრივები ვართ, თქვენ კი მოსულები. ამიტომ **„смерть грузинам!“** და **„Грузины, вон из Абхазии!“** როგორც ზემოთ ითქვა, ეს არგუმენტი ყალბია. მეჯოგე აფსუა ხალხის შემოსვლას აფხაზეთში წინ უსწრებს პირწმინდად ქართული ფეოდალური ცივილიზაცია და მოსახლეობა (რომელიც, სხვათა შორის, თვით აფსუა („აფხაზი“) ერის ნახევარზე მეტს შეადგენს დღეს: ესენი არიან გააფსუებული ქართველები, რომელთაც ეს ნაბიჯი გადადგეს ჯერ იმის გამო, რომ ამით გაჰქცეოდნენ ბატონყმურ დამოკიდებულებას ქართველსავე ფეოდალებთან, შემდეგ კი იმიტომ, რომ რუსებს აფხაზები ჯარში არ მიჰყავდათ);

— ფრაზა *„სწორედ ეს უნდა (საქართველოსგან დამოუკიდებლობა) უნდოდეს დანარჩენ მსოფლიოს აფხაზეთისთვის“* გულისხმობს, რომ საქართველოსგან გამოყოფა აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობისთვის ბედნიერებაა. სინამდვილეში ქართველი მოსახლეობისათვის ეს უბედურებაა, არაქართველი და არაფსუა მოსახლეობისთვის, ალბათ, ფრთხილი აწონ-დაწონის საგანია. მაშ საიდან გაჩნდა ამ ფრაზაში სიტყვა **„ought“**, რომელიც, პირველ ყოვლისა, **მორალური** მოვალეობის აღმნიშვნელია? ანუ: რა მორალური ვალდებულება აწევს „დანარჩენ მსოფლიოს“, რომ მხარი დაუჭიროს ტერიტორიულ დამოუკიდებლობაში ამ ტერიტორიის მოსახლეობის 18%-ს, არაავტოხთონურს, რომელმაც რუსების დავალებითა და პირდაპირი სამხედრო დახმარებით გენოციდი ჩაატარა? ასევე, მორალური ვალდებულების გამომხატველია სიტყვა should ფრაზაში the little nation should on paper be free to open its own contacts with the outer world“ (ეს პატარა ერი ქაღალდზე უნდა იყოს უფლებამოსილი, გახსნას თავისი კონტაქტები გარესამყაროსთან“). მდუმარე წანამძღვარი, რომელსაც ემყარება ეს დებულება, არის ის, რომ ეს „პატარა ერი“ თავის მიწაზე ცხოვრობს და არა ქართველებისაზე, ავტოხთონური მოსახლეობისაზე, რომელსაც მისი მონაწილეობით გენოციდი ჩაუტარდა ამ 18 წლის წინ — მიწაზე, რომელიც არასოდეს, ისტორიის არც ერთ მონაკვეთში არ ყოფილა საქართველოს გარეთ, ანუ რომლის შესვლას საქართველოს შემადგენლობაში საწყისი თარიღი არა აქვს და რომელზედაც „პატარა ერის“ მოსვლას თავისი კონკრეტული, არც თუ ადრეული (XVII ს.) თარიღი **აქვს** (განსხვავებით ჩეჩნეთის ვითარებისაგან, რომლის უკანონო შესვლას რუსეთის იმპერიაში თარიღი **აქვს** და რომელშიც ჩეჩნების არსებობის დასაწყისს თარიღი **არა აქვს**).

10. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას რუსეთის მიერ პოლიტოლოგი ავტორი იურიდიულ საფუძვლად თვლის „პატარა ერის“ უფლებისათვის, რომ *„საქართველოს გაშმაგებული წინააღმდეგობის“* მიუხედავად არა მხოლოდ „ქაღალდზე“, არამედ რეალურადაც მიენიჭოს სუვერენული ქვეყნის ყველა უფლება. აფხაზეთის დამოუკიდებლობას მსოფლიო არ ცნობს იმიტომ, რომ იგი მიღწეულია (ანუ ქართული იურისდიქციის განხორციელება იქ შეწყვეტილია) **დანაშაულებრივი** გზით, სახელდობრ, უცხო ქვეყნის აგრესიისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევის გზით. ამგვარად, ავტორის მიერ წანამძღვრად ნაგულისხმევია, რომ საქმე გვაქვს საერთაშორისო სამართლის იმგვარ დარღვევასთან, რომელთანაც შერიგება გვმართებს. რატომ?

11. ავტორს მიაჩნია, რომ ევროკავშირი უნდა (ought) *„წავიდეს საქართველოსგან პროტესტის რისკზე“* და აამუშავოს *„მოკრძალებული (modest) საკონტაქტო პროგრამა“* უსამართლოდ დაჩაგრულ „პატარა ერთან“ და ამ უკანასკნელის მიერ თავისთვის მიკუთვნებულ ხუთჯერ უფრო დიდ ტერიტორიასთან, რომელიც მის მიერ დაკავებულია და რომელიც ისტორიულად მისი ტერიტორია, ანუ მისი ეთნიკური ტერიტორია, არ არის (არც იურიდიულად არის, რადგან აფსუა ტომების ხან მშვიდობიანი, ხან არამშვიდობიანი შეერევა).

ქართველი მოსახლეობისა ეს ეს ... ...

„კონცეფციაში“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა სამინისტროს ავტორობით და რომელიც საქართველოში ფასდება, როგორც ბლეფი, ციინიზმი, ქართველთა მასხრად აგდება და დიპლომატიის კარიკატურა.

14. და ბოლოს, ავტორის მდუმარე წანამძღვარი მისი დებულებისთვის, რომ საქართველო თავის დღესდღეობით რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებს, არის შემდეგი: რუსეთი **შეძლებს** შავი ზღვის შენარჩუნებას რუსული ან რუსულ-თურქული ტბის სტატუსში, რუსეთი **შეძლებს** თავისი კანიბალური ბატონობის შენარჩუნებას ჩრდილოკავკასიის სამხრეთ ზონაში, რომელიც მის ხელში იმყოფება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ადგილობრივი ხალხების, ანუ კავკასიელების მხრიდან რაიმე სახით მიღებული თანხმობის ფორმით, რომ მათი მიწა-წყალი რუსეთის შემადგენლობაში იმყოფებოდეს; რომ რუსეთი **შეძლებს** ცენტრალური აზიისკენ დასავლეთის გზის, და პირუკუ, გადაკეტვას, რის შედეგადაც აზიის ეს რეგიონი და მასში გლობალური ძალის ვაკუუმი შეივსება რუსული ან ჩინური ან რუსული და ჩინური ანტიდასავლური ძალით. ეს წანამძღვარი ვერ მიიღება თავისთავად ცხად დებულებად. მას ძალიან ვრცელი და მრავალმხრივი დასაბუთება სჭირდება (ალბათ, ფუჭი მცდელობის სახით), მაგრამ ავტორი ამ დასაბუთებას ვერ იძლევა.

ავტორის მიერ უგულებელყოფილი გარემოებები

1. რუსეთის დარტყმა საქართველოზე 2008 წლის აგვისტოში არ იყო „ნაცვალგება“ (retaliation), არამედ იყო მორიგი გეგმიური ეპიზოდი ორსაუკუნოვანზე უფრო ხანგრძლივი რუსული შემოტევისა საქათველოში ოსური პოზიციების შექმნისა და გაძლიერების მიზნით (ამ ორსაუკუნოვან ოპერაციაში შედის რუსების მიერ საქართველოში „ოსეთის“ გამოგონებაც (1802) და შექმნაც (1922). რუსების „ნაცვალგებას“ 2008 წელს უშუალოდ წინ უძღოდა ქართული სოფლების მრავალკვირიანი საარტილერიო დაბომბვა (რუსების მიერვე, ადგილზე მათი „მეშვიდობეების“ დგომის პირობებში).

2. ავტორი არ ახსენებს რუსების მიერ 1991-1992 წლებში (ოსების გემოყენებით) ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ ქართველების გენოციდს და მის განმეორებას (განსრულებას) 2008 წელს.

3. ავტორი დეზინფორმაციას ეწევა, როცა წერს, რომ *„არც ერთს ამ ორ ტერიტორიათაგანს არ უნდოდა საქართველოში დარჩენა, როცა ამ უკანასკნელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა“*. აფხაზეთში 1991 წლის რეფერენდუმი დამოუკიდებლობის თაობაზე შედგა და დამოუკიდებლობას ხმა მისცა მოსახლეობის წამლეკავმა უმრავლესობამ აფსუური („აფხაზური“) დასახლების რაიონების ჩათვლით. ცხინვალის რეგიონის რუსების მიერ დაკავებულ ნაწილში რეფერენდუმი ვერ ჩატარდა, თავისუფალ ნაწილში კი ჩატარდა ამავე წამლეკავი უპირატესობით დამოუკიდებლობის სასარგებლოდ.

4. ავტორი უგულებელყოფს იმ გარემოებას, რომ „პატარა აფხაზეთის“ სახელით დღეს მაგიდაზე არ დადებულა არც ერთი გეგმა საბოლოო დარეგულირებისა, რომელიც შეიცავდეს აფხაზეთის კანონიერი მაცხოვრებელი 246 ათასი ქართველის თავის სახლებში დაბრუნებისა და თანასწორუფლებიანი ცხოვრების ორგანიზების გეგმას. სხვა სიტყვით, იგი **უმალავს** მკითხველს, რომ ამ „პატარა ერის“ წადილია ერთპიროვნული ფლობა და მართვა მის რეალურ განსახლების ზონაზე ხუთჯერ დიდი ტერიტორიისა საკუთარი შეუზღუდველი ეთნოკრატიის საფუძველზე.

5. მსჯელობს რა თურქეთის მიერ აფხაზებთან „არაოფიციალური“ კავშირების დამყარებაზე (რაც, მისი სიტყვით, მიმდინარეობს) და გამოთქვამს რა იმედს, რომ ამით რუსული გავლენა აფხაზეთში შეიზღუდება, ავტორი უგულებელყოფს რუსული გეგმის (თურქეთისაგან, ლოგიკურად, მხარდაჭერილის) ფაქტს. რომელიც რუსულ იმპერიულ იდეოლოგიას ასე აქვს დაფორმულებული: „Кавказ становится зоной общей ответственности России, Ирана и Турции. А. Кочетков, А. Мартынов, М. Пискорский. Южная Осетия, М. 2009. стр.“.

6. იქიდან, რაც ითქვა საკაშვილისა და მისი გუნდის რუსეთის სამსახურში დგომის შესახებ, გამომდინარეობს, რომ ჟენევის მოლაპარაკება არის არა ქართულ-რუსული, ან ქართულ-აფხაზური, ან ქართულ-ოსური დიალოგი, არამედ რუსეთის ინსცენირებული დიალოგი თავისსავე ცუდად შენიღბულ აგენტურასთან. ამ ფაქტს ავტორი უგულებელყოფს. შესაბამისად, მის მიერ ამ მოლაპარაკებათა „სიბერწის“ (sterility) გამოყენება მოლაპარაკების პრინციპული უპერსპექტივობის დასკვნის საფუძვლად უმართებულოა.

სიყალბის ზემოთ ციტირებული ორივე სახეობა – მდუმარედ ნაგულისხმევ ყალბ წანამძღვრებზე დამყარებაც და საკუთარი დებულებებისა და საკითხისთვის არსებითი გარემოებების უგულებელყოფაც – სრულებით მიუცილებელია იმისთვის, რომ ავტორის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია – დასავლეთმა თავი დაანებოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ქომაგობას, ნელ-ნელა აღიაროს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ამით აღკვეთოს (მეტ-ნაკლები ალბათობით) ამ ტერიტორიაზე რუსეთის სტრატეგიული დამკვიდრება – სიცოცხლისუნარიანი იყოს. ჩვენ აქ ტექსტიც და მასში არსებული ღია და ფარულ სიყალბეთა ნუსხაც იმის საილუსტრაციოდ მოგვყავს, რომ **საქართველოს ხელისუფლებას არც შევარდნაძის დროს, არც სააკაშვილის დროს კრინტი არ დაუძრავს არც წერილობით, არც ზეპირად ზემოხსენებულ ყალბ წანამძღვართა გასაბათილებლად და ზემოხსენებულ არსებით გარემოებათა დასაფიქსირებლად მსოფლიოს თვალში.** ციტირებულ სიყალბეთა ნუსხა და იმ შეუვალ არგუმენტთა ნუსხა, რომელთა დამოწმება საკმარისია და აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველოს შეუვალი უფლება ყველა თავისი ტერიტორიების მიმართ ცალსახად დასაბუთებული და მოწინააღმდეგისთვის დაუძლეველი იყოს, და რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას (ანუ იმ დღესდღეობით პრაქტიკულად ერთადერთ სუბიექტს, ვისაც ამ არგუმენტთა საყოველთაო-გასაგონად და მსოფლიოსთვის ხილულად განცხადების საშუალება აქვს) დღემდე დამალული აქვს, **ერთმანეთს ემთხვევა.** ჩვენი სახელმწიფოსთვის წამგებიანი ინფორმაციულ-დეზინფორმაციული ამინდი ჩვენი ტერიტორიების საკითხზე, რომელიც დღეს მსოფლიოში სუფევს, საქართველოს 1991-92 წლების გადატრიალების შემდგომი ორი ხელისუფლების – შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლების – ქმნილებაა. ეს კმარა იმ გარემოების უჭოჭმანო კონსტატაციისათვის (გარემოებისა, რომლის დადასტურებისთვის მრავალი სახის მტკიცებულებები არსებობს), რომ 1992 წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის სამსახურში დგას და საქართველოსგან მისი ორი ტერიტორიის მოწყვეტის ოპერაციაში რუსეთთან თანამშრომლობს.

რაში მდგომარეობს რუსეთის სტრატეგია ამ ოპერაციის დღევანდელ ეტაპზე მის იმ ნაწილში, რომელშიც, ჩანაფიქრით, გამოყენებულ უნდა იქნას ბ-ნ ასკერსონის მიერ გამოთქმული რეკომენდაცია? **იგი მდგომარეობს დასავლეთის დაყოლიებაში, რომ რუსეთის აგრესიის უკვე შემდგარ აქტს – საქართველოს ტერიტორიათა „დამოუკიდებლობის“ ცნობას – რბილი საერთაშორისო ატმოსფერო შეუქმნან, რომელიც შთაბეჭდილებას შექმნის, რომ სეპარატისტების საქმე სამართლიანი ან, სულ ცოტა, არადანაშაულებრივი ყოფილა და რომ რუსეთის მოქმედება, არსებითად, საერთაშორისო დანაშაული კი არ ყოფილა, არამედ პოზიციების განსხვავება რუსეთსა და დასავლეთს შორის, რომელნიც, ვითარცა სამართლიანი არბიტრები, ადრე თუ გვიან გამონახავენ საერთო მიდგომას.** დეტალები იმისა, თუ როგორ გეგმავს რუსეთი თავისი იმპერიული პოზიციების შენარჩუნებას ჩვენს მიწაზე, სხვა საკითხია (ამაზე საუბარი გვექნება კარნეგის ფონდის მოღვაწეთა პოზიციასთან დაკავშირებით) და ბ-ნ ასკერსონის პუბლიკაციის შეზღუდულ როლს არ ეხება.

ავტორის რეკომენდაციას, რა თქმა უნდა, ეთიკური და მორალური განზომილებაც აქვს. ეს არის პრაგმატული პოზიცია ლოგიკით „გავწიროთ საქართველო, როგორც დამარცხებული, გავწიროთ მისი ლტოლვილი მოქალაქეები და მისი სახელმწიფოებრივი მომავალი, გავწიროთ მისი ერის თავმოყვარეობა, რათა ამ ფასად

ა) დავამყაროთ სტაბილობა და

ბ) შევაფერხოთ რუსეთის დამკვიდრება ამ რეგიონში“.

ეთიკის ეს ფორმა კაცობრიობისთვის ახალი არ არის. „უმრავლესობისთვის გავწიროთ უმცირესობა“ ძველისძველი პრინციპია, რომელიც ამართლებს ადამიანთა მსხვერპლად შეწირვასაც და მცირე ერთა გამოყენებასაც ხურდა ფულად. ბ-ნ ასკერსონის წინადადება თავისი ეთიკური მხარით არის ნადიმი გვამის თავზე – საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გვამზე და მისი დევნილი მოქალაქეების, როგორც ინდივიდების, ბედნიერების გვამზე. საბედნიეროდ, არსებობს სხვა პრინციპიც – fiat justitia, pereat mundus (აღსრულდეს სამართალი, თუნდა დაიღუპოს ქვეყნიერება) და, ისევ და ისევ საბედნიეროდ, არც სამართალი ზოგადად, არც საერთაშორისო სამართალი კერძოდ არ არის სავსებით გულგრილი ამ პრინციპის მიმართ.

ბ-ნ ასკერსონის რეკომენდაციები ფრიად დამაფიქრებლად თანჰხვდება რუსეთის გეგმას, რომელიც – ჯერჯერობით გადაკვრით – გაჟღერებულია კარნეგის ცენტრის მოსკოვური ფილიალის მოღვაწეების **რუსი ტრენინის და დასავლელი თომას დე ვაალის** პუბლიკაციებში. თვალში საცემი დამთხვევაა ის, რომ ასკერსონიც და ეს ორნიც ითხოვენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, როგორც სავსებით სიცოცხლისუნარიანი და მდიდარი პატარა სახელმწიფოსას, ცხინვალის რეგიონს კი („სამხრეთ ოსეთის“ სახელით) უტოვებენ რაღაცა ზედაპირულ ფორმას საქართველოსთან ერთიანობისა, მაგრამ საქართველოს მასთან მიმართებაში ბორკავენ რუსეთის კონტროლით და ეუთოს კონტროლით, რომელშიც (ეუთოში) რუსეთს დღეს ძალიან მყარი პოზიციები აქვს. აი, ამ ავტორთა ძირითადი თეზისებიც:

დმიტრი ტრენინი, კარნეგის ფონდის მოსკოვური ცენტრი. გაზ moscow times. „როგორ შევურიგდეთ საქართველოს“. წყალ-წყალა ფრაზების ფონზე „მეგობრობის აღდგენისა“ და ღვინის ემბარგოს მოხსნის შესახებ ავტორის წინადადებები და პოზიციებია:

– სტატუს ქვოს აღდგენა გამორიცხულია.

– აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ ძალიან განსხვავეული პრობლემებია.

– აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო, სიცოცხლისუნარიანია. იგი დაუბრუნებს საქართველოს გალის რაიონს მისი აღიარების ფასად. რუსეთის სამხედრო მყოფობის მასშტაბი აფხაზეთში შეიძლება შემცირდეს (რაც დარეგულირების ელემენტია, ანუ აგრეთვე კანონდება ხელშეკრულებით).

– „სამხრეთ ოსეთი“ არ არის სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო. მისი შეერთება „ჩრდილო“ ოსეთთან დაუშვებელია, თუნდ რუსეთის შემადგენლობაში და თუნდ ცალკე. მაგრამ ვერ მოხდება ვერც მისი, უბრალოდ, ჩართვა საქართველოში.

– „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის „შემოქმედებითი“ განსაზღვრა მოხდება ანდორას თარგზე: მას ექნება დამოუკიდებლობის გარეგანი ნიშნები – სამკაულები, - trappings (მაშასადამე, აღიარება და, რა თქმა უნდა, რუსების მიერ შეთხზული სახელიც „სამხრეთ ოსეთი“, რედ.): იგი დაბეჭდავს საფოსტო მარკებს, მოჭრის ფულს და აღმართავს დროშას. საქართველო ამ ტერიტორიაზე იურიდიულად იქნება წარმოდგენილი, როგორც გარანტორი მისი დარჩენილი და დასაბრუნებელი ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოებისა. „ასეთი მყოფობა აგრეთვე [illegible] საქართველოს მის დედაქალაქზე მოულოდნელი დარტყმის საშიშროებისაგან“. რუსეთი გაიყვანს თავის ძალებს როკის გვირაბის იქით, მაგრამ შეინარჩუნებს „სამხრეთ ოსეთის დაცვის უფლებას“ (ანუ დიქტატს, რედ.). შეიქმნება „ერთობლივი პოლიცია“.

– „დათმობათა ძირითადი ტვირთი დააწვება საქართველოს“, მაგრამ ეს (საქართველოსთვის) უკეთესი იქნება, ვიდრე ისაა, რაც ახლაა და რაც იქნება „გაყინვის გაურკვეველი ხანგრძლივობის პერიოდში“.

როგორც ვხედავთ, **ორსავე ოკუპირებულ რეგიონში რუსი ავტორი (სავარაუდოდ – პუტინთან შეთანხმებით) რეალურად სრულ კაპიტულაციას ითხოვს, ანუ უჭირავს პოზიცია ომში გამარჯვებულისა, რომელსაც დანაშაული – აგრესია – შერჩა.** ამ პოზიციით დასავლეთთან სალაპარაკო ძალა რუსეთს დღეს არა აქვს და ვერც განჭვრეტად მომავალში ექნება. ციტირებული წინადადებები არის საწყისი პოზიცია ვაჭრობისათვის. რეალისტური ვაჭრობისთვის ეს პოზიცია არ ვარგა (იგი პარტნერს არაფერს სთავაზობს). აქედან ვასკნით: **პოზიცია გათვლილია იმაზე, რომ ოფიციალური პარტნერი – რუსეთისავე აგენტურა საქართველოში – დათმობს პოზიციას ობიექტური საჭიროების გარეშე და ტრენინის წინადადება მხოლოდ გარეგნული ხედის შექმნას ემსახურება, თითქოს „მხარეები“ მოლაპარაკების მაგიდასთან მართლა იბრძვიან. გამჭოლი მიზანი რუსეთისთვის, სავარაუდოა, არის კონფედერაციული ფსევდოსახელმწიფო „საქართველო-აფხაზეთი-სამხრეთ ოსეთი“, რომელიც დაშლადია ერთერთი წევრის მიერ უარის თქმისთანავე. ფონად დასავლეთს უგდებენ წინადადებას მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის კონტროლში (ამას ემსახურება ასკერსონის წერილი).** იმისთვის, რომ გასაგები გახდეს, რამდენად ულირს ეს ფინალი პუტინს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ტერიტორიათა რუსეთის მიერ აღიარებული უკანონო „დამოუკიდებლობის“ აღიარება – რაგინდარა არაპირდაპირი ფორმით – საქართველოს მიერ (რუსულივე აგენტურის მიერ მართული საქართველოს მიერ) სასიცოცხლოდ აუცილებელია არა მხოლოდ რუსეთის პრესტიჟული ადგილისათვის მსოფლიოში, არამედ პუტინის ასეთივე ადგილისთვისაც რუსეთში.

***

თომას დე ვაალი (იგივე კარნეგის ფონდი). **„როგორ გავზომოთ კავკასიური წრის კვადრატურა“**. გამოქვეყნებულია „financial times“-ში.

ავტორი აღნიშნავს, რომ, რუსულ-ქართული ომის მიუხედავად, „ცივი ომი“ არ მოხდა, არც დამეგობრებაზე მოლაპარაკე მხარეების მორიგება საქართველოს ტერიტორიათა თემაზე. ავტორის ძირითადი თეზისებია

– „სამხრეთ ოსეთი ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი

– აფხაზეთი უფრო დიდია, მას აქვს „პროტო-სახელმწიფოებრიო-

ბა“, მაგრამ აღიარების მცირე შანსი. „მან გადაჭრით გაწყვიტა კავშირი პოსტსაბჭოთა საქართველოსთან, რომლის ნაწილი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით იგი არასდროს ყოფილა“ (ამ თეზისის ორ პუნქტში ვლინდება ის, რომ ავტორი შევარდნაძისა და საკაშვილის მიერ კულტივირებულ არაინფორმირებულობაში ცურავს. **პირველი.** მან არ იცის, რომ ის, ვინც „საქართველოსთან კავშირი გაწყვიტა“, არის არა აფხაზეთი, არამედ, უკეთეს შემთხვევაში, აფხაზი ხალხი, რომელიც აფხაზეთში შემოსულია და ავტოხთონურ ქართველებზე თითქმის სამჯერ მცირეა რიცხოვნობით. **მეორე,** მან არ იცის, რომ ისტორიამ არ იცის მომენტი, როცა აფხაზეთი საქართველოს გარეთ ყოფილიყოს.

— აფხაზების უმრავლესობას უნდა რუსული ძალები, როგორც ქართველებისგან დამცველი

— ევენტუალური კომპრომისი (იგულისხმება: დასავლეთსა და რუსეთს შორის) გარდაუვალია, მაგრამ მის მისაღწევად მხარეები უნდა გადაეჩვიონ „ცივი ომის პრიზმით ყურებას“.

— დასაფასებელია, რომ აგვისტოს ომმა რუსეთი დაასუსტა. „დამოუკიდებლობათა“ აღიარებამ იგი დააზარალა საერთაშორისო არენაზე. ჩრდილო-კავკასიაშიც ეს რუსეთისთვის უარყოფითი ფაქტორია.

— კავკასიონის სამხრეთით რუსეთს ბერკეტები მცირე აქვს, ამიტომ უნდა იმუშაოს ადგილობრივ ელიტებთან (ასეთი „მუშაობის“ კერძო შემთხვევაა მის მიერ საქართველოს სათავეში თავისი აგენტურის ყოლა. რედ.)

— ეკონომიკური გაჯანსაღებისკენ მოსწრაფე რუსეთს ესმის, რომ ახლო-საზღვარგარეთში თავის შესანარჩუნებლად მას სჭირდება ეკონომიკური ბერკეტები და არა იძულება. (ილუსტრაციად მოყვანილია გადაწყვეტილება, რომ არ ჩაერიოს ყირგიზეთში, და თანხმობა ტანკების რაოდენობის შემცირებაზე 90%-ით).

— აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომელთაც რუსეთთან „საერთო საზღვრები და ისტორიული კავშირები აქვთ“ რუსეთისთვის უშიშროების პრობლემაა. მისი დგომა თბილისიდან ერთი საათის სავალზე საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს.

— ამერიკულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესება მკვეთრად ამცირებს „სამხრეთ ოსეთში“ ახალი აფეთქების საფრთხეს. თუ ოსებს ნება მიეცათ აირჩიონ არა რუსეთი ან საქართველო, არამედ თვითმმართველობა ორივესთან კავშირების ქონით, ისინი ჩაეჭიდებიან ამ შანსს“. (ავტორმა იცის, რომ ქართულ-ოსური ქორწინება ხშირია და რომ „სამხრეთ ოსეთი“ გეოგრაფიულად საქართველოშია, მაგრამ ის, რომ „სამხრეთ ოსეთი“ რუსული გამოგონებაა და რუსული კრეატურაა, მისთვის, როგორც ჩანს, ცნობილი არ არის).

— აფხაზეთი უფრო რთული შემთხვევაა, მაგრამ არსებობს თორმეტი ტერიტორია მაინც, რომელსაც ასიმეტრიული სუვერენიტეტის წესით მოწყობა აქვს (ანდორა, ლიხტენშტაინი, აალის კუნძულები), რომ აღარაფერი ვთქვათ შოტლანდიაზე და ირლანდიაზე, სადაც მთავარობაში სეპარატისტი მინისტრები სხედან. აფხაზეთის საკითხიც შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს.

— „გადატვირთვაში“ რუსეთისა და საქართველოს მონაწილეობას ხელს უშლის ომის ფსიქიკური ინერცია და საკაშვილის, როგორც „რუსეთის მოსისხლე მტრის“, ფაქტორი. მაგრამ რუსეთს მრავალი საფუძველი აქვს, რომ, ხანგრძლივ პერსპექტივაში, პრობლემის გადაჭრაში წვლილის შეტანა ეწადოს.

— დასავლეთის დღევანდელი პოლიტიკა არის ძლიერი რიტორიკა ადვილი სიტყვებისა მძიმე შრომის ნაცვლად.

ოფიციალური ბურუსი ფუძემდებელ ფაქტებზე არაინფორმირებულობისა, რომელიც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის თემასთან დაკავშირებით დააყენეს შევარდნაძისა და საკაშვილის ხელისუფლებებმა, ჯერ კიდევ სამი წლის წინ ვრცელდებოდა იმაზეც, რომ საქართველოში არსებული შეიარაღებული დაპირისპირებები „ეთნიკური კონფლიქტები“ კი არაა, არამედ რუსეთ-საქართველოს ომია, იმაზეც, რომ სეპარატისტულ გარედან სტიმულირებულ მოძრაობათა მიზანი თავისუფლება კი არაა, რომელიც არავისგან არ იზღუდებოდა, არამედ მიწაა, იმაზეც, რომ აფხაზეთი აფხაზეთი იყო და საქართველოს ნაწილი იყო მასში დღეს „აფხაზებად“ წოდებული აფსუა ხალხის მისვლამდე, იმაზეც, რომ „ოსეთი“ საქართველოში ბუნებრივად გაჩენილი რეალობა კი არაა, არამედ რუსების მიერ ჯერ შეთხზული, შემდეგ კი შექმნილი ერთეულია, და იმაზეც, რომ არც ერთს ამ ორ სეპარატისტულ მოძრაობათაგანს არ გააჩნია არავითარი იურიდიულ ნორმებთან ან უფლებადაცვითი დოკუმენტების ნორმებთან თავსებადი კონცეფცია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საბოლოოდ დერაგულირებული სახე სხვადასხვა ეთნიკური ვინაობის მქონე ადამიანთა თანაცხოვრებისა ამ რეგიონებში, ისევე როგორც არა აქვს საქართველოს აგენტურულ ხელისუფლებებს 1992 წლის აქეთ. მაგრამ საქართველოს ეროვნული მიმართულებისა, და, მაშასადამე, ჭეშმარიტად დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ ძალებს, პირველ ყოვლისა — საქართველოს ეროვნულ ძალთა ალიანსს ასეთი კონცეფცია აქვს და არაერთგზის გამოქვეყნებულიც აქვთ. პირველი ამ არაინფორმირებულობათაგანი მსოფლიოს თვალში გაქრა 2008 წლის ომის შედეგად. დანარჩენები, ჯერჯერობით, უცვლელი რჩება.

***

ბოლოს ციტირებულ მოსაზრებათა ავტორი თომას დე ვაალი დღეს ავტორიტეტის მქონე პოლიტოლოგია, კავკასიაში ფართოდ ნამგზავრი და ექსპერტად მიჩნეული, მრავალი შრომების ავტორი. მისი უფრო გვიანდელი პუბლიკაცია „უკანვე გამოვიწვიოთ „დიდი თამაშის“ პოზიცია (call off the great game“. 13.IX.2010) კიდევ რამდენიმე გრადუსით გადახრას მოწმობს ანტიქართული მხარისკენ. სახელდობრ:

1. აქცენტი აქვს დასმული იმას, რომ „ფაქტობრივი მიკროსახელმწიფოები“ „არსებობენ, თუმცა „ბინდბუნდის ზონაში“ და „არა მთლად სუვერენული“ სახით.

2. დასავლეთი ცდება, როცა ადგილობრივებს (და თავისთავს) არ უფანტავს სამ „მირაჟს“. **პირველი.** თითქოს ეს რეგიონი „დიდ მოთამაშეთა“ დაფაა, სადაც ადგილობრივებს წონა არა აქვთ და არ უნდა ჰქონდეთ. სინამდვილეში ისინი „ახერხებენ თავისის გატანას“ ამა თუ იმ სახით. „კავკასია კავკასიაა“ და ასეც უნდა იყოს (ამ თეზისით და იმის ცოდნით, რომ კავკასიელებმა ყველა ასიმილატორს გაუძლეს, ავტორი კავკასიელთა გულს იგებს). თვალში საცემია (თუმცა მხოლოდ სიმპტომის მნიშვნელობა აქვს), რომ ავტორი რუსეთს ახსენებს, როგორც „საფრთხედ აღქმულს“, თუმცა, საქმით, მისი როლი იცის.

მეორე მირაჟი. რუსეთი ჯერ კიდევ წარმოუდგენიათ დათვად, რომელიც კავკასიას ჩასაყლაპავად უყურებს. „ეს დიდი გაზვიადებაა“. რუსეთს საამისო ბერკეტები აღარა აქვს. ავტორის ეს კონსტატაცია ემყარება ვითარების მთავარი ფაქტორის უგულებელყოფას — იმისას, რომ რუსეთისთვის სასიცოცხლო ამოცანაა რეგიონის გადაკეტვა დასავლეთისთვის, რის გამოც იგი მზადაა განწირულად იბრძოლოს. საფიქრებელია, რომ „ადგილობრივთა“ გულის დაწყნარება ავტორის მიზნებში შედის. ავტორის ამ ტაქტიკაში (რადგან შეუძლებელია ინფორმირებულ ავტორს რეალობა შეუმჩნეველი რჩებოდეს) შედის იმის მტკიცებაც, რომ მოსკოვს შესვენება (ცეცხლის შეწყვეტა) უნდა და მას ურჩევნია, დაეყრდნოს „ეკონომიკურ დაინტერესებებს“ სამხედრო ძალის ნაცვლად. ავტორის გამჭოლი მიზანი ამ მსჯელობაში საკმაოდ ნათელია: იგი ამბობს, „სამხრეთ ოსეთზე რუსეთთან შეთანხმება შესაძლებელიაო“ (10 წლის ფარგლებში). რუსეთი ეშმაკი მხეცია, მაგრამ არა ყოვლის შემძლე“.

მესამე მირაჟია, ავტორის მტკიცებით, სამხრეთ კავკასიის წარმოდგენა განსაკუთრებული მნიშვნელობის რეგიონად დასავლეთის თვალში. კავკასიელებს ეს ილუზია უნდა გაუქარწყლდეთ. ჯერ ერთი, ნავთობი კასპიის გარშემო არც იმდენია. „აბრეშუმის გზა“ და „დიდი თამაშის“ დაფა დრომოჭმული მეტაფორებია, მეტი არაფერი, ნატო არაა მზად საქართველოს მისაღებად, ისევე როგორც საქართველო არაა მზად ნატოში შესასვლელად. ამიტომ კავკასიელებს უნდა შეეყვანოთ ჯანსაღი სტრატეგიული უმნიშვნელობის“ შეგნების კარგა დიდი დოზა“, რათა მიხვდნენ, რომ მათთვის უმჯობესია „დაზავება დიდ ძალებს შორის“, რასაც თან უნდა ახლდეს ამ უკანასკნელთა შეთანხმება „რეგიონში შეტევით იარაღთა არმიწოდების“ თაობაზე. სწორედ ეს დებულებაა, როგორც ჩანს, მთავარი რუსული დავალება, რომელსაც ექსპერტის ეს წერილი ემსახურება „ადგილობრივთათვის“ თავის მოქნევის ფონზე. წერილის მეორე ადრესატი — დასავლეთი — წერილმა უნდა დაჯეროს, რომ კავკასიაში, როგორც გეოგრაფიულ კვანძში და პოტენციურ „თავისუფალ ზონაში“, დიდი ეკონომიკური შესაძლებლობები თვლემს. რუსულია, უთუოდ, ის აზრიც, რომ დიდებმა ერთობლივად უნდა იზრუნონ, რათა „კონფლიქტისკენ ჩაცურება“ აღარ მოხდეს.

სხვა, ნაკლებ გამოკვეთილ საქმით პრორუსულ სტატიებს აქ აღარ ვიხილავთ. ზოგადი სურათი მათი მიზანსახვისა საკმაოდ აშკარაა: რუსეთი ესწრაფვის კონფედერაციის, ანუ დაშლადი (მაშასადამე, ყალბი) სახელმწიფოს შექმნას საქართველო-აფხაზეთი-„სამხრეთ ოსეთი“ შემადგენლობით, რადგან ეს ერთადერთი გამოსავალია, რომელიც მას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს

— თავისი მოპოვებული პოზიცია საქართველოს ტერიტორიაზე

— თავისი „სახე“, როგორც მსოფლიო ძალისა და

— თავისი „სახე“, როგორც „წესიერი“ და „საერთაშორისო სამართალმორჩილი“ სახელმწიფოსი,

ამ უტოპიური მიზნის მიღწევის იმედი მას სხვაგვარად ვერ ექნება, თუ არ იმის საფუძველზე, რომ საქართველოს ხელისუფლება მის პირდაპირ აგენტურულ დაქვემდებარებაშია. სხვა ლოგიკა მისი იმედებისათვის საქართველოს მიერ პოზიციის დათმობისა არ არსებობს.

ნ. ნათაძე

საქართველოს სახალხო პარტიის 2010 წლის წლიური

საფინანსო დეკლარაცია

გაცნობებთ, რომ „სახალხო პარტიას“ 2010 წელს შემოსავალი ჰქონდა 4800 ლარი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან (არასრულად, სააღსრულებლო ბიუროდან; საქართველოს პარლამენტის დავალიანება „სახალხო პარტიის“ მიმართ 1998-1999 წლების). მთლიანობაში სახალხო პარტიის ანგარიშზე 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იყო 4826 ლარი და 52 თეთრი. „სახალხო პარტიას“ საფინანსო ოპერაცია არ უწარმოებია, რის გამოც გასავლის აღრიცხვა არ მოუხდენია.

პარტიას არ ჰქონია ფინანსური გასავალი არც უძრავ-მოძრავი ქონება გააჩნია და არც საბანკო ანგარიში გამოუყენებია, ამრიგად არ არსებობს აუდიტორული შემოწმებისათვის აუცილებელი ფინანსური თუ სხვა დოკუმენტაცია, რომელსაც ითვალისწინებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

ი.(მამუკა) გიორგაძე „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე

ინდივიდუალური აუდიტორი
ლიანა ტაველურაშვილი
თბილისი, სულთნიშნის შესახვევი №4
ტელ.: 899 96 34 65
857-77-88-70

20 იანვარი 2011 წ.

აუდიტორული დასკვნა

მე, ინდივიდუალურმა აუდიტორმა ლიანა ტაველურაშვილმა, ჩავატარე პოლიტიკური გაერთიანება „სახალსო პარტიის“ (თავმჯდომარე ივანე გიორგაძე) მიერ წარმოდგენილი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის შედგენილი წლიური ანგარიშის აუდიტი.

ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებასა და უტყუარობაზე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ შესაბამისად (მუხლი 14) პასუხისმგებელია დამკვეთი, ხოლო მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმ დასკვნაზე, რომელიც ჩემს მიერ არის შედგენილი იმ ფინანსური მონაცემების აუდიტიდან გამომდინარე, რაც წარმოადგინა პოლიტიკურმა გაერთიანება „სახალხო პარტიამ“.

აუდიტი ჩავატარე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარ დაგეგმვას და შემოწმებას, რაც საშუალებას მომცემდა დავრწმუნებულიყავი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს და თავისუფალია ყოველგვარი უზუსტობისგან.

გარდა ამისა, აუდიტმა მოიცვა საფინანსო ანგარიშგების ციფრობრივი მასალის შერჩევითი შემოწმება და გამოყენებული ბუღალტრული (ფინანსური) პრინციპებისა და მნიშვნელოვანი პროგნოზირების შეფასება. ჩატარებული სამუშაოდან გამომდინარე, ვადასტურებ, რომ 2010 წელს პოლიტიკურ გაერთიანება „სახალხო პარტიას“ უნაღდო ანგარიშსწორებით სახალხო ბანკში ანგარიშზე №360898102001972400001 ჩაირიცხა 4800 ლარი საქ.იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით. აღნიშნული თანხა საანგარიშო პერიოდში არ გახარჯულა. წინა წლის ნაშთის გათვალისწინებით ფულადი სახსრების ნაშთი 2011 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 4826 ლარს და 52 თეთრს. სხვა სახის შემოსავლები პარტიას არ მიუღია.

დ-აუდიტორი:
ლ. ტაველურაშვილი

ჩვენი აქტუალური არქივიდან

მეცხრე გვერდიდან

ის ფაქტი, აგრეთვე ომის წაგების შემდეგ „შუამავალად“ რუსეთის დატოვებისა, არ მოახდინა რუსეთის მონაწილეობით დადებული არაფრით არ გამართლებული კაბალური ხელშეკრულებების დეზავუირება, არ აღძრა საქმე აფხაზეთში (საქართველო) ჩატარებული გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტის გამო და შევარდნაძის მიერ ჩადენილ სამხედრო ღალატთა სერიის გამო (მათ შორის - აფხაზეთიდან საქართველოს მძიმე ტექნიკის გამოყვანის გამო).

6. სააკაშვილის ხელისუფლებამ გააგრძელა შევარდნაძის პოლიტიკა საქართველოში რუსული აგენტურის ხელშეუხებლობისა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენების საბოტირებისა, სათავდაცვო წარმოების ნარჩენების განადგურებისა, სამოქალაქო თავდაცვის არშექმნისა, სარეზერვო სამსახურის სისტემის ფიქტიურ დონეზე დატოვებისა და სოფლის, როგორც თავდაცვითი მართვის ერთეულის, მოშლისა მასში არჩევითი ხელისუფლების არარსებობის შედეგად.

7. სააკაშვილის ხელისუფლებამ გააგრძელა შევარდნაძის პოლიტიკა მსოფლიოს წინაშე რუსეთისა და მისი მარიონეტი სეპარატისტების დეზინფორმაციული ომის ხელშენყობისა, სახელდობრ, მან დაუმალა და დღესაც უმალავს მსოფლიოს, რომ

— „ოსეთი“ კავკასიონის სამხრეთით რუსული გამონაგონია, დღს - ხელოვნურად შექმნილი (ძირითადად, 1921-1940 წლებში) ოსური მოსახლეობის უმრავლესობით დასახლებული რეგიონია, და არა ბუნებრივი მოვლენა ანუ ისტორიულ პროცესთა თავისუფალი მდინარების შედეგი (დუმს იმაზეც, რომ ამ ზონაში რუსების მიერ გამოყენებული პრინციპი - ტერიტორიის სტატუსის განსაზღვრა მასში მიმდინარე დემოგრაფიული პრინციპების (ისიც - ხელოვნური) მიმართულების მიხედვით - ქმნის მთელ მსოფლიოში ყველა ეთნიკური ჯგუფის შიშს ყველა სხვა ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, მაშასადამე - ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მუდმივ მოქმედ ფსიქოლოგიურ სტიმულს.

— აფხაზეთი არ არის აფსუა ხალხის, ქართულად და მრავლ სხვა ენაზე „აფხაზებად“ წოდებული, ქვეყანა, არამედ აქ ქართველი ხალხი ავტოხთონურია, აფსუა („აფხაზი“) ხალხი კი მხოლოდ იმის წყალობითაა უფლებამოსილი ავტოხთონური მოსახლეობის ყველა უფლებით ისერგებლოს (ქართველებთან ერთად), რომ მას განყვეტილი აქვს თავის ძველი სამშობლოსთან (კავკასიონის ჩრდილოეთით) და თავის მონათესავე ადიღე ხალხებთან თვითიდენტიფიკაციური კავშირი და ამჟამად სხვა, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში, ლოკალიზებული საკუთარი ეთნიკური თვითცნობიერება აქვს.

რუსული და რუსეთის მიერ ინსპირირებული და მართული სეპარატისტული პროპაგანდის ხსენებულ პუნქტთა ხელშწყობა (ამ შემთხვევაში - პასიური ხელშწყობა) იმის მისაღწევადაა გამიზნული, რომ იმ შემთხვევაში, თუ (უფრო ზუსტად, მაშინ, როცა) რუსეთის იმპერია იძულებული იქნება ხელი აიღოს სამხედრო მყოფობაზე კავკასიონის სამხრეთით, ამით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენს ამოცანა კვლავ დეზინფორმაციასა და გაუგებრობაზე აგებული დაბრკოლებების წინაშე დარჩეს მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში, ანუ მსოფლიომ ვერ გაიგოს, რომ აღნიშნული ტერიტორიების ყოფნა საქართველოს შემადგენლობაში არა მხოლოდ იურიდიულად სამართლიანია, არამედ მორალურიც.

8. „7“-ისგან გამომდინარე, საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლება აგრძელებს საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის უდავო კანონიერი უფლებების დათმობის შევარდნაძისეულ პოლიტიკას საერთაშორისო ფორმატით მიმდინარე მოლაპარაკებებში. აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ქართველი მოსახლეობა ამ მოლაპარაკებებზე დაშვებული არ არის. აფხაზეთის ტერიტორიულ-პოლიტიკური მონყობის საკითხში (მის მზაობაზე საქართველოში კიდევ ერთხელ „ოსეთის“ შექმნისათვის ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი) სააკაშვილის ხელისუფლება მდუმარედ და ზოგჯერ მინიშნებითაც მხარს უჭერს ე.წ. ბოდენის გეგმას აფხაზეთ-საქართველოს ერთობლი სახელშეკრულებო სახელმწიფოს ანუ კონფედერაციის შექმნის თაობაზე, ანუ ისეთი სახელმწიფოსას, რომელიც გარდუვალი დაშლის უდავო პერსპექტივას შეიცავს უახლოეს მომავალში, აგრეთვე დუმს, შევარდნაძის ადმინისტრაციასავით, ერთერთი ყველაზე ბარბაროსული ანტიდემოკრატიული პრინციპის თაობაზე, რომელიც სუფევს უკლებლივ ყველა საერთაშორისო მოლაპარაკებებზე აფხაზეთის თემაზე: თითქოს აფხაზ მოსახლეობას, ავტოხთონური ქართველი მოსახლეობის საპირისპიროდ, აფხაზეთის დარეგულირების თემაზე ვეტოს უფლება ჰქონდეს, ქართველ უმრავლესობას კი არ ჰქონდეს ასეთი უფლება, ანუ ერთი აფხაზის ხმა ორნახევარჯერ და მეტჯერ მეტი უფლებამოსილების მატარებელი იყოს, ვიდრე ერთი ქართველის ხმა. სააკაშვილის ხელისუფლების ხსენებული ფარული მიზანი (კონფედერაციის შექმნა) დღესაც ძალაშია (და განსაკუთრებით არის ძალაში, ვინაიდან ეს დღეს რუსეთის უმწვავესი საპრესტიჟო ინტერესია), სხვა მრავალ გარემოებასთან ერთად, იქიდანაც ჩანს, რომ მან ყველა შესაძლო დაწინაურებითა და წარმატებით დაადგილდოვა ბოდენის პოზიციის გამავრცელებელი და გამაჟღერებელი ანტიქართული პროექტის ხელის მომწერნი - ბაქრაძე (ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარე) და კუბლაშვილი (ამჟამად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე).

II. დივერსია საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ და ქართველი ერის გენოციდი

9. სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკაში მკაფიოდ ჩანს ორი ურთიერთშემავსებელი გზა ერთიანი მიზნის მისაღწევად: საქართველოს ეკონომიკის ხელოვნური ნგრევა და მატერიალური სიღატაკის ორგანიზება, რათა მოხდეს ქართველი მოსახლეობის სტიმულირება საემიგრაციოდ, ერთის მხრივ, და უცხოელთა იმიგრაციის ყველანაირი გაადვილება და სტიმულირება, მეორეს მხრივ. საქართველოს დექართველიზაციისაკენ მიმართული პოლიტიკის ხსენებული პირველი გზა, ერთის შეხედვით, შეიძლება ექვემდებარებოდეს პირწმინდად ეკონომიკური ანგარებითა და კორუფციის მოტივებით ახსნას, მაგრამ მას ვერ დაექვემდებარება მეორე გზა. ამიტომ მეთოდურად გამართლებულია, რომ პირველი გზის - ეკონომიკური გენოციდის — გამოყენებაშიც არაეკონომიკური, პოლიტიკური მოტივი დავინახოთ.

10. სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლება არის მკაფიოდ გამოხატული დიქტატურა. მის მიერ ჩადენილი ანტიკონსტიტუციური ნაბიჯების ჩამონათვალი მოცემულია პროფ. ბ. სავანელის პუბლიკაციებში და მას აქ არ გავიმეორებთ. დავუმატებთ იმ კონსტატაციას, რომ ეს დიქტატურა უფრო დესპოტიის ტიპისაა, ვიდრე ტირანიისა, სახელდობრ, იგი ემყარება საზოგადოებაში დამოუკიდებელ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ძალთა არარსებობას (არის მხოლოდ მმართველი ხუნტა და უფორმო მასა), განსხვავებით ტირანიისაგან, რომელიც ემყარება საზოგადოებაში არსებულ ძალთა ამა თუ იმ კომბინაციას (როგორც წესი, დროში არამდგრადს). ამ დესპოტიის უაღრესად მნიშვნელოვანი მხარეა კაკისტოკრატიის, („უარესთა ხელისუფლების“) კულტივაცია, რაც სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშანია მარიონეტული დიქტატურისა: ყოვლისმმცველი სოციალური მობილობის პირობებში, პიროვნების დაწინაურება ხდება არა მისი პირადი პოზიტიური თვისებების მიხედვით, როგორც დამოუკიდებელ დიქტატურაში (სიმამაცე, ნიჭი, ენერგია, თუნდა ბოროტი და ა.შ.), არამედ მისი მზაობის ხარისხის მიხედვით, რომ თავისი ქვეყნის ინტერესები უცხო ბატონის სასარგებლოდ დათმოს.

11. სააკაშვილის ხელისუფლება არის დივერსანტული თავისი ქვეყნის მიმართ. კონკრეტულად, იგი რუსეთის დავალებით ანგრევს საქართველოს სახელმწიფოებრივსა და სოციალურ სისტემებს, ისევე როგორც მისი მენტალიტეტის შემადგენელ პოზიტიურად მოქმედ სისტემებს, მაგრამ ამას იქმს „დასავლური ღირებულებების“ სახელით ამ უკანასკნელთა დისკრედიტაციის მიზნით, რაც საკუთრივ პოლიტიკური ამოცანაა. დივერსია მუშაობს მრავალ სფეროში, მათ შორის.

— **ეკონომიკურში.** საქართველოში ინგრევა (სხვათა შორის, მახინჯი საგადასახადო სისტემის გამოყენებითაც) წარმოება, განსაკუთრებით - მრეწველობა. გამჭოლი მიზანია მოსახლეობისათვის მხოლოდ არაკვალიფიციურ მომსახურებაში დასაქმების შესაძლებლობის დატოვება.

— **მეცნიერებისა და განათლებისაში.** რადიკალურად შევინროებულია განათლების დარგობრივი სპექტრი და მოსწავლეთა რაოდენობა (პირველ ყოვლისა, ფუნდამენტური ცოდნის ხარჯზე), არაქმედით მინიმუმზე დაყვანილია მეცნიერული კვლევების ორგანიზაციული სისტემა, ხდება ორივეს განუხრელი შემდგომი დავიწროება. საქართველო კარგავს მეცნიერულ საკითხებზე საკუთარი ექსპერტიზის უნარს, ერთის მხრივ, და კვალიფიციური კადრის (თვით მუშათა კადრის ჩათვლით) ყოლის პრინციპულ შესაძლებლობას, მეორეს მხრივ.

— **მენტალურში.** პროპაგანდით, რომელიც მეცნიერულ ცოდნასთან პირდაპირ წინააღმდეგობაში დგას და განკუთვნილია პრიმიტიული გონებრივი დონისათვის, და ტელეეკრანზე ხელისუფლებისადმი მონურად ერთგულ არხთა ფართო გამოყენებით (სხვა ორიენტაციის არხები არც არსებობს) ხდება მოსახლეობის ფართო მასების მიზანმიმართული დეზინფორმირება თანამედროვეობის კულტურულ, მორალურ, პოლიტიკურ და ზოგადმსოფლმხედველობრივ ტენდენციათა და მოთხოვნათა შესახებ, რაშიც გამჭოლი მიზანია ამ მოსახლეობის გონებრივი დეგენერირება და მისი მონყვეტა როგორც ჯანსაღი შემოქმედებითი და შრომითი მოღვაწეობისაგან, ისე ჯანსაღი ეროვნული და სოციალური ოპტიმიზმისაგან

— **მორალურში.** იმავე მონოპოლიზებული ეკრანებით და იმავე პრიმიტიულ დონეზე ხდება არა მხოლოდ კონკრეტული ტრადიციული მორალური მცნებების, არამედ ზოგადად მორალისაც, როგორც ასეთის, დისკრედიტაცია, მოზარდ თაობათა მასობრივი მოტყუება, თითქოს მორალი, როგორც ცნობიერების ფორმა, მძიმეტვირთულია და ისტორიას ჩაჰბარდა. დივერსიის ამ კონკრეტულ სახეში დიდი როლი ეკუთვნის გააფთრებულ ბრძოლას საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ, რასაც დღეს განსაკუთრებით მწვავე და უსირცხვილო ხასიათი აქვს.

12. გარდა ეკონომიკური დივერსიისა და მატერიალური გაჭირვების ორგანიზების მოტივისა ემიგრაციის სტიმულირების მიზნით ხდება სახელმწიფოს ეკონომიკური ბაზის ნგრევა პირდაპირი სტრატეგიული მიზნითაც. ამ პროცესის არსი მდგომარეობს სათავდაცვოდ, ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სულიერად სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტთა გაყიდვაში, რომელშიც ლომის წილი მოდის რუსეთისათვის და რუსული ფირმებისათვის მიყუდვაზე. მიზანმიმართული დივერსიის ეს კონკრეტული სახე უმრავლეს შემთხვევაში ინიღბება პირადი ანგარების, როგორც ერთადერთი მამოძრავებელი მოტივის, ნიღბით, თუმცა მისი რეალური მიზანი სინამდვილეში ანგარება არ არის. ამ წესით არის განსხვისებული, მაგალითად, საქართველოს სანაოსნო შევარდნაძის, აბაშიძისა, ადეიშვილის და სხვათა მიერ. გაყიდულია ჰესები, იყიდება რკინიგზა, პორტების ნაწილები და მრავალი სხვა. ამ სახის „კორუფციის“, სინამდვილეში კი შეგნებული და გარედან დავალებული დივერსიის არც ერთი მსხვილი აქტი დღეს, ისევე როგორც შევარდნაძის მმართველობის დროს, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის საგანი არ ხდება.

შეგნებული ანტისახელმწიფოებრივი დივერსიის, და არა ეკონომიკური გათვლის ან კორუფციულრი ანგარების, ელემენტია ის, რომ თავისუფალ ბაზარზე, სადაც დღეს არც ერთი კონკურენტუნარიანი ადგილობრივი მოქალაქე არ არსებობს, გატანილია საქართველოსა და ქართველი ერის ძირითადი საღღეისო და სამომავლო საარსებო წყარო - საქართველოს მინა (სასოფლო-სამეურნეოს ჩათვლით), რაც, სხვათა შორის, შეუთავსებადია სასურსათო უსაფრთხოებისათანაც.

13. სახელმწიფოში სამართლებრიობისა და სამართლიანობის ფაქტობრივი არარსებობის ფონზე სახელმწიფო აპარატი და მმართველი პარტია ფართოდ და ეფექტიანად იყენებენ ტერორს - როგორც დამიზნებითს (ანუ არასასურველ პირთა მოცილებისათვის განკუთვნილს), ისე არადამიზნებითს (ანუ მასის დაშინებისათვის განკუთვნილს). მაგალითები ცნობილია.

14. სააკაშვილის ხელისუფლების უმძიმესი დანაშაულია ის, რომ საქართველოს სამხრეთი რაიონებიდან 1944 წელს უცხო ინსტანციის (საბჭოთა კავშირის) მიერ რელიგიური ნიშნით გასახლებული მაჰმადიანები მან ცალკე ეთნოსად მიიჩნია და დღეს თანახმაა, რომ მათი შთამომავლები, განურჩევლად ამ უკანასკნელთა დამოკიდებულებისა საქართველოს სახელმწიფოსადმი, მასობრივად შემოასახლოს ჩვენს ქვეყანაში იმ ხიფათის მიუხედავად, რომ მაღალი ალბათობა აქვს მათს ახლო ან შორ მომავალში გამოყენებას მეზობელი ძლიერი სახელმწიფოს მიერ საქართველოსათვის მისი სამხრეთი რაიონების წასართმევად. ეს დანაშაული მით უფრო მძიმეა, რომ შემოსასახლებლად განზრახულთა რიცხვში არიან არა მხოლოდ გასახლებულთა შთამომავლები, არამედ სომხეთიდან და ნახიჭევანიდან გასახლებულებისაც, და ამათ ოჯახის წევრებიც, რომელთა რაოდენობა შეუზღუდავია.

15. წინააღმდეგ კონსტიტუციისა და ეროვნული ისტორიულ-მასშტაბიანი ინტერესის პირდაპირი მოთხოვნისა, სააკაშვილის ხელისუფლება აგრძელებს შევარდნაძის მიერ დაწყებულ პრაქტიკას საქართველოს ისტორიულ პროვინციებად დაყოფის მიმართულებით, რასაც ხან „ფედერალიზმის“ სახელით ახსენებენ, ხან „რეგიონალიზმის“ მორცხვი სახელით (რაც არასწორია). კონსტიტუციით გაუთვალისწინებულ ადგილობრივ მმართველებს ნიშნავენ კუთხური სახელით, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისათვის საყოველთაოდ ცნობილია, რა მოსდევს ამ პრაქტიკას პერსპექტივაში. სახელდობრ, მას მოსდევს არა მხოლოდ საქართველოს გარდაუვალი დაქუცმაცება ისტორიულ პროვინციებად, არამედ თვით ქართველი ერის დახლეჩაც და ქართული ეროვნული ცნობიერების შინაარსობრივი დახლეჩაც პროვინციულ ცნობიერებათა ჯამად.

16. სააკაშვილის ხელისუფლების უდავო დანაშაულია მრავალრიცხოვანი ფაქტები მის მიერ საქართველოში შეფარებული ჩეჩნების მოღალატური გადაცემისა ჩვენი და მათი დაუძინებელი მტრის - რუსეთის სისხლიანი ხელისუფლებისადმი, რასაც არა მხოლოდ მორალური ასპექტი აქვს, არამედ პრაქტიკულიც, სახელდობრ, ის, რომ ამ მოღალატური და ამორალური ქმედებით რუსეთის სპეცსამსახურებს ხელი ეხსნებათ, რათა საქართველოში რაგინდარა მასშტაბის და რაგინდარა არაადამიანური შინაარსის ტერაქტები მოანყონ და ჩეჩნების შურისძიებას დაებრალონ.

ეს გახლავთ, ჩვენის აზრით, სააკაშვილის ხელისუფლების დღესდღეობით ცნობილი ძირითადი (მაგრამ არა ყველა) დანაშაულები საქართველოს სახელმწიფოსა, ქართველი ხალხისა და კონკრეტული პიროვნებების წინაშე. მათ მიერ ქვეყნისა და ერისათვის მოყენებული ზარალისა და ზიანის მნიშვნელოვანი ნაწილის ანაზღაურება (გამოსწორება), ჩვენი აზრით, შესაძლებელია. ამ მიზნის მიღწევის ერთერთი საშუალება, სხვა მრავალთა პარალელურად, არის ის, რომ საქართველო ჯერ თავისი პოლიტიკური სპექტრის სახით, ხოლო შემდეგ მოსახლეობის უმრავლესობის სახით **გაემიჯნოს** სააკაშვილისა და მისი გუნდის დანაშაულებრივ პოლიტიკას და მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, ნასყიდობის კაბალურ აქტებს და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ სხვა კაპიტულანტურ ნაბიჯებს. ამისათვის ორი ძირითადი მორალური და იურიდიული არგუმენტი არსებობს. **პირველი** ის გახლავთ, რომ ეს ხელისუფლება მხილებადია (და, ფაქტობრივად, უკვე მხილებულიცაა) უცხო ქვეყნის, სახელდობრ, რუსეთის ინტერესთა სამსახურში საქართველოს ინტერესთა საზიანოდ, ანუ სახელმწიფო ღალატში.

მეორე ისაა, რომ ეს ხელისუფლება არალეგიტიმურია (უკანონოა), ანუ ძალაუფლებაში იმყოფება ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შედეგად, რაც საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან ერთხანს „შეუმჩნევლად“ იქნა დატოვებული, მაგრამ ბოლოს მაინც გამხელილ იქნა მათ მიერ. ამ ხელისუფლების თავის ფუნქციებში ყოფნის ყოველი დღე ქვეყნისა და მოქალაქეებისათვის ლახვრის ჩაცემაა, ამიტომ მისი წასვლა აუცილებელია. ამის ყველაზე ფრთხილი გზა, ჩვენის აზრით, არის

— კარგად ორგანიზებული მასობრივი ზეწოლით ხელისუფლებისაგან რეალური საარჩევნო კანონის გამოძალვა

— კარგად ორგანიზებული მასობრივი აქციებით მისგან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის გამოძალვა

—ასევე, კარგად ორგანიზებული აქციით არჩევნების რეალურად ჩატარება, ანუ საარჩევნო სიებისა და მიცემული ხმების დაცვა გაყალბებისაგან

ეს გახლავთ ხელისუფლების შეცვლის ყ ვ ე ლ ა ზ ე მოკლე და გონივრული გზა.

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსი

ფიქრი ლიანდაგებზე: პასუხად ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს

გაახლებთ სააკაშვილის ძირითად დანაშაულთა ჩამონათვალს (მოკლეს და, ალბათ, არასრულს)

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, მისი მიმდინარეობა და შედეგები

რა დაახვედრა საქართველოს ხელისუფლებამ მოსალოდნელ ომს

1. საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის მეთაურობით 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმებით რუსეთს მისცა ცხინვალის რეგიონში, მის მიერვე ორგანიზებული და მართული „ქართულ-ოსური“ კონფლიქტის ტერიტორიაზე, „სამშვიდობო“ შეიარაღებული ძალებით მოქმედების მანდატი. ამასთანავე, მან „კონფლიქტის ზონად“ ჩათვალა არა რეგიონის ის ტერიტორია, სადაც კონფლიქტი რეალურად იყო (ცხინვალის და ყოფ. ზნაურის რაიონები), არამედ მთელი ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაც. ეს მან გააკეთა იმის ნაცვლად, რომ ოფიციალურად განეცხადებინა მსოფლიოს წინაშე, რომ რუსეთი აწარმოებს გამოუცხადებელ ომს საქართველოს წინააღმდეგ სეპარატისტების ხელით.

2. 2004 წლის ომის არც დაწყებამდე, არც მისი მიმდინარეობის დროს საakაშვილის ხელისუფლებამ არ გააუქმა რუსების სამშვიდობო მანდატი, რითაც რუსებს დაუტოვა უფლება, ცეცხლი გაუხსნან ქართველებს, ქართველებს კი არ მისცა უფლება, ცეცხლი გაუხნან რუსებს. ამის უშუალო შედეგი იყო სამარცხვინო დამარცხება და სტრატეგიული პოზიციების, მათ შორის – ერედვი-ხეითის გზის გადასვლა მტრის ხელში (იმ დროს შსს მინისტრი იყო ოქრუაშვილი, თავდაცვისა – ბარამიძე).

3. შევარდნაძის ხელისუფლებამ არ გამოიყენა საქართველოს კანონიერად არჩეული უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით „სამხრეთ ოსეთის“ უკანონო „ავტონომიური ოლქის“ გაუქმების ფაქტი და დაუშვა გამოთქმის „სამხრეთ ოსეთი“ ხმარება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ოფიციალურ დოკუმენტებში მისი ხმარების ჩათვლით. საakაშვილის ხელისუფლებამ გააღრმავა ეს ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა იმით, რომ გამოთქვა ოფიციალური მზაობა შექმნას კიდევ ერთხელ „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს მიწაწყალზე და ამით საქართველოს ტერიტორიის ნაწილი აღიაროს მეზობელი ქვეყნის (ოსეთის, ანუ ალანიის, კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარის) სამხრეთ ნაწილად. ამის პარალელურად, საakაშვილის ხელისუფლებამ დაუშვა და ხელი შეუწყო უკანონო „სამხრეთ ოსეთის“ „პრეზიდენტის“ „არჩევას“ კრიმინალისა და სეპარატისტის – სანაკოევის სახით, რომელიც ღიად ლაპარაკობდა „სამხრეთ ოსეთზე“, როგორც არსებულ კანონიერ ერთეულზე.

4. საakაშვილის ხელისუფლებამ დაშალა დალის ხეობის ერთადერთი რეალური დამცველი – ბატალიონი „მონადირე“ და განაიარაღა ქართველი მოსახლეობა ცხინვალის რეგიონში (ისევე, როგორც საბჭოთა ხელისუფლებამ განაიარაღა მოსახლეობა 1989 წლის 4 აპრილს, 9 აპრილის რეპრესიის წინ).

5. საakაშვილის ხელისუფლებამ, რომელიც დღეს ოფიციალურად აცხადებს, რომ მოელოდა რუსეთის სამხედრო დარტყმას საქართველოზე 2008 წლის ზაფხულში, არც ამჯერად გააუქმა რუსეთის „სამშვიდობო“ მანდატი, რითაც რუსეთს მისცა ხელსაყრელი საბაბი ცრუ მტკიცებისათვის, თითქოს ქართველებმა რუს „მემშვიდობეებს“ ცეცხლი გაუხსნეს. მან არ მოახდინა მოსახლეობის ევაკუაცია.

უკლებლივ ყველა აღნიშნული ქმედება, ჩვენი შეფასებით, სხვაგვარად ვერ დაკვალიფიცირდება, თუ არა როგორც საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შეგნებული ღალატი რუსული იმპერიული ინტერესების სასარგებლოდ.

2008 წლის ომის დაწყება და მიმდინარეობა

6. 2008 წლის შეიარაღებული მოქმედება ცხინვალის რეგიონში დაიწყო რუსეთმა ქართული სოფლების სისტემატური საartილერიო დაბომბვით როგორც უშუალოდ რუსეთის შეიარაღებული ძალების, ისე მის მიერ შეიარაღებული და მართული ოსი სეპარატისტების ხელით. ამავე წლის 7 აგვისტოს დაიწყო რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების ღია შეტევა საქართველოს წინააღმდეგ როკის გვირაბის გამოვლით.

7. საakაშვილმა, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა და მთავარსარდალმა, გააკეთა ყველაფერი, რაც მისგან იყო დამოკიდებული, რათა ხელი შეეწყო საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული სამხედრო და პოლიტიკური ოპერაციის წარმატებისათვის. მან

– მოუმზადებელი დაახვედრა მტერს მოსახლეობაც და ქვეყნის მთლიანი სათავდაცვო სისტემაც (არ შექმნა სამოქალაქო თავდაცვა, სარეზერვო სამსახური, სათავდაცვო წარმოება, არ შემოიღო სამხედრო სწავლება განათლების სისტემაში და ა.შ).

– იმის განცხადების ნაცვლად, რომ მიმდინარე ომი არის საქართველოს თავდაცვა რუსეთის შეიარაღებულ ძალთა შემოტევისაგან, მან განაცხადა, რომ ომის მიზანია აქტიური ნაბიჯი – ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, რაც იყო საქართველოს ინტერესთა წინააღმდეგ მიმართული სიცრუე.

– მან რამდენიმესაათიანი დაზავებით მისცა რუსებს როკის გვირაბში თავის შეიარაღებულ ძალთა დაუბრკოლებლად გამოტარების საშუალება.

– რაც მთავარია, მან, როგორც ფაქტები მოწმობს, შეგნებულად შეუწყო ხელი რუსულ პროპაგანდისტულ ოპერაციას აგვისტოს ომში: გაისროლა მაშინ, როცა რუსმა უბრძანა, გაისროლა ის ჭურვი, რომელიც რუსმა უბრძანა, და იმ მიმართულებით, რომელიც რუსმა უბრძანა, რაც ემსახურებოდა საქართველოსათვის ოსი მოსახლეობის ხელყოფის დაბრალების ინტერესებს. იგი ნებაყოფლობით „წამოვიდა“ რუსეთის მიერ წამოწყებულ პროვოკაციაზე.

ჩამოთვლილი ქმედებებიც სხვაგვარად ვერ დაკვალიფიცირდება, თუ არა როგორც საქართველოს სახელმწიფო ინტერესების პირდაპირი და შეგნებული ღალატი ომის პირობებში.

რა მოქმედება ჰმართებს ქართულ სახელმწიფოს დღევანდელ პირობებში

დღეს საქართველოს სახელმწიფო რუსეთთან წაგებულია ორგვარად:

– რუსეთს დაკავებული აქვს და „დამოუკიდებლად“ აღიარებული აქვს საქართველოს ტერიტორიები. ამ ტერიტორიებს რუსეთი არ დათმობს მანამდე, სანამ არ დამარცხდება.

– საქართველოს რუსეთთან აქვს დადებული კაბალური შეთანხმება, უფრო ზუსტად – კაპიტულაცია: იმის სანაცვლოდ, რომ რუსეთმა შეწყვეტილი შემოტევა არ განაახლოს, საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება (მედვედევ-სარკოზის შეთანხმება), რომ არ მიიღოს ზომები დაკარგული ტერიტორიების ძალით დასაბრუნებლად და მათში, ისევე როგორც მიმდგომ ტერიტორიებში, რუსული სამხედრო მყოფობის აღსაკვეთად.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ჰმართებს

– ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს რუსეთის დამარცხებას, მაგრამ ისე, რომ ამ პროცესში მაქსიმალურად დაიზოგოს საქართველოს მოსახლეობა, ეკონომიკა და სამხედრო ძალა. რუსეთის გარდუვალი დამარცხება განპირობებულია იმით, რომ რუსეთი უკვე ჩართულია დაპირისპირებაში დემოკრატულ დასავლეთთან (ფიგურალურად რომ ვთქვათ – მესამე მსოფლიო ომში ხან ცივი, ხან ცხელი ეპიზოდების მონაცვლეობით), რომელშიც მოწინააღმდეგე რუსეთს მრავალჯერადად აღემატება როგორც სამხედრო პოტენციალით, ისე კავკასია-შუა აზიის რეგიონში თავისი დაინტერესების ხარისხითაც.

– თავის სტრატეგიულ მოკავშირეებთან ურთიერთობაში განუხრელად დაიცვას, საერთოს ერთგული დაცვის ფონზე, საკუთარი ინტერესებიც: საკონტრაქტო შეიარაღებულ ძალთა პარალელურად შექმნას გაწვევაზე დამყარებული ძალებიც, ააწყოს სარეზერვო სამსახური, საყოველთაო სამხედრო სწავლება სკოლაში და უმაღლესში, სამოქალაქო თავდაცვა, სათავდაცვო წარმოება, სასურსათო უშიშროების სისტემა, ააწყოს საკუთარი სახელმწიფო რაციონალურ საწყისებზე საკუთარი სპეციფიკის შესაბამისად, სასურსათო უზრუნველყოფის, განათლების, ტექნოლოგიური პროგრესის, მოქალაქისათვის არა მარტო საარსებო მინიმუმის, არამედ აგრეთვე თავისუფალი განვითარების პირობათა შექმნის პრიორიტეტით.

– ოფიციალურად განუმარტოს მსოფლიოს, რომ არანაირი „ოსეთი“ კავკასიონის სამხრეთით არ არსებობს.

– მყარად დაიცვას საქართველოს სახელმწიფოს იურიდიული პოზიციები (ამ მხრივ ყველაზე დიდი საშიშროება, ანუ ყველაზე მოსალოდნელი სახელმწიფო ღალატი, დღეს არის საქართველოს ხელისუფლების შესაძლებელი თანხმობა, რომ დამოუკიდებელი საქართველოსაგან, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისაგან და „დამოუკიდებელი“ „სამხრეთ ოსეთისაგან“ შეიქმნას კონფედერაციული, ანუ სახელშეკრულებო სახელმწიფო, რომელიც ავტომატურად დაიშლება რომელიმე მონაწილე სუბიექტის სურვილის გაცხადების შემთხვევაში.

– მოახდინოს რუსეთის მიერ საქართველოში უკანონოდ (ქრთამით, ზეწოლით, აგენტურის გამოყენებით და ა.შ) შეძენილი ქონების კონფისკაცია; განახორციელოს რუსეთზე ზეწოლა მისი ტვირთების მიზანმიმართული ბლოკირების, მისი ფირმების ბლოკირების, მასზე საერთაშორისო ფორუმებზე იურიდიული და პოლიტიკური შეტევის, მისი, როგორც ჩრდილო კავკასიის დამპყრობლისა და გენოციდის მომხდენის, სისტემატური მხილებისა და მსოფლიო აზრის ამ მიმართულებით მის წინააღმდეგ მობილიზაციის გზით.

ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას საქართველოს სრული დეოკუპაციისათვის და მისი ტერიტორიის სრული აღდგენისათვის ყველა გონივრული და მსოფლიოში მიღებული საშუალებით. ჩვენი საქმე სამართლიანია და მისი გამარჯვება – გარდუვალი.

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის სახელით ბარბაქაძე ზ., გიორგაძე მ., თადარიგის პოლკოვნიკი მიქაუტიძე თ., ნათაძე ნ., თადარიგის პოლკოვნიკი ხომასურიძე დ.

6 აგვისტო 2009 წელი

საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის 2010 წლის წლიური

საფინანსო დეკლარაცია

2010 წლის განმავლობაში ორგანიზაციას არ ჰქონია არავითარი სახის ფინანსური შემოსავალი და, შესაბამისად, გასავალი, არ აქვს თანხები საბანკო ანგარიშებზე. ორგანიზაცია არ ფლობს საკუთრებაში შენობა-ნაგებობებს და სატრანსპორტო საშუალებებს.

2010 წლის განმავლობაში პარტიას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის თავმჯდომარე
დავით ხომასურიძე

ინდივიდუალური აუდიტორი
ლიანა ტაველურაშვილი
თბილისი, სულთნიშნის შესახვევი №4
ტელ.: 899 96 34 65
857-77-88-70

22 იანვარი 2011 წ.

აუდიტორული დასკვნა

მე, ინდივიდუალურმა აუდიტორმა ლიანა ტაველურაშვილმა, ჩავატარე პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის“ (თავმჯდომარე დავით ხომასურიძე) მიერ წარმოდგენილი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის შედგენილი წლიური ანგარიშის აუდიტი.

ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებასა და უტყუარობაზე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ შესაბამისად (მუხლი 14) პასუხისმგებელია დამკვეთი, ხოლო მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმ დასკვნაზე, რომელიც ჩემს მიერ არის შედგენილი იმ ფინანსური მონაცემების აუდიტიდან გამომდინარე, რაც წარმოადგინა პოლიტიკურმა გაერთიანება „საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ“.

აუდიტი ჩავატარე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარ დაგეგმვას და შემოწმებას, რაც საშუალებას მომცემდა დავრწმუნებულიყავი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს და თავისუფალია ყოველგვარი უზუსტობისაგან.

გარდა ამისა აუდიტმა მოიცვა საფინანსო ანგარიშგების ციფრობრივი მასალის შერჩევითი შემოწმება და გამოყენებული ბუღალტრული (ფინანსური) პრინციპებისა და მნიშვნელოვანი პროგნოზირების შეფასება. ჩატარებული სამუშაოდან გამომდინარე ვადასტურებ, რომ 2010 წელს პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულ პარტიას“ შემოსავლები არ მიუღია.

დ-აუდიტორი:
ლ. ტაველურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსისა და საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობისაგან

1. საქართველოს ხელისუფლება მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით დღეს ღიად აცხადებს მზაობას, რომ საქართველოს ყველაზე დიდი ჰესი – ენგურჰესი (სიმძლავრით საქართველოს ჰესების 50%-ზე მეტი) – გადასცეს რუსეთს, რომელიც ამჟამად საქართველოსთან შეტევითი დამპყრობლური ომის მდგომარეობაშია, საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის წართმევას ცდილობს და, ყველა ნიშნის მიხედვით, გეგმავს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დაშლას, მისი ეკონომიკის დანგრევას და მის შეძლებისდაგვარად შორსმიმავალ დეპოპულაციას. ეს ხდება იმ ვითარებაში, როცა საქართველოს დანარჩენი ჰესების სიმძლავრის 80% გადასულია რუსეთის საკუთრებაში. **პრინციპულად საქართველოს ხელისუფლების ეს ქმედება არის საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთთან საქმიანი ურთიერთობის აღიარება მის მიერ საქართველოს ტერიტორიის ხელყოფის პირობებში, ანუ კაპიტულაცია, აგრეთვე აფხაზეთის უკანონო სეპარატისტული ხელისუფლებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების განკარგვაში მხარის სტატუსის აღიარება, რაც ისევ და ისევ კაპიტულაციაა.** პრაქტიკულად ეს ქმედება არის რუსეთისათვის საბაბის მიცემა, რათა თავისი შეიარაღებული ძალებით დაიკავოს ენგურჰესის ნაგებობები, მათ შორის კაშხალი (270 მ. სიმაღლისა), რის უფლებაზეც რუსეთი პრეტენზიას აცხადებს თავისი სახელმწიფო უშიშროების აგრესიული დოქტრინის მიხედვით, და ნებისმიერ დროს მოახდინოს როგორც საქართველოს ენერგეტიკული პარალიზება, ისე კაშხალთან დაკავშირებული ხელოვნური კატასტროფა. რუსეთის ეს სავსებით ცნობიერი აგრესიული იმპერიული პოლიტიკა მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ, არამედ თანამედროვე დემოკრატიული ცივილიზაციის წინააღმდეგაც საერთოდ, რამდენადაც მისი ერთერთი აგრესიული მიზანი, სხვა ანალოგიურ მიზანთა შორის, მდგომარეობს იმაში, რომ გადაუკეტოს დასავლურ დემოკრატიას გზა ამიერკავკასიის ყელით აზიის ცენტრალური ნაწილისკენ და აღმოსავლეთს – შავი ზღვისა და ცენტრალური ევროპისკენ.

ამგვარად, საქართველოს ხელისუფლების ზემოხსენებული განაზრახი არის დღესდღეობით საქართველოზე შემომტევი ყველაზე აქტიური მტრული ძალის სამსახური საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების საზიანოდ.

2. მიგვაჩნია, რომ საქართველოში მომწიფებულია ერისა და საზოგადოების მიერ იმის კონსტატაციის სამწუხარო აუცილებლობა, რომ მ. სააკაშვილი და მისი გუნდი, საპარლამენტო უმრავლესობის ჩათვლით, არიან არა ქართული, არამედ რუსული ადმინისტრაცია საქართველოში, კრემლის მიერ ცალსახად მართული. საქართველოს ხელისუფლების მოქმედება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, აგრეთვე მის წინა თვეებსა და წლებში ამას ცალსახად მეტყველებს. სახელდობრ:

– სააკაშვილის ხელისუფლებამ, ისევე, როგორც შევარდნაძის ხელისუფლებამ, არ განაცხადა ოფიციალურად, რომ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შეიარაღებული ბრძოლა არის არა ეთნიკური კონფლიქტი, არამედ რუსეთის გამოუცხადებელი დაპყრობითი ომი საქართველოს წინააღმდეგ; რომ იგი ინსპირირებულია, ორგანიზებულია, მართულია რუსეთის მიერ და მასში ერთი მხარე შეიარაღებულია, აღჭურვილია, სადაზვერვო მონაცემებით და საპროპაგანდო მხარდაჭერით უზრუნველყოფილია რუსეთის მიერ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ოფიციალურად არ გამოიყენა ქვეყნის დაცვაში ის არგუმენტი, რომ რუსეთი პირდაპირ მონაწილეობს ხსენებულ ომში თავისი „მოხალისეების", „დაქირავებულების" (სინამდვილეში კი ბრძანებით მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების) სახით და რეგულარული ჯარების სახითაც კი. შესაბამისად, სააკაშვილის ხელისუფლებამ შეუფერხებლად დაუშვა რუსეთის ფუნქციონირება, როგორც „ფაცილიტატორისა" ხსენებულ კონფლიქტთა „მოგვარების" საკითხებში და როგორც გაეროს გენერალური მდივნის „მგობარი" ქვეყნისა ამ ამოცანასთან დაკავშირებით.

– მან არ გააუქმა რუსების „სამშვიდობო" მანდატი ამ კონფლიქტებში, რუსეთისათვის მიცემული შევარდნაძის მიერ

– მან არ გააუქმა საქართველოს მყოფობა „დსთ"-ში, რომლის წევრის სტატუსითაც რუსეთი სარგებლობდა გაეროს „სამშვიდობო" მანდატით

– მან გამოთქვა მზაობა საქართველოში „სამხრეთ ოსეთის" შესაქმნელად, რითაც, ყოველგვარი იურიდიული, დემოგრაფიული, ისტორიული და მორალური საფუძლის გარეშე, მსოფლიოს წინაშე შესაძლებელი გახადა ორი „ოსეთის" - ერთი ნამდვილისა და მოერე ყალბის - „გაერთიანების" ამოცანის დაყენება.

– მ. სააკაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის „რწმუნებულად" რუსეთისა და სეპარატისტების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე შიდა ქართლში დანიშნა კრიმინალი სანაკოევი, თუმცა ეს უკანასკნელი ღიად მიდიოდა და მიდის საქართველოს კანონის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოში არანაირი „ოსეთის" არსებობას არ ცნობს.

- მან ხსენებული კრიმინალის, სანაკოევის მართვას დაუქვემდებარა არა მხოლოდ რუსებისა და სეპარატისტების მიერ კონტროლირებული ტერიტორიები, არამედ ახალგორის რაიონიც, სადაც არავითარი კონფლიქტი ქართველ და ოს მოსახლეობას შორის არ მომხდარა და სადაც არც ერთი „მემშვიდობე" რუსი, ისევე როგორც არც ერთი შეიარაღებული სეპარატისტი, შესული არ იყო.

– მან წაახალისა დანარჩენი საქართველოსაგან აფხაზეთის მცოცავი სეცესიის გეგმა, რომელიც ნაკარნახევი და დაფინანსებული იყო უცხოეთიდან, მის პროექტზე ხელმომწერი ავტორების არაპირდაპირი დავჯილდოების სახით: არაფრით არ გამოჩენილი და არანაირი დამსახურების არმქონე კუბლაშვილი დანიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ და ასევე არაფრით არ გამორჩეული ბაქრაძე ფაქტიურად აურჩევლად დააწინაურა პარლამენტის თავმჯდომარედ.

სახელმწიფო ღალატის ამ უდავო ფაქტების ფონზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ აგვისტოს ომში სააკაშვილის, როგორც მთავარსარდლის, მოქმედება მთლიანად რუსეთის მიერ იყო მართული და მთლიანად წარმოადგენდა სახელმწიფო ღალატს: მან ცეცხლი გახსნა მაშინ, როცა რუსებმა უბრძანეს, და იხმარა ის იარაღი, რომელიც რუსებმა უბრძანეს. წინასწარ ოფიციალურად განუცხადებელი შეიარაღებული პასუხით რუსებისა და ოსების მიერ ქართული სოფლებისათვის მრავალკვირიანი ცეცხლის წარმოებაზე და ამ პასუხამდე რუსების სამშვიდობო მანდატის არგაუქმებით სააკაშვილმა წინასწარგანზრახულად მისცა რუსეთს ფორმალური საშუალება საქართველოსათვის ორი ყალბი ბრალდების წაყენებისა, რომლებიც რუსეთმა გამოიყენა საქართველოს წინააღმდეგ შეტევის ორადორ საბაბად: რომ ქართველებმა მემშვიდობეებს ცეცხლი გაუხსნეს (რაც სინამდვილეში არ მომხდარა) და რომ ქართველებმა ოსებს „ეენოციდი" მოუნდომეს (რაც აგრეთვე არ მომხდარა).

– მან გააუქმა კოდორის ხეობისა და მისი მოსახლეობის ერთადერთი რეალური დამცველი ფორმირება – მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული ბატალიონი „მონადირე" – და 2009 წლის აგვისტოში წინააღმდეგობის გარეშე დაუთმო მტერს ხსენებული ხეობა.

ჩამოთვლილ ქმედებებს სხვა კვალიფიკაცია და სხვა ახსნა ვერ მიეცემა, თუ არ როგორც შეგნებული სახელმწიფო ღალატისა, რომლის მიზეზი და საფუძველია მტრის (რუსეთის) შეგნებული და მიზანმიმართული აგენტურული სამსახური.

გარდა ამისა, არსებობს ეჭვი, რომ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ მოწყობილი ბარბაროსული დარბევა სააკაშვილის ადმინისტრაციის მიერ 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა გამოყენებული იქნა მხუთავი (და არა ცრემლმდენი) გაზი და რეზინის ტყვიები, მოწყობილი იყო იმ მიზნით, რომ იმ ევროპულ სახელმწიფოებს, რომელთაც არ ჰსურდათ და არ ჰსურთ საქართველოს მიღება ნატოში, საშუალება მისცემოდათ საქართველოს კანდიდატურის უარყოფისა ამ სახელმწიფოს არასაკმარისი დემოკრატიულობის მოტივით

შენიშვნა: ზემოხენებულ ქმედებათა პარალელურად სააკაშვილისა და მისი ადმინისტრაციის მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს ღალატი რუსეთის სასარგებლოდ ხორციელდება, ჩვენის აზრით, იმითაც, რომ

- ხდება საქართველოს კეთილდღეობისა და ქართველი საზოგადოების განვითარების მიზანმიმართული საბოტირება საშუალო კლასის ჩამოყალიბების არდაშვების, მრეწველობისა და, საერთოდ, წარმოების საგადასახადო „ხრჩობის", ემიგრაციისა და იმიგრაციის სტიმულირების, განათლებისა და მეცნიერების ნგრევის და სხვა ანალოგიური დივერსიული ნაბიჯების სახით (რაც „დასავლური ღირებულებების" რეალიზაციის ყალბი მოტივით ინიღბება, ამ ღირებულებათა დისკრედიტაციის მიზნით, და რაც შეესაბამება რუსეთის ზემოხსენებული სტრატეგიით განპირობებულ გეგმას, რომ საქართველო ვერშემდგარ სახელმწიფოდ აქციოს), და

– ხდება საქართველოს საკვანძო ეკონომიკური სიმძლავრეების მიზანმიმართული გადაცემა რუსეთისა და რუსული ფირმების (მათ შორის – რუსული სახელმწიფო ფირმების) ხელში. ენგურჰესის გადაცემა რუსებისათვის ამ მიზანმიმართული პროცესის მხოლოდ ერთერთი, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდია.

3. საქართველოში სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლება – მის ხელში საკანომდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ყველა ბერკეტების თავმოყრა, აგრეთვე მისი უკანონო ბატონობა მეოთხე ხელისუფლებაშიც (მედიაში) არალეგიტიმურია, სახელდობრ, იგი ხელისუფლებაში იმყოფება არჩევნების ტოტალური გაყალბების, ხოლო შემდეგ, სახელმწიფო ხელისუფლების კანონსაწინააღმდეგოდ გამოყენებით, ახალ-ახალ უფლებათა უზურპაციის გზით.

4. თქმულიდან – სახელდობრ, სახელმწიფოსა და ერისადმი სააკაშვილისა და მისი გუნდის ორგულობიდან და მათი ხელისუფლების დღესდღეობით არალეგიტიმურობიდან – გამომდინარე, ვიცით რა, რომ ჩვენი აზრი, სულისკვეთება და პოზიცია ემთხვევა და ასახავს ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობისას, ჩვენს უფლებად და მოვალეობად ვრაცხთ, განვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ, როგორც საქართველოს მოქალაქენი, აგრეთვე როგორც ამა თუ იმ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრნი ან მხარდამჭერნი, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და პოლიტიკურ საქმიანობაშიც ვიცავთ სამოქალაქო წესრიგის ყველა წესს და არსებული კანონის ყველა მოთხოვნას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას ემუქრება ქაოსი. ამავე დროს ჩვენ იურიდიულად არ ვცნობთ საქართველოს ხელისუფლებად პირადად სააკაშვილს და მისი პოლიტიკის გამტარებელ გუნდს მათი სახელმწიფოსადმი ორგულობისა და მათი არალეგიტიმურობის გამო, სახელდობრ, არ ვცნობთ ამ ხელისუფლების უფლებამოსილებას, რომ განსაზღვრავდეს საქართველოს დღევანდელსა და მომავალ ბედს, განკარგავდეს მის ეროვნულ სიმდიდრეს, მის სათავდაცვოდ, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად სტრატეგიულ ობიექტებს, წყვეტდეს მისი ომისა და მშვიდობის საკითხებს და, შესაბამისად, დებდეს ისეთ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს (მით უმეტეს, კაპიტულაციური მომენტების შემცველს), რომელთაც პრინციპულად შეუქცევადი ან ძნელად შესაქცევი შედეგები მოჰყვებათ. წინამდებარე განცხადებით ჩვენ წინასწარ ვატყობინებთ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის მქონე სახელმწიფოებს, აგრეთვე საქართველოსთან და მასში არსებულ იურიდიულსა და ფიზიკურ პირებთან საქმიანი ურთიერთობის მქონე იურიდიულსა და ფიზიკურ პირებს, რომ საქართველოს დღევანდელი არალეგიტიმური და ორგული ხელისუფლების მიერ განხორციელებული იურიდიული აქტები ტერიტორიის, მის რომელსამე წერტილში ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების თაობაზე და საკუთრების (პირველ ყოვლისა – უძრავი საკუთრების) თაობაზე ექვემდებარება გაბათილებას მომავალი დემოკრატიულად არჩეული, მაშასადამე, ლეგიტიმური ხელისუფლების (ხელისუფლებების) მხრიდან იმ შემთხვევებში, თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, რისი ფაქტიც ყველა ცალკეულ შემთხვევებში ექვემდებარება დადგენას სასამართლოს მიერ.

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსისა და საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის სახელით

აფციაური ლ. ბახტაძე დ., ბერიანიძე ტ., გიორგაძე მ., დუნდუა რ., ზარდალიშვილი ო., კაკულია ა., კოლუაშვილი პ., ნათაძე ნ., სიჭინავა ა., სორდია გ., ჩხაიძე შ.

20.01.2009

გაზეთ „საქართველოს" ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
ტელ: 93-15-89, 93-17-10

შპს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.